




MITHRIDATE  
მიტრიდატი

მ. ზვანაძე

კანკინსა.  
Hors commerce



BIBLIOTHÈQUE  
NATIONALE  
ARCHIVES NATIONALES

RACINE

1639-1699

# MITHRIDATE

*tragédie*

## PERSONNAGES

- MITHRIDATE    roi de Pont et de quantité d'autres royaumes.
- MONIME        accordée avec Mithridate et déjà déclarée reine.
- PHARNACE    { fils de Mithridate, mais de différentes  
XIPHARÈS    { mères.
- ARBATE        confident de Mithridate et gouverneur de la place de Nymphée.
- PHÆDIME     confidente de Monime.
- ARCAS         domestique de Mithridate.
- GARDES.

LA SCÈNE EST À NYMPHÉE, PORT DE MER SUR LE BOSPHORE CIMMÉRIEN, DANS LA CHERSONÈSE TAURIQUE.

Traduit en Géorgien par G. Gvazava

# მითრიდატი

რასინისა.

მოქმედნი პირნი:

მითრიდატი, მეფე პონტიისა და მრავალ სხვა სახელმწიფოთა.

მონიმე, მითრიდატის დანიშნული, უკვე დედოფლად  
გამოცხადებული.

ფარნაკი }  
ქსიფარესი } მითრიდატის შვილნი, სხვა და სხვა დედისაგან.

არბატ, მითრიდატის მეგობარი, მმართველი ნიმფეისა.

ფელიმე, მონიმეს მოახლე.

არბატ, მითრიდატის მეგობარი, მმართველი ნიმფეისა.

დარაჯები.

რასინის მითრიდატის მსოიბეითი

მოქმედება კწარმოებს ნიმფეაში, კიმმერიონის-ბოსფორის  
პირად, ტავრიდის ხერსონესში.

# MITHRIDATE

## ACTE PREMIER


SCÈNE PREMIÈRE. — XIPHARÈS, ARBATE

XIPHARÈS

On nous faisait, Arbate, un fidèle rapport :  
 Rome en effet triomphe, et Mithridate est mort.  
 Les Romains, vers l'Euphrate, ont attaqué mon père,  
 Et trompé dans la nuit sa prudence ordinaire.  
 Après un long combat, tout son camp dispersé  
 Dans la foule des morts, en fuyant, l'a laissé;  
 Et j'ai su qu'un soldat dans les mains de Pompée  
 Avec son diadème a remis son épée.  
 Ainsi ce roi, qui seul a, durant quarante ans,  
 Lassé tout ce que Rome eut de chefs importants,  
 Et qui dans l'Orient balançant la fortune,  
 Vengeait de tous les rois la querelle commune,  
 Meurt, et laisse, après lui, pour venger son trépas,  
 Deux fils infortunés qui ne s'accordent pas.

ARBATE

Vous, Seigneur! Quoi? l'ardeur de régner en sa place  
 Rend déjà Xipharès ennemi de Pharnace?



# მითრიდატი

მოქმედება პირველი.

სცენა I

ქსიფარესი, არბატი.

ქსიფარესი.

არბატ, ცნობა მოგვივიდა მართალი და უტყუარი:  
რომსა დაპრჩა გამარჯვება, მითრიდატი არის მკვდარი.  
ევფრატის-პირ, ღამის ბნელში, დასცემია იმას მტერი—  
გაუცუდდა სიფრთხილზე და სიმამაცე გასაშტერი.  
მისი ჯარი გაქცეულა, ზრძოლა დიდი წააგო-რა,  
მეფე იქვე ჩარჩენილა, სადაც მკვდართა იდგა გორა;  
მითხრეს, ვილაც ჯარის კაცსა სძლია ცოდვის სიდიდემა  
და გადასცა პომპეიუსს მის ხმალი და დიადემა.

ამ გვარად მეფე, რომელიც—აგერ ორმოცი წელია—  
რომის ჯარსა და სარდლობას, ყველას წაწყვიტა წელია,  
ვისაც ხელთ ებყრა სასწორი აღმოსავლეთის ბედისა,  
ყველას ქედს ახრევიანებდა, თვით მოუხრელი ქედისა,  
ეხლა მკვდარია... დაერჩით ჩვენ, ამოსაყრელად შურისა,  
ორი ძმა, მსხვერპლი ორნივე გრძნობისა არა-ძმურისა.

არბატ.

ნუთუ ტახტის მოლოდინში ატყდა შური უაღრესი—  
ერთმანეთსა გარდევინდენ ფარნაკი და ქსიფარესი?

XIPHARÈS

Non, je ne prétends point, cher Arbate, à ce prix  
D'un malheureux empire acheter le débris.  
Je sais en lui des ans respecter l'avantage;  
Et, content des États marqués pour mon partage ,  
Je verrai sans regret tomber entre ses mains  
Tout ce que lui promet l'amitié des Romains.

ARBATE

L'amitié des Romains! Le fils de Mithridate,  
Seigneur! Est-il bien vrai?

XIPHARÈS

N'en doute point, Arbate :  
Pharnace, dès longtemps tout Romain dans le cœur,  
Attend tout maintenant de Rome et du vainqueur.  
Et moi, plus que jamais à mon père fidèle,  
Je conserve aux Romains une haine immortelle.  
Cependant et ma haine et ses prétentions  
Sont les moindres sujets de nos divisions.

ARBATE

Et quel autre intérêt contre lui vous anime?

XIPHARÈS

Je m'en vais t'étonner : cette belle Monime,  
Qui du Roi notre père attira tous les vœux,  
Dont Pharnace, après lui, se déclare amoureux...

## ქსიფარესი.



არა, შური ამისთანა მე არა მაქვს, ჩემო არბატ!  
იმპერიის ნანგრევებსა მე არ ვუმზერ ისე ხარბად.  
ფარნაკს მე არ ვედავები, იგი არის პირმშო შვილი,  
უფლებაცა მას აქვს მეტი, მე მეყოფა ჩემი წილი,  
და ისიც არ მეწყინება, თუ ჩემმა ძმამ იგდო ხელთა  
სულ ის, რასაც მას ჰპირდება მეგობრობა რომაელთა.

## არბატ.

მეგობრობა რომაელთა?! ნუთუ შვილი მითრიდატის  
ეგეთია, ხელმწიფეო? ნუთუ იგი...

## ქსიფარესი.

აჰ, არბატ, ის

დიდი ხანია, მერწმუნე, რომაელია გულითა,  
მათ გამარჯვებას შეჰყურებს იმედით, სიხარულითა.  
მე კი მამის ვარ ერთგული, მიყვარს მე ჩემი მშობელი,  
და მძულვარებაც რომისა მიღვივის გაუქრობელი.  
მაგრამ ეს სხვადასხვაობა გრძნობის თუ აზროვნებისა  
არ არის შორი მიზეზიც ჩვენი განხეთქილებისა.

## არბატ.

რა მიზეზია მაშ? რაა?

## ქსიფარესი.

ახ, 'გაგაკვირვებ მგონი მე:

ეს საამური არსება, ეს მშვენიერი მონიმი,  
რომელიც თავის საბედოდ დანიშნულ ჰყავდა მამასა,  
რომელსაც ეტრფის ფარნაკიც, და არცა ჰმალავს ამასა...

ARBATE

Hé bien, Seigneur ?

XIPHARÈS

Je l'aime et ne veux plus m'en taire ,  
Puisqu'enfin- pour rival je n'ai plus que mon frère.  
Tu ne t'attendais pas sans doute à ce discours ,  
Mais ce n'est point, Arbate, un secret de deux jours.  
Cet amour s'est longtemps accru dans le silence.  
Que n'en puis-je à tes yeux marquer la violence,  
Et mes premiers soupirs, et mes derniers ennuis ?  
Mais en l'état funeste où nous sommes réduits,  
Ce n'est guère le temps d'occuper ma mémoire  
A rappeler le cours d'une amoureuse histoire.  
Qu'il te suffise donc, pour me justifier,  
Que je vis , que j'aimai la reine le premier ;  
Que mon père ignorait jusqu'au nom de Monime,  
Quand je conçus pour elle un amour légitime.  
Il la vit. Mais au lieu d'offrir à ses beautés  
Un hymen, et des vœux dignes d'être écoutés,  
Il crut que, sans prétendre une plus haute gloire,  
Elle lui céderait une indigne victoire.  
Tu sais par quel effort il tenta sa vertu ;  
Et que lassé d'avoir vainement combattu,  
Absent, mais toujours plein de son amour extrême,  
Il lui fit par tes mains porter son diadème.  
Juge de mes douleurs, quand des bruits trop certains  
M'annoncèrent du Roi l'amour et les desseins ;  
Quand je sus qu'à son lit Monime réservée  
Avait pris, avec toi, le chemin de Nymphée !

მერე?

### ქსიფარესი

მეც მიყვარს!.. დამწვარსა, ეხლა ვერ მომითმენია, ჩემი ძმა წინ რომ მეჭრება, მეტოქედ გამომჩენია.

ეს არ არის საიდუმლო, არბატ, მხოლოდ დღისა ორის. მე ეს ტრფობა დამებადა ღუმილსა და სევდას შორის. რაღა გითხრა, როგორ უნდა ავიწერო ამოდენა ჩემი გულის წვა და ხალვა, დაფარული ცრემლთა დენა? უფრო ეხლა, როცა ბნელში გაიხვია მთა და ბარი, განა ღროა ამ საგანზე ჩამოგიგდო საუბარი?

ღრო აღარ არის მოგითხრა ამბავი მოუთხრობელი; იცოდე:—მე ეს შევენება, ჩემი გულისა მფლობელი, პირველ ვნახე და მომედო იმ წამს ტრფობისა ალები, შემდეგ ის მეფემ შექნიშნა, დარჩა იმაზე თვალები; მან არ იცოდა, ვინ იყო ეს ტურფა ვარდი, ეს ია, მე კი მის შერთვა მინდოდა, როგორც რიგი და წესია.

მამა-ჩემმა, მის მაგიერ რომ ეთხოვა ხელი მისი, რომ იმისთვის შეეთვალა სიტყვა უფრო საკადრისი, იფიქრა, რომ ვარდი უკვე გაშლილია მოსაწყვეტად, სათამაშოდ, სალალობოდ, წუთი ვნების ჩასაშრეტად; რა არ სცადა, რა ღონენი, რომ მოეგო მისი გული, მაგრამ მიზანს ველარ მიწვდა, დარჩა დამწვარ-დადაგული.

შემდეგ მოჰშორდა... შორიდან მწვარმა აღითა მწველითა, მას შესთავაზა გვირგვინი, მიართვა შენი ხელითა; შენ თვითონ იყავ მეფისა შუამავალი, და მეცა, ეს ამბავი რომ გავიგე, გულზე ლახვარი დამეცა: მონიმე, ჩემი არჩეულ, ჩემად მიმაჩნდა რომელი, ნიმფეას გზასა გაუდგა, ჩემთვის ხელ-მიუწლომელი.

Hélas! ce fut encor dans ce temps odieux  
 Qu'aux offres des Romains ma mère ouvrit les yeux;  
 Ou pour venger sa foi par cet hymen trompée,  
 Ou ménageant pour moi<sup>3</sup> la faveur de Pompée,  
 Elle trahit mon père, et rendit aux Romains  
 La place et les trésors confiés en ses mains.  
 Quel devins-je au récit du crime de ma mère!  
 Je ne regardai plus mon rival dans mon père;  
 J'oubliai mon amour par le sien traversé :  
 Je n'eus devant les yeux que mon père offensé .  
 J'attaquai les Romains; et ma mère éperdue  
 Me vit, en reprenant cette place rendue ,  
 A mille coups mortels contre eux me dévouer ,  
 Et chercher, en mourant, à la désavouer.  
 L'Euxin , depuis ce temps, fut libre, et l'est encore;  
 Et des rives de Pont aux rives du Bosphore  
 Tout reconnut mon père; et ses heureux vaisseaux  
 N'eurent plus d'ennemis que les vents et les eaux.  
 Je voulais faire plus : je prétendais , Arbate,  
 Moi-même à son secours m'avancer vers l'Euphrate.  
 Je fus soudain frappé du bruit de son trépas.  
 Au milieu de mes pleurs, je ne le cèlc pas,  
 Monime, qu'en tes mains mon père avait laissée ,  
 Avec tous ses attraits revint en ma pensée.  
 Que dis-je? En ce malheur je tremblai pour ses jours;  
 Je redoutai du Roi les cruelles amours :  
 Tu sais combien de fois ses jalouses tendresses  
 Ont pris soin d'assurer la mort de ses maîtresses .  
 Je volai vers Nymphée; et mes tristes regards  
 Rencontrèrent Pharnace au pied de ses remparts.  
 J'en conçus, je l'avoue, un présage funeste.

როცა ვიყავ ამ ყოფაში, ტანჯვამ გული დამიღარა, დედა-ჩემიც სამწუხაროდ რომისაკენ გადიხარა; გადიხარა ის საწყალი, ქმრის ღალატით დადაგული, და რომ ჯავრი მით ეყარა, თან მოეგო რომის გული, მან გადასცა რომაელებს სიმაგრე და მთა და ბარი, რაცა ჰქონდა სამმართველოდ მეფის მიერ ჩანაბარი.

გადავირიე—გავიგე რა მე ღალატი დედისა, მამა არ იყო ამიერ ჩამშლელი ჩემი ბედისა; მე დამავიწყდა ჭრილობა, ტრფობა ლახვარად სობილი, თვალ-წინა მედგა ამიერ მამა შეურაცხ-ყოფილი. ვეცი მე მტერსა, მოვარტყი ქალაქს რკინის რკალები, ციხე ავიღე, გავდევენე რომაელების ძალები.

თავგანწირვით შევებრძოლე, ვძლიე მტერი იმოდენი, ამოვშალე ის შერცხვენა დედის-მიერ ჩანადენი. ამ დღიდანა ექვსინის ზღვა ჩვენია და გვრჩება კიდე, პონტიდანა ბოსფორამდე ჩვენს ხელშია კილით-კიდე; განვამტკიცე მამის ძალა: ეხლა მისი გემს თუ ნაევებს მტერი არსით ემუჭრება, ტალღა მშვიდად აქანავებს.

მეტიც მინდოდა მე, არბატ, ქმნა საქმის უფრო დიდისა, დაბყრობა ჩემი ჯარითა მთელი ევფრატის კიდისა, მაგრამ გავიგე—მოელო ბოლო უბედურ მამასა, და მაშინ, მაშინ... ახ, არბატ, ვერ დაგიმალავ ამასა: მონიმე, მამამ საწყალმა შენ ჩაგაბარა რომელი, ისევ აღმოხდა ამ გულში ტკბილი და დამათრობელი.


მართალ გითხრა, მე ყოველთვის სავსე მქონდა შიშით გული, ვიცოდი, რომ უწყალოა მამი-ჩემის სიყვარული. კარგად იცი, მის ალერსმა, ეჭვით სავსე მის ტრფიალმა, სატრფო ბევრი შეიწირა, ბევრსაც შხამით მიესალმა; და მეც აქეთ გამოვიქეცე, რაღაც შიშმა ამიტანა, და აქ ფარნაკს შევეხეჩე სასახლისა კარებთანა.

ვიგრძენ, შეხვედრა არ იყო სიკეთის მომასწავლები,

Tu nous reçus tous deux, et tu sais tout le reste.  
Pharnace, en ses desseins toujours impétueux,  
Ne dissimula point ses vœux présomptueux.  
De mon père à la Reine il conta la disgrâce,  
L'assura de sa mort, et s'offrit en sa place.  
Comme il le dit, Arbate, il veut l'exécuter.  
Mais enfin, à mon tour, je prétends éclater  
Autant que mon amour respecta la puissance  
D'un père, à qui je fus dévoué dès l'enfance,  
Autant ce même amour, maintenant révolté,  
De ce nouveau rival brave l'autorité.  
Ou Monime, à ma flamme elle-même contraire,  
Condamnera l'aveu que je prétends<sup>7</sup> lui faire;  
Ou bien quelque malheur qu'il en puisse avenir,  
Ce n'est que par ma mort qu'on la peut obtenir.  
Voilà tous les secrets que je voulais t'apprendre.  
C'est à toi de choisir quel parti tu dois prendre :  
Qui des deux te paraît plus digne de ta foi,  
L'esclave des Romains, ou le fils de ton roi?  
Fier de leur amitié, Pharnace croit peut-être  
Commander dans Nymphée, et me parler en maître.  
Mais ici mon pouvoir ne connaît point le sien :  
Le Pont est son partage, et Colchos est le mien;  
Et l'on sait que toujours la Colchide et ses princes  
Ont compté ce Bosphore au rang de leurs provinces.

ARBATE

Commandez-moi, Seigneur. Si j'ai quelque pouvoir,  
Mon choix est déjà fait, je ferai mon devoir.  
Avec le même zèle, avec la même audace  
Que je servais le père et gardais cette place



სისხლი ამემღვრა, კინალამ გულის სიფიცხეს წავები.  
 ფარნაკი თავის ვნებაში გიჟია, დაუდგრომელი,  
 არ ჰმალავს, რაცა სწადიან, რაცა აქვს მოსანდომელი;  
 უამბო იმან მონიმეს უბედურება ჟამისა,  
 ხელი ჰთხოვა და წარუდგა, ვით მოადგილე მამისა.

მზადვე არის იგი, არბატ, ასრულოს მის ნათქვამი,  
 მეც ხმა უნდა ამოვიღო, მოქმედების დადგა ჟამი.  
 რამოდენად სირყმიდანვე მე მიყვარდა მამა-ჩემი,  
 რამოდენად მის ერთგული და პატივის ვიყავ მცემი,  
 იმოდენად ველარ იტანს ამ მეტოქეს ჩემი გული  
 და პასუხსა ჩემგან ითხოვს მის მოქცევა თავ-გასული.

ანუ მონიმე განმწირავს, არ იზიარებს ამ აღსა,  
 უარსა შეტყვის ცეცხლ-ნადებს, არ მომაშველებს წამალსა,  
 ან თვით ვიპოვი სიკვდილსა სადმე ბრძოლისა მე ველად,  
 ხოლო მას ვერვის დავუთმობ სისხლისა დაუნთხეველად.  
 აი, გითხარი, შენ განდობ, რაც საიდუმლო მქონია.  
 ეხლა შენ იცი, იგი ჰქმენ, რაც შესაფერი გგონია.

შენ ვისა ჰთვლი ღირსეულად, ვისა აძლევ მეტსა წონას:  
 დიდი მეფის ერთგულ შვილსა, თუ რომისა ყმა და მონას?  
 ფარნაკ რომის შემწეობით ჰფიქრობს მიზანს მიახწიოს,  
 იმედი აქვს ამ მხარეში ბატონობა გაგვიწიოს.

ტყუილია, ღირსეული მაქვს პასუხი გასაცემი:  
 პონტი წილად თუ მას ერგო, კოლხეთი ხომ არის ჩემი?  
 ვინ არ იცის, რომ აქამდის კოლხეთისა მოდის ზღვარი  
 და უდავოდ მაში შედის ამ მხარისა მთა და ბარი.

**არბატ.**

რას მეკითხებით, ბატონო, რალა მაქვს ასარჩეველი?  
 თქვენი ვარ. როგორც ვიყავი, მტკიცე და შეურყეველი.  
 იმავე თავგამოდებით, იმავე დაფაცურებით,  
 როგორც მამა-თქვენს წინეთა, ეხლა თქვენ გემსახურებით.

Et contre votre frère, et même contre vous,  
Après la mort du Roi, je vous sers contre tous.  
Sans vous, ne sais-je pas que ma mort assurée  
De Pharnace en ces lieux allait suivre l'entrée?  
Sais-je pas que mon sang, par ses mains répandu,  
Eût souillé ce rempart contre lui défendu?  
Assurez-vous du cœur et du choix de la reine;  
Du reste, ou mon crédit n'est plus qu'une ombre vaine,  
Ou Pharnace, laissant le Bosphore en vos mains,  
Ira jouir ailleurs des bontés des Romains.

SCÈNE II. — MONIME, XIPHARÈS

MONIME

Seigneur, je viens à vous; car enfin aujourd'hui,  
Si vous m'abandonnez, quel sera mon appui?  
Sans parents, sans amis, désolée et craintive,  
Reine longtemps de nom, mais en effet captive,  
Et veuve maintenant sans avoir eu d'époux,  
Seigneur, de mes malheurs ce sont là les plus doux.  
Je tremble à vous nommer l'ennemi qui m'opprime.  
J'espère toutefois qu'un cœur si magnanime  
Ne sacrifiera point les pleurs des malheureux  
Aux intérêts du sang qui vous unit tous deux.  
Vous devez à ces mots reconnaître Pharnace.  
C'est lui, Seigneur, c'est lui dont la coupable audace  
Veut, la force à la main, m'attacher à son sort  
Par un hymen pour moi plus cruel que la mort.  
Sous quel astre ennemi faut-il que je sois née?  
Au joug d'un autre hymen sans amour destinée,

სიკვდილის შემდეგ მეფისა, აქ არ მოხდება ცვლილება,  
შევებრძოლები ყველას, ვინც ამაში შემეცილება.

დარდი ნუ გაქვს! ოღონდ თავი მოაწონეთ დედოფალსა.  
და თუ სულ არ დაჰკარგვია სიმჭრიახე ჩემსა თვალსა,  
თქვენმა ძმამა აქ კი არა, რამოდენაც არ ეცადოს,  
რომაელთა მოწყალება სხვაგან უნდა გაინაღდოს.

## სცენა II

მონიმე, ქსიფარესი.

მონიმე.

თავადო! თქვენთან მოვდივარ, ცრემლით საცხე მაქვს  
თვალეზი.

თუ თქვენ არ დამეხმარებით, სხვასა ვის შევებრალეზი?  
მარტო ვარ, შემწე არა მყავს, არცა ვინ მისანდობელი,  
დედოფალი ვარ სახელით, მონა ცრემლ-შეუშრობელი,  
დაქვრივებულიც, თუმცა კი ჯერ არ მინახავს ქმარია,  
თავადო, ჩემი სიცოცხლე მხოლოდ ცრამლისა ღვარია.

მეშინია გაგიმელავნოთ, ვინცა მღვენის, მის სახელი,  
იმედი მაქვს, დიდ-სულოვნად მომეზურობა თქვენი ხელი,  
არ შესწირავს ნათესავსა, თუნდაც თქვენსა გვარეულსა,  
ჩემსა გულსა და გონებას, მწუხარებით არეულსა.  
მიხვდებოდით, ვიზე ვამბობ, ვიზე ვჩივი უბედური,  
ვინ არ იცის ფარნაკისა ზნე და ქცევა თავბედური?

მას ჰსურს შემირთოს ძალათი... ახ, შემაზარი რამ არის  
ფიქრიც მის მეუღლეობის, როგორც სიცივე სამარის.  
რა ვარსკლავის ქვეშ ვყოფილვარ მე უბედური შობილი! :  
ჯერ მიყვებოდი მეფესა სევდით გულს ლახვარ-სობილი,

A peine je suis libre et goûte quelque paix,  
Qu'il faut que je me livre à tout ce que je hais .  
Peut-être je devrais, plus humble en ma misère,  
Me souvenir du moins que je parle à son frère.  
Mais, soit raison, destin, soit que ma haine en lui  
Confonde les Romains dont il cherche l'appui,  
Jamais hymen formé sous le plus noir auspice  
De l'hymen que je crains n'égala le supplice.  
Et si Monime en pleurs ne vous peut émouvoir,  
Si je n'ai plus pour moi que mon seul désespoir,  
Au pied du même autel où je suis attendue,  
Seigneur, vous me verrez, à moi-même rendue,  
Percer ce triste cœur qu'on veut tyranniser,  
Et dont jamais encor je n'ai pu disposer.

XIPHARÈS

Madame, assurez-vous de mon obéissance;  
Vous avez dans ces lieux une entière puissance :  
Pharnace ira, s'il veut, se faire craindre ailleurs.  
Mais vous ne savez pas encor tous vos malheurs.

MONIME

Hé! quel nouveau malheur peut affliger Monime,  
Seigneur?

XIPHARÈS

Si vous aimer c'est faire un si grand crime,  
Pharnace n'en est pas seul coupable aujourd'hui;  
Et je suis mille fois plus criminel que lui.

MONIME

Vous!

ეხლა, როდესაც გაირღვა რკალი ბედისა კრულისა, ნუთუ კვლავ უნდა ჩაუკლა გულში ვნებანი გულისა?

შეიძლება ამ ტანჯვაში თმენა მეტი უნდა მქონდეს, თქვენ ჰბრძანდებით ფარნაკის ძმა, ესეც უნდა მომაგონდეს. მე არ ვიცი, რა მიზეზით, ბედია თუ ანგარიში, მაგრამ იგი რომთან არის, დარდი არ აქვს სხვა და შიში, როგორ გავყვე? არა, არა. ცეცხლია და ტანჯვის ალი ის, რასაცა მე მიმზადებს უკუღმართი ილიბალი.

და თუ მონიმე ბედკრული თქვენა არ შეგებრალებათ, თუ უნდა დაჰრჩეს განწირულ, სევდა მოედოს ალებად, წავალ, წავრდგები საყდარში ისევ გულითა ხელითა და, დამერწმუნეთ, თავადო, იქვე ჩემივე ხელითა, რომ მოერჩე, ბოლო მოვულო ტანჯვასა ამისთანასა, თავსა მოვიკლამ უთუოდ, გულზე დავიცემ დანასა.

ქსიფარესი.

დედოფალო! თქვენ გეკუთვნის სრულად ჩემი ერთგულება, აქ ხელმწიფე თქვენ ხართ მარტო, სხვა არავინ მეგულება. აქ ვერ გასჭრის, დამერწმუნეთ, ფარნაკისა თავხედობა. მაგრამ სჩანს, თქვენ არც კი იცით ყველა თქვენი უბედობა.

მონიმე

რაა კიდევ? რას მიმზადებს კიდევ ეს დრო ცრუ და ფლიდი?

ქსიფარესი.

თუ თქვენდამი სიყვარული შეცოდება არის დიდი, თქვენ-წინ ბრალი ამისთანა მარტო ფარნაკს არ ედება: აქ ათას-ჯერ უფრო მეტი მე მიმიძღვის შეცოდება.

მონიმე.

თქვენ?!

### XIPHARÈS

Mettez ce malheur au rang des plus funestes ;  
Attestez , s'il le faut, les puissances célestes  
Contre un sang malheureux, né pour vous tourmenter,  
Père, enfants, animés à vous persécuter ;  
Mais, avec quelque ennui que vous puissiez apprendre  
Cet amour criminel qui vient de vous surprendre ,  
Jamais tous vos malheurs ne sauraient approcher  
Des maux que j'ai soufferts en le voulant cacher .  
Ne croyez point pourtant que, semblable à Pharnace,  
Je vous serve aujourd'hui pour me mettre en sa place.  
Vous voulez être à vous, j'en ai donné ma foi ,  
Et vous ne dépendrez ni de lui ni de moi.  
Mais quand je vous aurai pleinement satisfaite,  
En quels lieux avez-vous choisi votre retraite ?  
Sera-ce loin, Madame, ou près de mes États ?  
Me sera-t-il permis d'y conduire vos pas ?  
Verrez-vous d'un même œil le crime et l'innocence ?  
En fuyant mon rival, fuirez-vous ma présence ?  
Pour prix d'avoir si bien secondé vos souhaits,  
Faudra-t-il me résoudre à ne vous voir jamais ?

### MONIME

Ah! que m'apprenez-vous ?

### XIPHARÈS

Hé quoi? belle Monime,  
Si le temps peut donner quelque droit légitime,  
Faut-il vous dire ici que le premier de tous  
Je vous vis, je formai le dessein d'être à vous,

## ქსიფარესი.



უბედობა დიდია, რომელსაც ეხლა ვეხები.  
მოსთხოვეთ ცისა ძალებსა ჩვენზე რისხვა და მეხები.  
მამა, შვილები, ყველანი თქვენი გამხდარან ჯალათი,  
რომ თავიანთი სურვილი თქვენ მოგახვიონ ძალათი.  
მაგრამ საწყენიც რომ იყოს თქვენთვის ეს კენესა გულისა,  
სიჩუმე მეტად ძნელია, მალვა ყოველთვის წყლულისა;  
ვერ წარმოიდგენთ იმასა, ის ტანჯვა იმოდენია,  
რაცა მე ცეცხლი მინახავს, რაცა მე ცრემლი მდენია.

არ იფიქროთ, გვეედრებით, არ დამწამოთ ეს სიფლიდე,  
რა ფარნაკი მოგაშოროთ, მის მაგიერ გამოვიდე.  
ბატონი ხართ თქვენი თავის, ვერ შევახებთ ხელსა, ვიცი,  
ვერცა მე და ვერცა იგი, მომიცია ამის ფიცი;  
მაგრამ შემდეგ, რა მოვრჩებით ამ წვრილმანსა გასაჭირსა,  
საით წახვალთ, გაანათებთ ნეტა რომელ ქვეყნის პირსა?

ახლო იქნება თუ შორსა ჩემი სამეფოს ზღვარები?  
არ შეიძლება გეახლოთ, ჩემი გაგიღოთ კარები?  
ნუთუ ერთგვარად ისჯება ნეტა კარგიც და ავიცა  
და ფარნაკს შეეწირება აგრეთვე ჩემი თავიცა?  
და თუ მექნება თქვენ წინა ცოტათი დამსახურება,  
ნუთუ სულ უნდა მომესპოს თქვენი ნახვა და ყურება?

## მონიშნე.

ახ, რა მესმის, ღმერთო ჩემო!

## ქსიფარესი.

მშვენიერო! წარსულ ხანი  
თუ საბუთად გამოდგება, თუ აქ არის მოსატანი,  
უნდა გითხრათ: რა რომ გნახეთ, „ის ჩემია, ჩემი-მეთქი!“  
ეს გრძნობა-ღა წამომენთო, გულში ალად ანაფეთქი,

Quand vos charmes naissants, inconnus à mon père,  
N'avaient encor paru qu'aux yeux de votre mère?  
Ah! si, par mon devoir forcé de vous quitter,  
Tout mon amour alors ne put pas éclater ,  
Ne vous souvient-il plus, sans compter tout le reste ,  
Combien je me plaignis de ce devoir funeste?  
Ne vous souvient-il plus, en quittant vos beaux yeux,  
Quelle vive douleur attendrit mes adieux?  
Je m'en souviens tout seul : avouez-le, Madame,  
Je vous rappelle un songe effacé de votre âme.  
Tandis que, loin de vous, sans espoir de retour,  
Je nourrissais encore un malheureux amour,  
Contente , et résolue à l'hymen de mon père,  
Tous les malheurs du fils ne vous affligeaient guère.

MONIME

Hélas!

XIPHARÈS

Avez-vous plaint un moment mes ennuis?

MONIME

Prince..., n'abusez point de l'état où je suis.

XIPHARÈS

En abuser , ô ciel! quand je cours vous défendre,  
Sans vous demander rien , sans oser rien prétendre :  
Que vous dirai-je enfin? Lorsque je vous promets  
De vous mettre en état de ne me voir jamais?

მაშინ, როცა მამა-ჩემსა ჯერე კიდევ არ ენახეთ,  
და ჯერ კიდევ დედის ხელში ბავშვი ბავშვად ამესახეთ.

ახ, მაშინ ვერ შევისრულე წადილი ჩემი გულისა,  
მოგშორდი, ველარ გაგანდე ეს ალი სიყვარულისა.  
განა არ გახსოვს ის წამი,—სხვაზე რა ვილაპარაკო?—  
ოჰ წამო, სევდით სავსეო, ჩემი სიცოცხლის არაკო!—  
ის წამი, როცა მოვწყვიტე თვალი თქვენს ტურფა თვალებსა,  
გამოგეთხოვე, მივეცი გული უშრეტსა ალებსა?  
მე კარგად მახსოვს, თქვენა კი კვალიც არ შეგრჩათ ამისა,  
დავიწყებასა მიეცით, ვითა სიზმარი ღამისა.

შემდეგ, როცა შორს ვიყავი, მწუხარება ტვირთად მედო,  
სიყვარულსა მაინც ვზრდიდი, უმწეო და უიმედო;  
თქვენ გაჰყევით მამა-ჩემსა, ცრემლით სახეს არა ჰბანდით,  
არ ჰფიქრობდით, საწყალ შეილსა თუ რა ტანჯვას  
მოუტანდით.

მონიმე.

ღმერთო!

ქსიფარესი.

ერთხელ მომიგონეთ? შებრალებით თუნდაც მცირით?

მონიმე.

ხელმწიფეო! ნუ ჰსარგებლობთ ეხლა ჩემი გასაჭირით.

ქსიფარესი.

მე ვსარგებლობ!? პოი ღმერთო! სიტყვას გაძლევთ არა  
ქრელად,

დაგიცვა და გემსახურო უალთქმოდ და უვაჭრელად!..  
რა უნდა ვსთქვა ამის მეტი? დამიდვია ესე პირი:  
სამუდამოდ მოგშორდები, წამილია თქვენი ქირი.

MONIME

C'est me promettre plus que vous ne sauriez faire.

XIPHARÈS

Quoi? malgré mes serments, vous croyez le contraire?  
Vous croyez qu'abusant de mon autorité,  
Je prétends attenter à votre liberté?  
On vient, Madame, on vient... Expliquez-vous, de grâce :  
Un mot.

MONIME

Défendez-moi des fureurs de Pharnace.  
Pour me faire, Seigneur, consentir à vous voir,  
Vous n'aurez pas besoin d'un injuste pouvoir.

XIPHARÈS

Ah! Madame...

MONIME

Seigneur, vous voyez votre frère.

SCÈNE III. — MONIME, PHARNACE, XIPHARÈS

PHARNACE

Jusques à quand, Madame, attendrez-vous mon père?  
Des témoins de sa mort viennent à tous moments

მონიშე.

დაპირება ამისთანა არ გამოდის ზოგჯერ მტკიცე.

ქსიფარესი.

როგორ? ჩემი არა გჯერათ? მე ხომ ვსთქვი და დავიფიცე?  
როცა ძალა ჩემს ხელშია და უფლებაც მე მექნება,  
რად გგონიათ, დედოფალო, გადავლახო თქვენი ნება?!  
ვილაც მოდის... ღვთის გულისთვის ამიხსენით... ჰბრძანეთ  
რამე.

მონიშე.

დამიფარეთ! წრეს გადადის ფარნაკისა სითამამე.  
თქვენ თუ ვნებავთ, ხელმწიფეო, მეც რომ მსურდეს  
თქვენი ნახვა,  
თქვენ ამისთვის არ გჭირიათ ჩემი ნების გადალახვა.

ქსიფარესი

დედოფალო!

მონიშე.

ხელმწიფეო, თქვენი ძმაა... აგერ მოდის.

---

სცენა III

მონიშე, ფარნაკი, ქსიფარესი.

ფარნაკი.

სულ მოელთ მამა-ჩემსა? დედოფალო, ნეტა როდის  
ირწმუნებთ, რომ მის სიკვდილი ამბავია უკვე ძველი:

Condamner votre doute et vos retardements  
Venez, fuyez l'aspect de ce climat sauvage,  
Qui ne parle à vos yeux que d'un triste esclavage.  
Un peuple obéissant vous attend à genoux,  
Sous un ciel plus heureux et plus digne de vous.  
Le Pont vous reconnaît dès longtemps pour sa reine :  
Vous en portez encor la marque souveraine ;  
Et ce bandeau royal fut mis sur votre front  
Comme un gage assuré de l'empire de Pont.  
Maître de cet État que mon père me laisse,  
Madame, c'est à moi d'accomplir sa promesse.  
Mais il faut, croyez-moi, sans attendre plus tard,  
Ainsi que notre hymen presser notre départ.  
Nos intérêts communs et mon cœur le demandent.  
Prêts à vous recevoir, mes vaisseaux vous attendent,  
Et du pied de l'autel vous y pouvez monter,  
Souveraine des mers qui vous doivent porter.

MONIME

Seigneur, tant de bontés ont lieu de me confondre .  
Mais, puisque le temps presse, et qu'il faut vous répondre,  
Puis-je, laissant la feinte et les déguisements ,  
Vous découvrir ici mes secrets sentiments<sup>1</sup>?

PHARNACE

Vous pouvez tout.

MONIME

Je crois que je vous suis connue.  
Éphèse est mon pays , mais je suis descendue  
D'aïeux, ou rois, Seigneur, ou héros, qu'autrefois  
Leur vertu , chez les Grecs, mit au-dessus des rois .



თქვენს იმედსა აზრი არ აქვს, თქვენს ლოდინსა—საფუძველი.  
წამობრძანდით, მიატოვეთ ეს ველური არე-მარე,  
სადაც კმარა, რაც რომ ჰნახეთ მონობა და სიმწუხარე;  
წამობრძანდით, ხალხი გველის მორჩილი და მუხლ-მოყრილი,  
იქ ცა უფრო ლამაზია და ცხოვრება უფრო ტკბილი.

პონტი დედოფლად თქვენა გცნობს, თქვენ გელის  
გახარებული,  
ტახტზე თქვენ უნდა ჰბრწყინავდეთ, ეს იყო დაპირებული;  
ეს თავსაკრავი მეფური, თავზე გადგიათ რომელი,  
საწინდარია ამისი სწორი და მიუცდომელი,  
მეფე კი მე ვარ ამ ქვეყნის, მოცილე არ მყავს ამისა.  
და მინდა სრულ-ვეო დღესავე დაპირებანი მამისა.

დედოფალო! არა გვმართებს ეხლა ხანის დაყოვნება,  
საქიროა წასვლა ჩვენი, დავაჩქაროთ ქორწინება;  
ამას ითხოვს სამეფო და უფრო მეტად ჩემი გული,  
გემიც უკვე მზადა არის მორთული და მოკაზმული.  
საყდრიდანა პირდაპირა აბრძანდებით მაზე თქვენა  
და წაგიყვანს ზღვათა მფლობელს მხიარული ტალღის დენა.

**მონიმე.**

მეფეო, ღირსი არა ვარ ამდენ პატივისცემისა,  
და ვინაიდან მოსმენა გნებავეთ პასუხის ჩემისა,  
ნება მომეციოთ გულწრფელად გადაგიშალოთ სულ ისა,  
რასაც ვატარებ, რაცა მაქვს საიდუმლონი გულისა.

**ფარნაკი.**

შეგიძლიათ ყველაფერი.

**მონიმე.**

თქვენ კარგად იცნობთ ეფესსა;  
მე იქ ვარ დაბადებული, პირველ იქ შევხდი მეფესა.

Mithridate me vit; Éphèse, et l'Ionie  
A son heureux empire était alors unie.  
Il daigna m'envoyer ce gage de sa foi .  
Ce fut pour ma famille une suprême loi :  
Il fallut obéir. Esclave couronnée,  
Je partis pour l'hymen où j'étais destinée.  
Le Roi, qui m'attendait au sein de ses États,  
Vit emporter ailleurs ses desseins et ses pas,  
Et, tandis que la guerre occupait son courage ,  
M'envoya dans ces lieux éloignés de l'orage.  
J'y vins : j'y suis encor. Mais cependant , Seigneur,  
Mon père paya cher ce dangereux honneur,  
Et les Romains vainqueurs, pour première victime,  
Prirent Philopœmen , le père de Monime.  
Sous ce titre funeste il se vit immoler ;  
Et c'est de quoi, Seigneur, j'ai voulu vous parler.  
Quelque juste fureur dont je sois animée,  
Je ne puis point à Rome opposer une armée ;  
Inutile témoin de tous ses attentats,  
Je n'ai pour me venger ni sceptre ni soldats ;  
Enfin je n'ai qu'un cœur. Tout ce que je puis faire,  
C'est de garder la foi que je dois à mon père,  
De ne point dans son sang aller tremper mes mains,  
En épousant en vous l'allié des Romains.

PHARNACE

Que parlez-vous de Rome et de son alliance ?  
Pourquoi tout ce discours et cette défiance ?  
Qui vous dit qu'avec eux je prétends m'allier ?

მითრიდატმა დამინახა. ეფესი და იონია  
მას ეჭირა, უტურფესი მას ქვეყანა არ ჰქონია.  
მან მომართვა ეს გვირგვინი, ცხადი იყო მის განძრასკა.  
ეს კანონი იყო ჩვენთვის, ვის შეეძლო გადალახვა?  
მეც დავიდგი იგი თავზედ, დავმორჩილდი, წამოვედი  
იქ, სადაცა ქორწინებად მიმიწვევდა ჩემი ბელი.  
იქ მეფეცა მიმელოდა, მაგრამ მალე იქიდანა  
მან სამხედრო მოქმედება სხვა მხარეში გადიტანა;  
და სანამ მტერს მუსრს ავლებდა სახელოვან მისი ხმალი,  
მე აქეთკენ გამომგზავნა, ამაცდინა ქარიშხალი.

აქ ჩამოვედი, აქა ვარ... უნდა დავძინო ამასა:  
ძვირად დაუჯდა ყველა ეს ჩემსა უბედურ მამასა.  
რა გამარჯვება რომს დაპრჩა, სისხლის ალების მდომენი  
მიცეინდნენ. პირველ შეიბურეს საწყალი ფილიპომენი  
და თავი მოსჭრეს საცოდავს, როგორც მონიმეს მამასა.  
ეხლავ აგიხსნით, ხელმწიფევ, რად მოგახსენებთ ამასა.

რა ძნელიცა რომ არ იყოს ჩემი წვა და ცრემლის დენა,  
რომსა წინ ვერ აღეუდგები, არ მაქვს ძალა იმოდენა.  
მე მოწმე ვარ ამ ამბების, უმწუო და უბედური,  
ტახტი არ მაქვს, არ მყავს ჯარი,—როგორ უნდა ვაგო შური?  
რალა დამრჩა? მხოლოდ გული, სიყვარულის წმიდა ალი,  
რომ პირნათლად მოვიხადო მამისადმი ჩემი ვალი.  
მამის სისხლი შემლაღადებს, ვერ დავიბან მაში ხელსა,  
ვერ გავყვები რომის მომხრეს, ვერ ვატარებ მის სახელსა.

### ფარნაკი.

რა რომია? რისი მომხრე? რასა ჰბრძანებთ, დედოფალო?  
მე არ მესმის ეს სიტყვები საწყენი და საეალალო.  
ვინ მოგახსენათ, ბატონო, რომ მე მომხრე ვარ რომისა?

MONIME

Mais vous-même, Seigneur, pouvez-vous le nier?  
Comment m'offririez-vous l'entrée et la couronne  
D'un pays que partout leur armée environne,  
Si le traité secret qui vous lie aux Romains  
Ne vous en assurait l'empire et les chemins?

PHARNACE

De mes intentions je pourrais vous instruire,  
Et je sais les raisons que j'aurais à vous dire,  
Si laissant en effet les vains déguisements,  
Vous m'aviez expliqué vos secrets sentiments.  
Mais enfin je commence, après tant de traverses,  
Madame, à rassembler vos excuses diverses;  
Je crois voir l'intérêt que vous voulez celer,  
Et qu'un autre qu'un père ici vous fait parler.

XIPHARÈS

Quel que soit l'intérêt qui fait parler la Reine,  
La réponse, Seigneur, doit-elle être incertaine?  
Et contre les Romains votre ressentiment  
Doit-il pour éclater balancer un moment?  
Quoi? nous aurons d'un père entendu la disgrâce,  
Et lents à le venger, prompts à remplir sa place,  
Nous mettrons notre honneur et son sang en oubli?  
Il est mort : savons-nous s'il est enseveli?  
Qui sait si dans le temps que votre âme empressée  
Forme d'un doux hymen l'agréable pensée,  
Ce roi, que l'Orient tout plein de ses exploits  
Peut nommer justement le dernier de ses rois,

## მონიშნე.



არ შეგიძლიათ თქვენ თვითონ უარისყოფა ამისა: მაშ როგორ გინდათ მე დამსვათ დედოფლად ისეთ მხარეში, სადაც ჯერ არც კი შემწყყდარა რომის ლაშქართა თარეში, თუ საქმე რომთან არა გაქვთ პირობით გამოწყობილი და გზები, თქვენი სამეფოც, ამით უზრუნველ-ყოფილი?

## ფარნაკი.

ჩემი განძრახვა შემეძლო მე თქვენთვის გამეზიარა, თქვენ რომ გამოსულ-იყავით, ცრუ სამოსელით კი არა, არამედ მეტი ნდობითა, მეტი სიწრფელით ენისა, და აგრე ჩემთვის გაგენდოთ დარდი გულისა თქვენისა.

მაგრამ როცა მოვისმინე სიტყვა თქვენი მედიდური, რომ ავწონე ყველა თქვენი ბოდიში თუ საყვედური, მივხვდი თქვენსა გულისთქმასა, ვერ შესძელით გადამალვა: მამა არა, სხვა რამეა თქვენი გულის წვა და ხალვა.

## ქსიფარესი.

როგორცა რომ არ იყოს დედოფლისა გულის თქმანი, აქ პასუხი საჭიროა სწორი, არა ბუნდოვანი, და რომისა წინააღმდეგ თქვენი აზრი, თქვენი გრძნობა, გადაჭრილი უნდა იყოს. არა რაღაც ყოყმანობა.

როგორ? გავიგეთ თუ არა მამისა უბედურება, შურისძიების მაგიერ ტახტისკენ ვიწყეთ ყურება?! დავგმეთ ჩვენ ჩვენი ღირსება, დავგმეთ პატივი მამისა, საფლავიცა კი არ ვიცით ამ დიდებული გვამისა. თქვენ კი გედებათ ამ დროსა სიყვარულისა ალები და საქორწილო ლხენისკენ მიქცეული გაქვთ თვალები.

ვინ იცის, თუ მეფე დიდი, ვინც აზიის არე-მარეს დიდებისა ზოლებს ავლებს, ჰფენს შუქსა და სიელვარეს,

Dans ses propres États privé de sépulture,  
Ou couché sans honneur dans une foule obscure,  
N'accuse point le ciel qui le laisse outrager,  
Et des indignes fils qui n'osent le venger?  
Ah! ne languissons plus dans un coin du Bosphore;  
Si dans tout l'univers quelque roi libre encore,  
Parthe, Scythe ou Sarmate, aime sa liberté,  
Voilà nos alliés : marchons de ce côté.  
Vivons, ou périssons dignes de Mithridate;  
Et songeons bien plutôt, quelque amour qui nous flatte,  
A défendre du joug et nous et nos États,  
Qu'à contraindre des cœurs qui ne se donnent pas.

PHARNACE

Il sait vos sentiments. Me trompais-je, Madame?  
Voilà cet intérêt si puissant sur votre âme,  
Ce père, ces Romains que vous me reprochez.

XIPHARÈS

J'ignore de son cœur les sentiments cachés,  
Mais je m'y soumettrais sans vouloir rien prétendre,  
Si, comme vous, Seigneur, je croyais les entendre.

PHARNACE

Vous feriez bien; et moi, je fais ce que je doi :  
Votre exemple n'est pas une règle pour moi.

XIPHARÈS

Toutefois en ces lieux je ne connais personne  
Qui ne doive imiter l'exemple que je donne.

ვინ იცის, თუ—მაშინ, როცა ამ დიდებულ გმირთა-გმირსა  
თავისივე სამეფოში სასაფლაოც არ ელირსა,—  
არ შესჩივის მალლა ცასა, რომ ეგეთნი დავრჩით შვილნი,  
უღირსნი და საცოდავნი, მოშლილნი და ქედ-წახრილნი?

ახ, განცხრომასა ნუ ვეძებთ ჩვენ აქ, ბოსფორის პირადა.  
თავისუფლებას ქვეყანა კიდევ აფასებს ძვირადა.  
პარტი, სკვითი და სარმატი, სხვებიც არიან მრავალი,  
აი ვის უნდა მივმართოთ, სად არის გამოსავალი.  
მოვკვდეთ ან გავიმარჯვოთ! შვილნი ვართ მითრიდატისა!  
განვდევნოთ სული მონური ლაჩრის თუ მოლალატისა.  
სჯობიან ქვეყნის საქმესა შევწიროთ ჩვენი ძალები,  
ვიდრე აქ ვსალახანობდეთ და ვაწიოკოთ ქალები.

### ფარნაკი.

ჰხედავთ? იცნობს თქვენსა გულსა, მე შემცდარი ვიყავ განა?  
აი თქვენი გულის თქმანი, თქვენი გრძნობის გამოცანა.  
რომი, მამა, მისი სისხლი... სულ ეს რაღაც აბდა-უბდა...

### ქსიფარესი. . .

უკაცრავად! მე არ ვიცი, რა გრძნობა მას შეუგუბდა,  
მაგრამ მე რომ გამეგონა ის, რაც თქვენა მოისმინეთ,  
სანამ რასმეს მოვითხოვდი, მოვიხრიდი ქედსა წინეთ.

### ფარნაკი.

კარგს იზამდით! მე მას ვშვრები, რაც საჭირო მე მგონია.  
ჩემთვის თქვენი მაგალითი—არაფერი კანონია.

### ქსიფარესი. . .

რაც გინდ იყოს, ამ მხარეში კანონია ჩემი ქცევა:  
ყველამ უნდა მას მიჰბაძოს, მაგალითსა ის იძლევა.

PHARNACE

Vous pourriez à Colchos vous expliquer ainsi.

XIPHARÈS

Je le puis à Colchos, et je le puis ici.

PHARNACE

Ici? Vous y pourriez rencontrer votre perte...

SCÈNE IV. — MONIME, PHARNACE, XIPHARÈS,  
PHÆDIME

PHÆDIME

Princes, toute la mer est de vaisseaux couverte :  
Et bientôt, démentant le faux bruit de sa mort,  
Mithridate lui-même arrive dans le port.

MONIME

Mithridate!

XIPHARÈS

Mon père!

PHARNACE

Ah! que viens-je d'entendre?

PHÆDIME

Quelques vaisseaux légers sont venus nous l'apprendre :  
C'est lui-même : et déjà, pressé de son devoir,  
Arbate loin du bord l'est allé recevoir.

ფარნაკი.

თქვენ კოლხეთში შეგიძლიათ შემოიღოთ ასეთი რამე.

ქსიფარესი.

შემიძლია კოლხეთში და შემიძლია აქაცა მე.

ფარნაკი.

აქ კისერი შეიძლება მოიტეხოთ წინდაწინა.

#### სცენა IV

მონიმე, ფარნაკი, ქსიფარესი, ფედიმე.

ფედიმე.

ხელმწიფენო! მთელი ზღვაი ხომალდებით მოიფინა.  
ამით ბოლო მოეღება მითქმა-მოთქმას უგუნურსა:  
სადაც არის, მითრიდატიც მოადგება ნავთსადგურსა.

მონიმე.

მითრიდატი?

ქსიფარესი.

მამა ჩემი?

ფარნაკი.

ახ, რა მესმის! მეფე განა...

ფედიმე.

ერთი მსუბუქ გემი გაჩნდა, ეს ამბავი მოგვიტანა.  
მეფე გახლავთ! არბატიცა, როგორც იყო მისი ვალი,  
მისკენ ნავით გაექანა, მის წინაშე მიმავალი.

XIPHARÈS

Qu'avons-nous fait!

MONIME, à *Xipharès*.

Adieu, prince. Quelle nouvelle!

SCÈNE V. — PHARNACE, XIPHARÈS

PHARNACE

Mithridate revient! Ah! fortune cruelle!  
Ma vie et mon amour tous deux courent hasard.  
Les Romains que j'attends arriveront trop tard.

(*A Xipharès.*)

Comment faire? J'entends que votre cœur soupire,  
Et j'ai conçu l'adieu qu'elle vient de vous dire,  
Prince; mais ce discours demande un autre temps :  
Nous avons aujourd'hui des soins plus importants.  
Mithridate revient, peut-être inexorable :  
Plus il est malheureux, plus il est redoutable .  
Le péril est pressant plus que vous ne pensez.  
Nous sommes criminels; et vous le connaissez :  
Rarement l'amitié désarme sa colère;  
Ses propres fils n'ont point de juge plus sévère;  
Et nous l'avons vu même à ses cruels soupçons  
Sacrifier deux fils pour de moindres raisons.  
Craignons pour vous, pour moi, pour la Reine elle-même;

## ქსიფარესი (მონიმეს)

რა ჩავიდინეთ!



### მონიმე (ქსიფარესს)

რა ჰხდება? ღმერთო!.. მშვიდობით, თავადო!

---

## სცენა V

ფარნაკი, ქსიფარესი.

ფარნაკი (იქით)

მითრიდატიო!.. ჰე ბედო, ვისა რა ბრალი დავადო?  
ჩემი ტრფობა და სიცოცხლეც, ორივე ბეწვზე ჰკიდია.  
მოველი რომაელებსა, მაგრამ მანძილი დიდია....

(ქსიფარესს)

რა ვქნათ? მე მესმის წუხილი თქვენი და დედოფალისა,  
მისი „მშვიდობით“ რა იყო, თუ არ მომდები ალისა?!  
მაგრამ დრო ეხლა არ არის საუბრის ამისთანისა,  
ხომ ჰხედავთ: ვდგევართ წინაშე საშინელ ამოცანისა.

მითრიდატი ახლო არის, დღე დაუდგა მეტად ძნელი,  
სწორედ ეხლა ის იქნება უწყალო და ულმობელი.  
ვიღუპებით, დამერწმუნე, დიდი არის გასაჭირი:  
ჩვენ შეცდომა ჩავიდინეთ, თვითონ იცით—რა ნაირი.  
მრისხანეა მამა-ჩვენი, შებრალება მან არ იცის,  
ვით მსაჯული შვილებისა, მკრაცრია და შემზარაც ის.  
ორსა შვილსა, როგორც ვიცით, შეუწყვიტა კიდევ დღენი,  
თუმც ნაკლები იყო მათი შეცოდება, ვიდრე ჩვენი.  
ფრთხილად ვიყოთ მეც და თქვენცა, გავაფრთხილოთ

დედოფალი;

Je la plains d'autant plus que Mithridate l'aime.  
Amant avec transport, mais jaloux sans retour ,  
Sa haine va toujours plus loin que son amour.  
Ne vous assurez point sur l'amour qu'il vous porte :  
Sa jalouse fureur n'en sera que plus forte ;  
Songez-y. Vous avez la faveur des soldats ;  
Et j'aurai des secours que je n'explique pas.  
M'en croirez-vous? Courons assurer notre grâce :  
Rendons-nous, vous et moi, maîtres de cette place ;  
Et faisons qu'à ses fils il ne puisse dicter  
Que les conditions qu'ils voudront accepter.

XIPHARÈS

Je sais quel est mon crime, et je connais mon père ;  
Et j'ai par-dessus vous le crime de ma mère ;  
Mais quelque amour encor qui me pût éblouir,  
Quand mon père paraît, je ne sais qu'obéir.

PHARNACE

Soyons-nous donc au moins fidèles l'un à l'autre :  
Vous savez mon secret , j'ai pénétré le vôtre.  
Le Roi, toujours fertile en dangereux détours ,  
S'armera contre nous de nos moindres discours.  
Vous savez sa coutume, et sous quelles tendresses  
Sa haine sait cacher ses trompeuses adresses .  
Allons. Puisqu'il le faut, je marche sur vos pas.  
Mais, en obéissant, ne nous trahissons pas.

მამი-ჩემის სატრფიალოდ მეცოდება ის საწყალი.  
სიყვარული თუმცა იცის, მაგრამ ეჭვით უდულს გული,  
და მის ეჭვი უფრო შორს სცემს, ვიდრე მისი სიყვარული.

მისმინეთ, ნუ გაქვთ იმედი თქვენცა მის სიყვარულისა,  
თქვენცა მის მსხვერპლი გახდებით, მის შურის ვერაგულისა.  
იფიქრეთ! თქვენი მომხრეა აქ ჯარის კაცი ყოველი,  
მეც ნუ გგონივარ მარტოკა, მეც დახმარებას მოველი,  
სჯობია, გავანიავოთ საშიშროება მამისა:  
მე და თქვენ გავხდეთ პატრონი მიდამოების ამისა;  
და მამა ჩვენსაც—ამისთვის დიდი არ გვინდა გმირობა—  
როგორც გვინდა, ისეთი დავადებინოთ პირობა.

### ქსიფარესი.

მე ვგრძნობ ჩემსა დანაშაულს, მამა-ჩემსაც ვიცი ვიცი კარგად,  
დედი-ჩემის შეცოდებაც ქედზე მაწევს მძიმე ბარგად;  
რა ლხენასაც არ მიქადდეს, რა სიამეს სიყვარული,  
მამას მე არ ვუღალატებ, მას ეკუთვნის ჩემი გული.

### ფარნაკი.

დავრჩეთ მაინც მეგობრები, ერთგულობის დავდოთ ფიცი,  
საიდუმლო ჩემი იცით და მეც თქვენი კარგად ვიცი.

მამა კი საშიშარია, ეს იქონიეთ სახეში,  
კმარა შეცდომა მცირედი, რომ მოგამწყვდიოს მახეში;  
მოგეფერება, ალერსით ჯერე აგიხვევს თვალებსა,  
მერე გამოგკრავს, გამოჰყოფს დაუნდობელად ბრჭყალებსა.  
არ გეშინიათ? კეთილი! დავემორჩილოთ მამასა,  
მაგრამ ნუ გავცემთ ერთმანეთს, მტკიცედ დავადგეთ ამასა.

## ACTE II

SCÈNE PREMIÈRE. — MONIME, PHÆDIME

PHÆDIME

Quoi! vous êtes ici quand Mithridate arrive,  
Quand, pour le recevoir, chacun court sur la rive?  
Que faites-vous, Madame? et quel ressouvenir  
Tout à coup vous arrête, et vous fait revenir?  
N'offenserez-vous point un roi qui vous adore,  
Qui presque votre époux...

MONIME

Il ne l'est pas encore,  
Phædime; et jusque-là je crois que mon devoir  
Est de l'attendre ici, sans l'aller recevoir.

PHÆDIME

Mais ce n'est point, Madame, un amant ordinaire.  
Songez qu'à ce grand roi promise par un père,  
Vous avez de ses feux un gage solennel,

## მოქმედება მეორე

---

### სცენა I

ფელიმე, მონიმე.

ფელიმე.

მითრიდატი მობრძანდება და თქვენ, თქვენ კი შინ ხართ  
კიდე?

ყველა იმას ეგებება, გაიჭედა ხალხით კიდე;  
დედოფალო, რას ჰზოზონებთ?.. რა ფიქრები მოგდით ნეტა?  
ვერა ჰდგებით, ვერცა ჯდებით, გეძნელებათ გადაწყვეტა;  
თქვენ არ უნდა ჩაიღინოთ რამე მისი საწყინარი,  
ის ქმარია თქვენი...

მონიმე.

არა! ქმარი ჩემი ჯერ არ არი.  
და სანამდე არ გამხდარა ჩემი ქმარი, მგონია, რო  
შესაფერი უფრო არის დასახვედრად არ ვიარო.

ფელიმე.

დედოფალო, ის არ არის უბრალო რამ მოტრფიალე;  
მამა-თქვენმა მას აღუთქვა თქვენი ხელი, გენაცვალე.  
იმან მოგართვათ გვირგვინი, ვით საწინდარი გულისა.

Qu'il peut, quand il voudra, confirmer à l'autel.  
Croyez-moi, montrez-vous, venez à sa rencontre.

MONIME

Regarde en quel état tu veux que je me montre.  
Vois ce visage en pleurs; et loin de le chercher,  
Dis-moi plutôt, dis-moi que je m'aïlle cacher

PHÆDIME

Que dites-vous? O dieux!

MONIME

Ah! retour qui me tue!  
Malheureuse! Comment paraîtrai-je à sa vue,  
Son diadème au front, et, dans le fond du cœur,  
Phædime... Tu m'entends, et tu vois ma rougeur.

PHÆDIME

Ainsi vous retombez dans les mêmes alarmes  
Qui vous ont dans la Grèce arraché tant de larmes?  
Et toujours Xipharès revient vous traverser?

MONIME

Mon malheur est plus grand que tu ne peux penser.  
Xipharès ne s'offrait alors à ma mémoire  
Que tout plein de vertus, que tout brillant de gloire;  
Et je ne savais pas que, pour moi plein de feux,  
Xipharès des mortels fût le plus amoureux.

ეხლა შერთვასა გიპირებს, თანახმად წმიდა სჯულისა;  
არა, თქვენ უნდა ეჩვენოთ, მობრძანდით თქვენი ჭირიშე.

მონიშე.

რა ყოფაში ვარ, ვერ ჰხედავ? როგორ ვაჩვენო პირი მე?  
როგორ ვაჩვენო ეს სახე, ეს ცრემლიანი თვალები?  
არა, სჯობია შინ ვიჯდე, ანუ სულ დავიშალები.

ფელიშე.

რასა ჰბრძანებთ? ღმერთო ჩემო!

მონიშე.

ღმერთო! რა დღეს შევესწარი!  
როგორ უნდა დავენახო, როგორ წავრდგე მე ბედ-მწვარი?  
შუბლზე—მისი ღიაღება და გულში კი... მოდი ჰნახე,  
რა ცეცხლითა ვიდაგები, რა სირცხვილით მეწვის სახე.

ფელიშე.

მაშ ისევე დაგიბრუნდათ, ისე შეგრჩათ სევდა სევდად,  
ის, რომელიც საბერძნეთში თვალსა ცრემლით რომ  
გვისევდათ?  
ისე თქვენი სჭიფარესი, მიზეზია ისევე ისა?

მონიშე.

ღიად, ეხლა მეტი ტანჯვის, მეტი სევდის მისევისა.  
მაშინ მე ის წარმომიდგა, როგორც მოყმე უებარი,  
გმირი სავსე ღირსებითა, საამო და საქებარი.  
ის კი მაშინ არ ვიცოდი, რომ ამაყი მისი გული  
ჩემი ტრფობით თურმე იყო დამწვარი და დადაგული.

PHÆDIME

Il vous aime, Madame? Et ce héros aimable ...

MONIME

Est aussi malheureux que je suis misérable.  
Il m'adore, Phædime; et les mêmes douleurs  
Qui m'affligeaient ici le tourmentaient ailleurs.

PHÆDIME

Sait-il en sa faveur jusqu'où va votre estime?  
Sait-il que vous l'aimez?

MONIME

Il l'ignore, Phædime.  
Les dieux m'ont secourue; et mon cœur affermi  
N'a rien dit, ou du moins n'a parlé qu'à demi.  
Hélas! si tu savais, pour garder le silence,  
Combien ce triste cœur s'est fait de violence!  
Quels assauts, quels combats, j'ai tantôt soutenus!  
Phædime, si je puis, je ne le verrai plus.

SCÈNE II. — MITHRIDATE, PHARNACE,  
XIPHARÈS, ARBATE, GARDES

MITHRIDATE

Princes, quelques raisons que vous me puissiez dire,  
Votre devoir ici n'a point dû vous conduire,  
Ni vous faire quitter, en de si grands besoins,  
Vous le Pont, vous Colchos, confiés à vos soins.

ფედიმე.

ეხლა რასა ჰგონობს ნეტავი? ეხლაც ეს გმირი ცნობილი...

მონიმე.

უბედურია, როგორც მე—მე შავი დღისა შობილი.  
ფედიმე, მე მას ვუყვარვარ, სწვამს მას იგივე ალები,  
გული სავსე აქვს სევდითა, ვით მე ცრემლითა თვალეზი.

ფედიმე.

იცის? ეს თქვენი წუხილი, თქვენი ცრემლისა დინება.

მონიმე.

აბა რა ეცოდინება?

ღმერთმა მიშველა, ფედიმე, ენა უეცრად დამება,  
გავაგებინე ცოტათი ჩემი ტანჯვა და წამება.  
ვაი რა ძნელი ყოფილა დამალვა სიყვარულისა;  
ვერ წარმოიდგენ, რა იყო ბრძოლა ამ საწყალ გულისა;  
რა განიცადა, რა ღელვა, რა ტალღის გადალახვები!  
ახ, რომ შემეძლოს, ამიერ მას სულ არ დავენახვები.

---

## სცენა II

მითრიდატი, ფარნაკი, ქსიფარესი, არბატი, დარაჯები.

მითრიდატი.

ბატონიშვილნო! არ მესმის თქვენი აქ ჩამობრძანება.  
რა მოსაზრების ძალითა? რა ხელი გქონდათ? რა ნება?  
თქვენ არ შეგეძლოთ ამ დროში აგრე დაგდება მხარეთა—  
შენ—პონტის და შენ—კოლხეთის,—რაც მე თქვენ  
ჩავაბარეთა.



მაგრამ მსაჯულად მამა გყავთ, თქვენი კეთილის მდომელი.  
თქვენ ხმას აჰყევით, მე თვითონ განგებ დაეყარე რომელი.

მგონია, რომ შემცოდენი არ არიან ჩემნი შვილნი  
და მადლობას ცასა ვუძღვნი, რომ აქა ხართ შეკრებილნი.  
თუმც წავაგე ეხლა ბრძოლა, გამარჯვებულ დარჩა მტერი.  
მაგრამ ერთი განძრახვა მაქვს, მართლა ჩემი შესაფერი.  
ყველაფერსა მოგახსენებთ. დაწვრილებით ვეტყვი თ მალე,  
ხოლო ეხლა დრო მომეცით... მოვისვენო... დავიღალე.

---

### სცენა III

მითრიდატი, არბატი.

მითრიდატი.

წლისა ბოლოს, ჩემო არბატ, კიდევ მხედავ აქ ჩამოსულს,  
არ იმ დროის მითრიდატსა, დიდებულს და ძღვევა-მოსილს,  
როცა ჩემი გამარჯვება ელვა იყო ზედი-ზედი  
და ჩემსა და რომსა შუა ირყეოდა ქვეყნის ბედი.  
დამამარცხეს!.. პომპეიუსს ვერ ჩაეჭიდე მარჯვედ ხელი,  
ის დამეცა ლამის ბნელში, მასვე დაჰრჩა ბრძოლის ველი.

წარმოიდგინე ლაშქარნი უღონო-უილაჯონი,  
წყობანი მოუწყობელი, მოშლილი სადარაჯონი,  
თავდასხმა მოულოდნელი, ჯარზე შეხეთქა ჯარისა,  
არეე-დარევა ბანაკის, ხმა ზათქისა და ზარისა,  
კლდეებით გამოძახილი აურ-ზაურის ამისა,  
ქვევით კვნესა და კივილი, ზევით წყვდიადი ლამისა...

ამ ყოფაში რას ვაგევა მხნეობა და ხერხი შენი?  
ჯარი ზოგი დამეხოცა, გამოიქცა დანარჩენი.  
ხმა დაეყარე მოკლული ვარ, დაიმარხა ჩემი ბედი,

Quelque temps inconnu, j'ai traversé le Phase ,  
Et de là, pénétrant jusqu'au pied du Caucase,  
Bientôt dans les vaisseaux sur l'Euxin préparés,  
J'ai rejoint de mon camp les restes séparés .  
Voilà par quels malheurs poussé dans le Bosphore,  
J'y trouve des malheurs qui m'attendaient encore.  
Toujours du même amour tu me vois enflammé :  
Ce cœur nourri de sang et de guerre affamé,  
Malgré le faix des ans et du sort qui m'opprime,  
Traîne partout l'amour qui l'attache à Monime,  
Et n'a point d'ennemis qui lui soient odieux  
Plus que deux fils ingrats que je trouve en ces lieux.

ARBATE

Deux fils, Seigneur?

MITHRIDATE

Écoute. A travers ma colère,  
Je veux bien distinguer Xipharès de son frère.  
Je sais que de tout temps à mes ordres soumis,  
Il hait autant que moi nos communs ennemis;  
Et j'ai vu sa valeur, à me plaie attachée,  
Justifier pour lui ma tendresse cachée  
Je sais même, je sais avec quel désespoir,  
A tout autre intérêt préférant son devoir,  
Il courut démentir une mère infidèle ,  
Et tira de son crime une gloire nouvelle;  
Et je ne puis encor ni n'oserais penser  
Que ce fils si fidèle ait voulu m'offenser.  
Mais tous deux en ces lieux que pouvaient-ils attendre?



ამ ხერხითა ვიხსენ თავი, ამ ცეცხლიდან გამოვედი.  
 მე ვიარე ერთი ხანი, მივაღდექი მალე ფაზისს,  
 ვნახე შორი კავკასია, ბრწყინა მისი სილამაზის,  
 ევქსინის-პირ დავეწვიე გადარჩენილ ჩემსა ჯარსა,  
 გადასხმულსა ხომალდებზე, ჩემთან ერთად ნაომარსა.

აი ამ ვაი-ვაგლახით მოველ ბოსფორის პირადა;  
 აქ დამხვდა წყენა ახალი გულისა გასაგამირადა.  
 ახ, არბატ, გული მწყურვალე ბრძოლის და სისხლის დენისა,  
 არ-ნაკლებ მონატრულია სიტკბოების და ღებენისა;  
 და თუმც მოვხუცდი, ამ ეამად დაღუპულიც ვარ მგონი მე.  
 მაინც მათრობს და მიზიდავს ეს მშვენიერი მონიმი.  
 ჯავრი კი მომდის შვილებზე: ამ მიყრუებულ მხარეში  
 რა უნდათ, რასა დაჰძრწიან, რას ჰნიშნავს მათი თარეში?

**არბატ.**

ორივეზე, ხელმწიფეო?

**მითრიდატი.**

გამიგონე: ქსიფარესი

ფარნაკს კი არ შეედრება, ბევრად არის უკეთესი.  
 ვიცი, ჩემი ერთგულია, არ ყოფილა კადნიერი,  
 სწორედ ისე, როგორცა მე. სძულს მოსისხლე ჩვენი მტერი.  
 ვიცი, იგი ჩემთან არის, ჩემთვისა ჰძვერს მისი გული,  
 მამაცურად დამიმტკიცა კიდევ თავის სიყვარული:  
 ლალატი რომ სამარცხვინო მან გაიგო თავის დედის,  
 სწრაფად იგრძნო თავის ვალი, წამოიწოთ ამაზედ ის,  
 მაშინადვე მტერს ეხეთქა. ზედ დაასხა თავის ჯარი,  
 და სახელიც მოიხვეჭა საუკუნოდ დაუმკნარი.

არ შემიძლია ვიფიქრო, არ მაქვს საბუთი ამისა,  
 რომ ქსიფარესსა უნდოდეს შეურაცხყოფა მამისა.  
 მაგრამ რა უნდათ? მიზანი რა აქვს აქ მათი ყოფასა?

L'un et l'autre à la reine ont-ils osé prétendre ?  
Avec qui semble-t-elle en secret s'accorder ?  
Moi-même de quel œil dois-je ici l'aborder ?  
Parle. Quelque désir qui m'entraîne auprès d'elle,  
Il me faut de leurs cœurs rendre un compte fidèle.  
Qu'est-ce qui s'est passé ? Qu'as-tu vu ? Que sais-tu ?  
Depuis quel temps, pourquoi, comment t'es-tu rendu !

ARBATE

Seigneur, depuis huit jours l'impatient Pharnace  
Aborda le premier au pied de cette place,  
Et, de votre trépas autorisant le bruit,  
Dans ces murs aussitôt voulut être introduit.  
Je ne m'arrêtai point à ce bruit téméraire,  
Et je n'écoutais rien, si le prince son frère,  
Bien moins par ses discours, Seigneur, que par ses pleurs,  
Ne m'eût en arrivant confirmé vos malheurs.

MITHRIDATE

Enfin que firent-ils ?

ARBATE

Pharnace entraît à peine  
Qu'il courut de ses feux entretenir la Reine,  
Et s'offrir d'assurer, par un hymen prochain,  
Le bandeau qu'elle avait reçu de votre main.

MITHRIDATE

Traître ! sans lui donner le loisir de répandre  
Les pleurs que son amour aurait dus à ma cendre !  
Et son frère ?

ნუთუ დასდევენ დედოფალს, ჰბედავენ არშიყობასა?!  
თვით დედოფალი რასა იქმს? უფრო ვინ მოსწონს, რომელი?  
მომეც ამაზედ პასუხი სწორი და მიუდგომელი.

სთქვი პირდაპირ, ნუ მიმაღავ, ჩემი წყენის ნუ გაქვს შიში,  
მათი ქცევის, მათი ყოფის, ჩამაბარე ანგარიში.  
სთქვი, რა მოჰხდა, რა გინახავს, მოგიკვრია რისთვის სმენა,  
როდის, რისთვის, რა მიზეზით ჩამოსულხარ თვითონ შენა?

#### არბატ.

ხელმწიფო! სულ პირველად, დღე იქნება შვიდი თუ რვა,  
გამოცხადდა აქ ფარნაკი, ეს მიდამო დაიურვა;  
ხმასა თქვენი მიცვალების დასცა მალე მან დასტური  
და ჰლამობდა სახლში შეჭრას უხეში და მედიდური.  
მე მას ყურიც არ ვათხოვე, მაგრამ, მეფევე, ქსიფარესმა,  
რომლის სევდა უეჭველი სხვა სიმწვავეით გამომესმა,  
არა მარტო სიტყვებითა, ცრემლის დენით დამაჯერა,  
რომ თქვენს თავზედ საშინელი დაპტრიალდა ბედის წერა.

#### მითრიდატი.

მერე რა ჰქმნეს?

#### არბატ.

დედოფალსა წინ წარუდგა ფარნაკი და  
ხელი ჰთხოვა, არ მოეშვა, მოტრფილედ გადეკიდა;  
ჰპირდებოდა—ვაკურთხებო იმ გვირგვინსა ქორწინებით,  
რაც დედოფალს მე მივართვი, სახელმწიფო, თქვენი ნებით.

#### მითრიდატი.

მოლაღატე!.. დედოფალსა არც კი მისცა მცირე დროცა,  
ახლად გახსნილ სამარის წინ ცოტად ცრემლი მოეხოცა.  
მისი ძმა კი?

ARBATE

Son frère, au moins jusqu'à ce jour,  
Seigneur, dans ses desseins n'a point marqué d'amour;  
Et toujours avec vous son cœur d'intelligence  
N'a semblé respirer que guerre et que vengeance.

MITHRIDATE

Mais encor quel dessein le conduisait ici?

ARBATE

Seigneur, vous en serez tôt ou tard éclairci .

MITHRIDATE

Parle, je te l'ordonne, et je veux tout apprendre.

ARBATE

Seigneur, jusqu'à ce jour, ce que j'ai pu comprendre ,  
Ce prince a cru pouvoir, après votre trépas,  
Compter cette province au rang de ses États;  
Et, sans connaître ici de lois que son courage,  
Il venait par la force appuyer son partage .

MITHRIDATE

Ah! c'est le moindre prix qu'il se doit proposer ,  
Si le ciel de mon sort me laisse disposer.  
Oui, je respire, Arbate, et ma joie est extrême.  
Je tremblais, je l'avoue, et pour un fils que j'aime,  
Et pour moi qui craignais de perdre un tel appui,  
Et d'avoir à combattre un rival tel que lui.

არბატ.



სულ სხვა იყო მისი ხმა და მისი კილო.  
არაფერი შემინიშნავს საწყენი თუ სათაკილო.  
ის ყოველთვის თქვენთან არის, თქვენი ბედით დადაგული  
ომს ჰნატრობს და შურისგებას მის ფიქრი და მისი გული.

მითრიდატი.

მაინც რაო? აქ რა უნდა, რა განძრახვით ჩამოსულა?

არბატ.

ხელმწიფეო, დღეს თუ ხვალე თქვენ გაიგებთ ამას სულა.

მითრიდატი.

სთქვი, ნუ ჰმალავ, მე გიბრძანებ! მსურს გავიგო ყველაფერი.

არბატ.

ხელმწიფეო! ამ დღემდინა ეს-ლა არის დასაჯერი:  
ქსიფარესსა ჰსურდა დროზედ დაეჭირა ეს მთა-ბარი,  
რომ, სიკვდილის თქვენის შემდეგ, არ ჰქონოდა საჩხუბარი.  
ვინაიდან არ ჰხედავდა აქ სხვა რამე სამართალსა,  
ჩამოსულა ამ განძრახვით, მინდობია თავის ხმალსა.

მითრიდატი.

ახ, სასყიდელი ცოტაა, ცოტას ყოფილა მდომელი,  
თუ ცამ ინება, მეტია იმისთვის მისაზომელი.  
ახ, არბატ, სული მოვიდგი, გული ამევსო ლხენითა;  
საყვარელ შვილსა რა ვუყო, ვფიქრობდი გულის ტკენითა,  
თუ ის გამიხდა მეტოქე, მამა გასწირა მშობელი,  
და წავეჩხუბე მას, ვინც მყავს სიბერის დასაყრდნობელი?

Que Pharnace m'offense, il offre à ma colère  
Un rival dès longtemps soigneux de me déplaire,  
Qui, toujours des Romains admirateur secret,  
Ne s'est jamais contre eux déclaré qu'à regret.  
Et s'il faut que pour lui Monime prévenue  
Ait pu porter ailleurs une amour qui m'est due,  
Malheur au criminel qui vient me la ravir,  
Et qui m'ose offenser et n'ose me servir!  
L'aime-t-elle?

ARBATE

Seigneur, je vois venir la reine.


MITHRIDATE

Dieux, qui voyez ici mon amour et ma haine,  
Épargnez mes malheurs, et daignez empêcher  
Que je ne trouve encor ceux que je vais chercher.  
Arbate, c'est assez : qu'on me laisse avec elle.

#### SCÈNE IV. — MITHRIDATE, MONIME

MITHRIDATE

Madame, enfin le ciel près de vous me rappelle,  
Et, secondant du moins mes plus tendres souhaits,  
Vous rend à mon amour plus belle que jamais.  
Je ne m'attendais pas que de notre hyménée  
Je dusse voir si tard arriver la journée,



დე, ფარნაკმა მაწყენინოს, გამოვიდეს მეტოქედ ის, მე დამგმოს და ამჯობინოს რომის წინა წახრა ქედის; ალბად ჩემი გასაბრაზად იგი არის გაჩენილი, ეს რომისა ყმა და მონა, ეს უღირსი ჩემი შვილი. თუ მონიმე მაზე ჰფიქრობს, მას მიაბურო ოდნად თვალი, მას შეჰხედა სიყვარულით, დაივიწყა თავის ვალი, ვაი იმას, ვინც დაცემას უჩურობებს იმის ყურსა, ვინცა ჰბედავს ჩემს შერცხვენას და ვერ ჰბედავს სამსახურსა. მონიმესაც მოსწონს იგი?

**არბატ.**

მობრძანდება დედოფალი.

**მითრიდატი.**

ჰე ლმერთებო! ჩემსა სევდას მიაქციეთ ეხლა თვალი, შემეწიეთ, შემიბრალეთ, რომ ამ ჩემი ჩხრეკიდანა დანა არა გამოვჩხრიკო, დასაკვლელი ჩემი დანა. არბატ, კმარა... დედოფალთან მარტო მინდა საუბარი.



**სცენა IV**

**მითრიდატი, მონიმე.**

**მითრიდატი.**

ცის განგება როგორ ვაქო, უთქმელი და უქებარი! მან ამისრულა წადილი, ნატვრა მუდმივი გულისა, მალირსა თქვენი შეხვედრა, ნახვა შვენების სრულისა. მე არ მეგონა, ლოდინი ამდენი დაგვჭირდებოდა და ჩვენსა ბედნიერებას ბედი წინ აღუდგებოდა;


Ni qu'en vous retrouvant, mon funeste retour  
Fit voir mon infortune, et non pas mon amour .  
C'est pourtant cet amour, qui de tant de retraites  
Ne me laisse choisir que les lieux où vous êtes;  
Et les plus grands malheurs pourront me sembler doux,  
Si ma présence ici n'en est point un pour vous.  
C'est vous en dire assez, si vous voulez m'entendre.  
Vous devez à ce jour dès longtemps vous attendre;  
Et vous portez, Madame, un gage de ma foi  
Qui vous dit tous les jours que vous êtes à moi.  
Allons donc assurer cette foi mutuelle.  
Ma gloire loin d'ici, vous et moi nous appelle;  
Et, sans perdre un moment pour ce noble dessein,  
Aujourd'hui votre époux, il faut partir demain.

MONIME

Seigneur, vous pouvez tout. Ceux par qui je respire  
Vous ont cédé sur moi leur souverain empire;  
Et, quand vous userez de ce droit tout-puissant,  
Je ne vous répondrai qu'en vous obéissant.

MITHRIDATE

Ainsi, prête à subir un joug qui vous opprime,  
Vous n'allez à l'autel que comme une victime;  
Et, moi, tyran d'un cœur qui se refuse au mien,  
Même en vous possédant je ne vous devrai rien .  
Ah! Madame, est-ce là de quoi me satisfaire?  
Faut-il que désormais, renonçant à vous plaire,  
Je ne prétende plus qu'à vous tyranniser?  
Mes malheurs, en un mot, me font-ils mépriser?  
Ah! pour tenter encor de nouvelles conquêtes ,



არც ის მეგონა უბედურს, როცა დაგბრუნდი კიდეცა, ღრუბლითა წამოგრაგნილი რომ გვექნებოდა კიდეცა.

მშვენიერო! თქვენთვის მხოლოდ მთა და ბარი გადმოვლახე, ვარსკვლავივით წინ მიძლოდა, მინათებდა თქვენი სახე. გაჭირვება ბევრი ვნახე, კვლავ ავიტან მეტსაც ლხენით, თუ აქ ჩემსა სიახლოვეს არ შეჰხვდებით გულის წყენით; კმარა ესეც, რომ მიმიხვდეთ, თუ რას ითხოვს ჩემი გული; არც თქვენ უნდა გეუცხოვოს ეხლა ჩემი სიყვარული.

თავზე გადგიათ გვირგვინი, ეს საწინდარი გულისა, მომგონებელი ყოველ წუთს ფიცისა დადებულისა. მაშ ხელი მივცეთ ერთმანეთს, ბოლო მოვუღოთ ჭმუნვასა; მე ჩემი ბედი შორს შიწვევს, ებრძვის დროების ბრუნვასა; საქმე დიდი მაქვს, იმისთვის არა დავზოგავ არასა... დღეს გადვიხადოთ ქორწილი, ხვალ გავუდგებით შარასა.

**მონიშნე.**

თქვენი ნებაა, ხელმწიფევე! მე თქვენს ბრძანებას მოველი; ჩემმა მშობლებმა თქვენ მოგცათ ჩემზე უფლება ყოველი. თქვენ აღჭურვილი ჰბრძანდებით ამ უფლებითა დიდითა, და მეც მორჩილი ვიქნები მოკრძალებით და რიდითა.

**მითრიდატი.**

მზად ხართ რაღა აიტანოთ, ჩემად ჰზიდოთ ეს უღელი? წამომყვებით, ვით ბატკანი სამსხვერპლოზე დასაკვლელი... ძალა უნდა დაგატანოთ? ან მოგექცეთ, ვით მტარვალი? რომ გულს გული არ იცნობდეს, არაფერი ედოს ვალი?! ახ, ბატონო, რაღად მინდა ამისთანა სიყვარული? ნუთუ მართლა ამზომამდე აიცრუეთ ჩემზედ გული? ნუთუ ღონე სხვა არა მაქვს, დამრჩენია მხოლოდ ძალა და ამ ჩემმა დამარცხებამ ყველაფერი გამოცვალა?

Quand je ne verrais pas des routes toutes prêtes,  
Quand le sort ennemi m'aurait jeté plus bas,  
Vaincu, persécuté, sans secours, sans États,  
Errant de mers en mers, et moins roi que pirate,  
Conservant pour tous biens le nom de Mithridate,  
Apprenez que, suivi d'un nom si glorieux,  
Partout de l'univers j'attacherais les yeux;  
Et qu'il n'est point de rois, s'ils sont dignes de l'être,  
Qui, sur le trône assis, n'enviassent peut-être  
Au-dessus de leur gloire un naufrage élevé,  
Que Rome et quarante ans ont à peine achevé.  
Vous-même, d'un autre œil me verriez-vous, Madame,  
Si ces Grecs, vos aïeux, revivaient dans votre âme ?  
Et, puisqu'il faut enfin que je sois votre époux,  
N'était-il pas plus noble, et plus digne de vous,  
De joindre à ce devoir votre propre suffrage,  
D'opposer votre estime au destin qui m'outrage,  
Et de me rassurer, en flattant ma douleur,  
Contre la défiance attachée au malheur ?  
Hé quoi? n'avez-vous rien, Madame, à me répondre?  
Tout mon empressement ne sert qu'à vous confondre .  
Vous demeurez muette; et, loin de me parler ,  
Je vois, malgré vos soins , vos pleurs prêts à couler.

MONIME

Moi, Seigneur? Je n'ai point de larmes à répandre.  
J'obéis, n'est-ce pas assez me faire entendre ?  
Et ne suffit-il pas...

MITHRIDATE

Non, ce n'est pas assez.



მითრიდატი ვარ!.. მერწმუნეთ, მებრძოლსა ამისთანასა  
 ბედი ვერ მოსპობს სრულებით, ისე ვერ ჩასცემს დანასა;  
 თუნდაც რომ იყოს მარტოკა, მტრებით გარს-შემოხვეული.  
 უსამეფო და უმწეო, ყაჩაღად გამოქცეული,  
 კმარა, მერწმუნე, სახელი, კმარა სთქვან: მითრიდატია!  
 რომ დაიბრუნოს ქვეყნები, რაც მან დაჰკარგა, დატია.  
 მერწმუნეთ, ჩემი სახელი კვლავ წამოანათებს ალებსა  
 და გაიტაცებს ხელახლად ქვეყნიერების თვალებსა.  
 მეფეს ვერ ჰნახავ, მის გულში თუ რამ ღირსება იღება,  
 რომ არ შეჰშურდეს დიდებულს ჩემი დაცემის დიდება,  
 იმ დაცემისა, რომლიც რომსა ყოველთვის ჰწაღია,  
 მებრძვის და ველარ ახერხებს—ორმოცი წელიწადია!

თქვენ თვითონა ამას იტყვიოთ, თუ თქვენს გულში აღიმართა  
 სახე ძვირი ძველ ბერძნების, სახე თქვენთა წინაპართა.  
 ოჰ, ძვირფასო! ვინაიდან უნდა გავხედე თქვენი ქმარი,  
 არ იქნება? უფრო სათნო, უფრო თქვენი დასადარი,  
 ზედ დაურთოთ თქვენსა ვალსა თქვენი გულის ტკბილი  
 ძგერა,  
 ტრფობა თქვენი მქონდეს ფარად, ვძლიო ჩემი ბედის წერა,—  
 განმამხნევოთ, გამამაგროთ, მომცეთ ძალა მედიდური,  
 როდესაც მე ბრძოლის ველზედ მარტო ვარ და უბედური?!

როგორ? ნუთუ რამ პასუხი ჩემთვის არ მოგეპოებათ?  
 არ ჩაითვლება დუმილი გულისა უმანკოებად.  
 ხმასა არ იღებთ, არ გინდათ მომცეთ პასუხი ამისა,  
 მხოლოდ მწუხარე სახე გაქვს, ცრემლი წამოსქდეს ლამისა.

**მონიმე.**

ხელმწიფეო! აბა რა მაქვს საწყენი ან სატირალი?  
 მორჩილი ვარ, მე მზადა ვარ ავასრულო ჩემი ვალი.  
 ნუთუ ესეც არა კმარა?

**მითრიდატი.**

არა, არა! ეს არ კმარა!

Je vous entendez ici mieux que vous ne pensez ;  
Je vois qu'on m'a dit vrai. Ma juste jalousie  
Par vos propres discours est trop bien éclaircie .  
Je vois qu'un fils perfide , épris de vos beautés,  
Vous a parlé d'amour, et que vous l'écoutez .  
Je vous jette pour lui dans des craintes nouvelles.  
Mais il jouira peu de vos pleurs infidèles ,  
Madame; et désormais tout est sourd à mes lois ,  
Ou bien vous l'avez vu pour la dernière fois.  
Appelez Xipharès.

MONIME

Ah! que voulez-vous faire?

Xipharès...

MITHRIDATE

Xipharès n'a point trahi son père.  
Vous vous pressez en vain de le désavouer ;  
Et ma tendre amitié ne peut que s'en louer.  
Ma honte en serait moindre, ainsi que votre crime,  
Si ce fils, en effet digne de votre estime,  
A quelque amour encore avait pu vous forcer.  
Mais qu'un traître , qui n'est hardi qu'à m'offenser,  
De qui nulle vertu n'accompagne l'audace,  
Que Pharnace, en un mot, ait pu prendre ma place?  
Qu'il soit aimé, Madame, et que je sois haï?



ვიცი, ვიცი ყველაფერი, რა ჰხდება და რაც მომხდარა.  
 მართალია, რაცა მითხრეს! მომდიოდა ექვი ბნელი,  
 ეხლა, თქვენი სიტყვის შემდეგ, არა-რა მაქვს საძებნელი.  
 ვიცი, ერთი ჩემი შვილი, მოლაღატე უბედური,  
 სიყვარულსა გეფიცებათ, თქვენ ათხოვეთ იმას ყური.  
 თქვენ იმისთვის გულ-მოშიშობთ, გემატებათ წყლულზე  
წყლული,  
 მაგრამ ვერა, მას ვერ იხსნის თქვენი ცრემლი ცბიერული.  
 ყრუა ჩემი კანონები, თუ ის ერთხელ გადაჰლახეთ.  
 ჯერ მიბრძანეთ, ამ ვაჟ-ბატონს სადა შეხვდით? როდის  
ჰნახეთ?  
 დაუძახეთ ქსიფარესსა.

**მონიმე.**

რას აპირებთ? ქსიფარესი...

**მითრიდატი.**

მე იმას არ გავუცივარ, სხვაა მისი ზნე და წესი.  
 მაზე ნუ იტყვიტ ნურაფერს, არაფერშია მუნ ისა,  
 ის გასაკიცხი არ არის, არც დასადები წუნისა.  
 რომ აგერჩიათ იგი თქვენ, ღირსი პატივისცემისა,  
 ნაკლები მით იქნებოდა ალი შერცხვენის ჩემისა,  
 ნაკლები თქვენი შეცდომაც, თქვენი ცოდვისა ბრუნება;  
 მაგრამ მეორე, ფარნაკი, რომლის გარყვნილი ბუნება  
 არ ჰზოგავს მამას, არც არის იმისთვის შესაწყნარები,  
 როგორ მიიღეთ, გულისა როგორ გაუღეთ კარები?!  
 სიყვარული იმასა და სიძულვილი ჩემთვის განა?



SCÈNE V. — MITHRIDATE, MONIME,  
XIPHARÈS

MITHRIDATE

Venez, mon fils, venez, votre père est trahi .  
Un fils audacieux insulte à ma ruine ,  
Traverse mes desseins, m'outrage, m'assassine ,  
Aime la Reine enfin, lui plait, et me ravit  
Un cœur que son devoir à moi seul asservit.  
Heureux pourtant, heureux que dans cette disgrâce  
Je ne puisse accuser que la main de Pharnace;  
Qu'une mère infidèle , un frère audacieux ,  
Vous présentent en vain leur exemple odieux!  
Oui, mon fils, c'est vous seul sur qui je me repose,  
Vous seul qu'aux grands desseins que mon cœur se propose  
J'ai choisi dès longtemps pour digne compagnon,  
L'héritier de mon sceptre, et surtout de mon nom .  
Pharnace, en ce moment, et ma flamme offensée  
Ne peuvent pas tout seuls occuper ma pensée.  
D'un voyage important les soins et les apprêts,  
Mes vaisseaux qu'à partir il faut tenir tout prêts,  
Mes soldats dont je veux tenter la complaisance ,  
Dans ce même moment demandent ma présence.  
Vous cependant ici veillez sur mon repos;  
D'un rival insolent arrêtez les complots.  
Ne quittez point la Reine; et, s'il se peut, vous-même,  
Rendez-la moins contraire aux vœux d'un roi qui l'aime.  
Détournez-la, mon fils, d'un choix injurieux :  
Juge sans intérêt, vous la convaincrez mieux.

მითრიდატი, მონიმე, ქსიფარესი.

მითრიდატო.

მოდო, მოდო, ჩემო შვილო! მამა-შენსა ჩასცენ დანა.  
ერთი შვილი უდიერი უდიერად მტრობს და ნასობს,  
ელობება ჩემს სიყვარულს და ლახვარსა გულზე მასობს;  
უტრიალებს დედოფალსა, მას ახელებს მისთვის ხელი,  
და მე უნდა გამომტაცოს მეუღლე და საყვარელი.  
ბედნიერი მე ვარ მაინც: ამ საქმეში არვინ არი,  
გარდა ერთი ფარნაკისა, ვერაგი და მაწყინარი.  
ბედნიერი იმითაც, რომ მაგალითი ძმის თუ დედის  
არ იტაცებს შენსა გულსა, შენს ფიქრებში არა შედის.  
დიად, შვილო! შენ ხარ მარტო საიმედო, სანდობარი,  
არჩეული დიდი ხნიდან, ვით ტოლი და მეგობარი,  
ვით მემკვიდრე ჩემი ტახტის, რაც შენ მინდა დაგიმტკიცო,  
რათა ჩემი დიდებისა მზე იმზეო და ცა იცო.

ხელს ვერ შემიშლის ფარნაკი, თუნდაც უნდოდეს ძალიან,  
საქმე დიდი მაქვს, გზაც დიდი, განა იმისთვის მცალიან.  
მკირია მომარაგება, ბევრი რამ საზრუნავია,  
ჯარი, სურსათი, მასალა, ხომალდები თუ ნავია;  
უნდა ვიცოდე, რას ჰფიქრობს ჩემი სამხედრო ძალები,  
უნდა მივხედო, ყველაფერს თვითონ ვადევნო თვალები.

თქვენ აქ დარჩით, აქ იყავით, დამიმშვიდეთ მეცა გული,  
ახლო არა მიიკაროთ ეს მოქიშპე თავგასული.  
შენ დედოფალს არ მოშორდე, დაარიგე, მიეც რჩევა,  
მომიტკბეს და მომილბილდეს, აგრე ურჩად ნუ მექცევა;  
გააფრთხილე, არ გადადგას რამ ნაბიჯი შესარცხვენი,  
შენ ამასა მოახერხებ, შენ ხომ გიყვარს მამა-შენი?

En un mot, c'est assez éprouver ma faiblesse :  
 Qu'elle ne pousse point cette même tendresse,  
 Que sais-je? à des fureurs dont mon cœur outragé  
 Ne se repentirait qu'après s'être vengé.

SCÈNE VI. — MONIME, XIPHARÈS

XIPHARÈS

Que dirai-je, Madame? et comment dois-je entendre  
 Cet ordre, ce discours que je ne puis comprendre?  
 Serait-il vrai, grands dieux! que, trop aimé de vous,  
 Pharnace eût en effet mérité ce courroux?  
 Pharnace aurait-il part à ce désordre extrême?

MONIME

Pharnace? O ciel! Pharnace? Ah! qu'entends-je moi-même?  
 Ce n'est donc pas assez que ce funeste jour  
 A tout ce que j'aimais m'arrache sans retour,  
 Et que, de mon devoir esclave infortunée,  
 A d'éternels ennuis je me voie enchaînée?  
 Il faut qu'on joigne encor l'outrage à mes douleurs!  
 A l'amour de Pharnace on impute mes pleurs!  
 Malgré toute ma haine on veut qu'il m'ait su plaire!  
 Je le pardonne au Roi, qu'aveugle sa colère,  
 Et qui de mes secrets ne peut être éclairci.  
 Mais vous, Seigneur, mais vous, me traitez-vous ainsi?

XIPHARÈS

Ah! Madame, excusez un amant qui s'égare,  
 Qui lui-même, lié par un devoir barbare,

შესწყვიტოს, ერთის სიტყვითა, ჩემი გულისა წვალება,  
ვერ ვითმენ, ღონე არა მაქვს, ადვილი არის ცვალება.  
რა ვიცი, იქნებ ამ ტანჯვით გადამიბრუნდეს გულიცა  
და სისხლის ღვარში ვეძებო შვებაც და სიხარულიცა.

---

## სცენა VI

მონიმე, ქსიფარესი.

ქსიფარესი.

რა უნდა ვსთქვა, დედოფალო! რასა ჰნიშნავს ეს ბრძანება?  
როგორ უნდა მესმოდეს ან ავასრულო მეფის ნება?  
ნუთუ ფარნაკს, პოი ღმერთო! მოუგია თქვენი გული  
და საფუძველს მეფის წყრომა არც ისეა მოკლებული?

მონიმე.

ვაი! თურმე ის არ კმარა, ის დღე ბნელი, ის დღე შავი,  
როცა სატრფო-საყვარელთა გამოვგლიჯე ჩემი თავი,  
და ვით მონამ, რომლის ხსნასა დახშული აქვს ყოველ კარი,  
საუკუნო მწუხარებას მივაბი და მივაკარი.

ნუთუ ზედ უნდა დამერთოს კიდევ ცილისა წამება?  
თურმე ფარნაკის ვყოფილვარ, ეს სახელიცა წამება!  
ჟინცა მძულს, სწორედ ის გინდათ გულით ვატარო ნაწითა.  
მეფეს ეს ეპატიება დაბრმავებულსა ბრაწითა,—  
რა იცის ჩემი გულისა, რა ბრალი უნდა დავადო?—  
მაგრამ თქვენც აგრე მიყურებთ? აგრე მათასებთ, თავადო?!

ქსიფარესი.

დედოფალო! მაპატიეთ! გადვირიე, დავიბენი,  
გული შხამით ამომევესო, გამისივდა, ვით ნაკბენი.

Se voit prêt de tout perdre, et n'ose se venger.  
 Mais des fureurs du Roi que puis-je enfin juger?  
 Il se plaint qu'à ses vœux un autre amour s'oppose.  
 Quel heureux criminel en peut être la cause?

MONIME

Avez-vous tant de peine à vous l'imaginer?  
 Tantôt, quand je fuyais une injuste contrainte,  
 A qui contre Pharnace ai-je adressé ma plainte?  
 Sous quel appui tantôt mon cœur s'est-il jeté?  
 Quel amour ai-je enfin sans colère écouté?

XIPHARÈS

O ciel! Quoi? je serais ce bienheureux coupable  
 Que vous avez pu voir d'un regard favorable?  
 Vos pleurs pour Xipharès auraient daigné couler?

MONIME

Oui, Prince, il n'est plus temps de le dissimuler :  
 Ma douleur pour se taire a trop de violence.  
 Un rigoureux devoir me condamne au silence;  
 Mais il faut bien enfin, malgré ses dures lois,  
 Parler pour la première et la dernière fois.  
 Vous m'aimez dès longtemps. Une égale tendresse  
 Pour vous, depuis longtemps, m'afflige et m'intéresse.  
 Songez depuis quel jour ces funestes appas  
 Firent naître un amour qu'ils ne méritaient pas;  
 Rappelez un espoir qui ne vous dura guère,  
 Le trouble où vous jeta l'amour de votre père,  
 Le tourment de me perdre et de le voir heureux,  
 Les rigueurs d'un devoir contraire à tous vos vœux :  
 Vous n'en sauriez, Seigneur, retracer la mémoire,  
 Ni conter vos malheurs, sans conter mon histoire :  
 Et lorsque ce matin j'en écoutais le cours,  
 Mon cœur vous répondait tous vos mêmes discours.  
 Inutile, ou plutôt funeste sympathie!  
 Trop parfaite union par le sort démentie .

ყველაფერი შეკარგება, ვერ კი ვიღებ ვერა ზომას.  
მაინც რამე საფუძველი უნდა ჰქონდეს მეფის წყრომას.  
იგი ჰჩივის, მის სიყვარულს ელობება ვილაც სხვისი.  
ვინ არის ეს ბედნიერი? სთქვით სახელი მაინც მისი.  
სთქვით, ვინ არის ეს მიჯნური, ვინც აშალა თქვენი გრძნობა.

### მონიშე.

ნუთუ თვითონ ვერ მიმხდარ-ხართ, გეძნელებათ გამოცნობა?  
წელან, როცა გამოვექვც ფარნაკისა ხელს და ენას,  
ვის მივმართე, ვისა ვთხოვდი მფარველობის აღმოჩენას?  
საით ეცა ჩემი გული? დაგეძებდათ იგი თქვენ რად?  
ვისი სიტყვა მოისმინა სიამით და მოუწყენრად?

### ქსიფარესი.

როგორ? ღმერთო! ნუთუ მე ვარ...

### მონიშე.

მეტი არა მაქვს ძალია.

სიჩუმე მმართვეს, ეს ჩემთვის გადაუვლელი ვალია.  
მაგრამ რაღა ვქნა? ერთხელა გამცნევთ ჩემ გულის ტყენასა,  
ერთხელა მხოლოდ და შემდაგ მე დავიდუმებ ენასა.

გახსოვთ, ოდეს პირველ ჰნახეთ ჩემი ქვეყნის მთა და ბარი,  
მოგეწონათ ჩემი სახე, არც იმდენად საქებარი;  
მოიგონეთ იმედები, ბოლოს სევდად რომ შესცვალეთ,  
რა გამოჩნდა მამა-თქვენი მეტოქედ და მოტრფიალედ,  
შიში ჩემი დაკარგვისა, მამისადმი კრძალვა-რიდი,  
და ამ ვალდებულებითა ჩატეხილი გზა და ხიდი.

თავადო, ესე წარსული, მომკალ, თუ მოიგონეთა  
და თქვენი უბედურება ჩემსას არ შეუწონეთა.  
როცა ამ დილას გისმენდი, გულსა მხვდებოდა მახვილი,  
ყოველ თქვენს სიტყვას იქ მწველი ჰქონდა მის გამოძახილი.  
ახ, საიდუმლო ძაფები, გულთან შემკვრელი გულისა,  
რად ჰწყდება აგრე, რად ჰხდება მსხვერპლი ბედისა კრულისა?

Ah! par quel soin cruel le ciel avait-il joint  
Deux cœurs que l'un pour l'autre il ne destinait point?  
Car, quel que soit vers vous le penchant qui m'attire,  
Je vous le dis, Seigneur, pour ne plus vous le dire,  
Ma gloire me rappelle et m'entraîne à l'autel,  
Où je vais vous jurer un silence éternel.  
J'entends, vous gémissiez ; mais telle est ma misère.  
Je ne suis point à vous, je suis à votre père.  
Dans ce dessein, vous-même, il faut me soutenir,  
Et de mon faible cœur m'aider à vous bannir.  
J'attends du moins, j'attends de votre complaisance  
Que désormais partout vous fuirez ma présence.  
J'en viens de dire assez pour vous persuader  
Que j'ai trop de raisons de vous le commander.  
Mais après ce moment, si ce cœur magnanime  
D'un véritable amour a brûlé pour Monime,  
Je ne reconnais plus la foi de vos discours  
Qu'au soin que vous prendrez de m'éviter toujours.

#### XIPHARÈS

Quelle marque, grands Dieux! d'un amour déplorable !  
Combien en un moment heureux et misérable!  
De quel comble de gloire et de félicités,  
Dans quel abîme affreux vous me précipitez!  
Quoi! j'aurai pu toucher un cœur comme le vôtre,  
Vous aurez pu m'aimer? et cependant un autre  
Possédera ce cœur dont j'attirais les vœux?  
Père injuste, cruel, mais d'ailleurs malheureux!...  
Vous voulez que je fuie, et que je vous évite?  
Et cependant le Roi m'attache à votre suite.  
Que dira-t-il?

ახ, რა ვუთხრა განგებასა უღმობელსა? რას ჰგავს აბა:  
ორი გული ამ ძაფებით ნეტა რისთვის გადააბა?  
ასეთია, ხელმწიფეო, ჩემი წვა და გულის ძგერა.  
ხელმეორედ თქვენ ამაზე ვერ გაიგებთ ვერას, ვერა.  
ბედი მიწვევს, ერთგულობის სხვასა უნდა მივცე ფიცი,  
ფიცის შემდეგ დავდუმდები, მის გატეხა მე არ ვიცი.

მე მესმის თქვენი ვაება, ვერ-რას ვუშველი ამასა,  
თქვენი არა ვარ, ვეკუთვნი ამიერ თქვენსა მამასა.  
ესლა თქვენ უნდა მიშველოთ, ძებნა მჭირია წამალის  
დასამშვიდებლად გულისა, ჩასაქრობელად ამ აღის.  
ამიტომ თქვენ გთხოვთ ამასა, ამასა გემუდარებით:  
ჩემგან შორს თავი გეჭიროს, ახლო ნუ გამეკარებით.

ჩემი თხოვნა ეს-ლა არის, ასრულებას თქვენგან ველი;  
მიხედებოდით: მე ჩემი მაქვს საკმარისი საფუძველი.  
ამ წამიდან, თუ მონიშნე თქვენ გიყვარდათ წრფელის გულით,  
თუ მის სახელს ატარებდით სიამით და სიყვარულით,  
თქვენს ფიცსა და სიყვარულსა დავაფასებ ერთი-ორად,  
თუ აქედან გამეცლებით, თავს დაიჭერთ ჩემგან შორად.

### ქსიფარესი.

ღმერთო! რა სიყვარულია, მწარეც და საამურიცა!  
ღმერთო, რა ბედნიერი ვარ! ღმერთო, რა უბედურიცა!  
რა სამოთხისა კარები გამიღეთ, გამახარეთა,  
და რა შავ-ბნელსა სამარეს ხელახლად მიმაბარეთა?  
როგორ? შევებე ამ გულსა, ისეთს, როგორიც თქვენია,  
და სხვას კი ჰრჩება, სხვას მიაქვს, სხვა ვინმე გამოჩენია  
მისი ბატონი, პატრონი, მისი უდავო მფლობელი?  
მამა უწყალოვ!.. აჰ, მასაც არ ჰწყალობს წუთი-სოფელი!  
გამეცალეთო, მიბრძანეთ... მე ავასრულებ ამასა,  
მაგრამ, ბატონო, ნუთუ ეს არ ეწყინება მამასა?  
მან მიბრძანა...

MONIME

N'importe, il me faut obéir  
Inventez des raisons qui puissent l'éblouir .  
D'un héros tel que vous c'est là l'effort suprême :  
Cherchez, Prince, cherchez, pour vous trahir vous-même ,  
Tout ce que, pour jouir de leurs contentements ,  
L'amour fait inventer aux vulgaires amants.  
Enfin, je me connais, il y va de ma vie.  
De mes faibles efforts ma vertu se défie.  
Je sais qu'en vous voyant, un tendre souvenir  
Peut m'arracher du cœur quelque indigne soupir;  
Que je verrai mon âme, en secret déchirée,  
Revoler vers le bien dont elle est séparée;  
Mais je sais bien aussi que, s'il dépend de vous  
De me faire chérir un souvenir si doux,  
Vous n'empêcherez pas que ma gloire offensée  
N'en punisse aussitôt la coupable pensée;  
Que ma main dans mon cœur ne vous aille chercher,  
Pour y laver ma honte et vous en arracher.  
Que dis-je? En ce moment, le dernier qui nous reste,  
Je me sens arrêter par un plaisir funeste.  
Plus je vous parle, et plus, trop faible que je suis,  
Je cherche à prolonger le péril que je fuis.  
Il faut pourtant, il faut se faire violence;  
Et, sans perdre en adieux un reste de constance ,  
Je fuis. Souvenez-vous, Prince, de m'éviter,  
Et méritez les pleurs que vous m'allez coûter.

სულ ერთია! თქვენ ეს კარგად გაგეგებათ.  
მოიგონეთ სხვა რამ ხერხი მისი გულის მოსაგებად.  
თუმცა გმირი თქვენისთანა ურიგდება ამას ძნელად,  
მაგრამ მე კი ნებას გაძლევ: გულში სევდის ჩასანელად  
სცადეთ, სცადეთ ყველაფერი... ამისთანა ყოფაში-ყე  
უღარდელი უნდა იყოთ, ვით უბრალო მოარშიყე.

რაც შემეხება მე თვითონ, აქ განსაცდელი დიდია,  
ძალა არა მაქვს, ნამუსი ჩემი ბეწვზედა ჰკილია.  
გნახავთ და ამეშლებიან წარსულის მოგონებანი,  
მომედებიან ალებად მე სამარცხვინო ვნებანი,  
გული, წამებულ ამდენი სევდით და ცრემლის დენითა,  
ფრთასა შეისხამს, მოგძებნის, ჩაგეკონებათ ლხენითა.

მაგრამ თქვენზე თუ ჰკილია—უბედურს და უიმედოს  
შემრჩეს მე ეს მოგონება, ტკბილი ტკბილად გულში მედოს,  
ხელსა მაინც ვერ შემიშლი: არ დავტოვებ დაუსჯელად  
ამ ოცნებას სამარცხვინოს, მოდებულსა გულსა მწველად.  
ხელს ჩავიყოფ შიგან გულში, გავევლება, როგორფ დანა,  
ჩემს სირცხვილს და თქვენს სახესაც მე ამოვხევე იქიდანა.

მაგრამ რას ვამბობ ნეტავი, ნეტა რა და რას ვეხები?  
რალაც სიაშე მაჩერებს, შებორკილი მაქვს ფეხები,  
გესაუბრები. დრო მიდის ტკბილად და შეუმჩნეველად,  
მე კი ვდგევარ და გიყურებ ჩემი დღის დასაქცეველად.  
უნდა კი ბედსა გავუძლო თმენით, კი არა ფლიდობით,  
უნდა კი გითხრათ გულმაგრად უკანასკნელი მშვიდობით.  
კმარა... გახსოვდეს, თავადო, რაცა რომ გთხოვეთ წინეთა,  
იყავით ღირსი ცრემლების, რაც მე თქვენ დამადინეთა.

XIPHARÈS

Ah! Madame... Elle fuit, et ne veut plus m'entendre .  
Malheureux Xipharès, quel parti dois-tu prendre ?  
On t'aime, on te bannit : toi-même tu vois bien  
Que ton propre devoir s'accorde avec le sien.  
Cours par un prompt trépas abrèger ton supplice.  
Toutefois attendons que son sort s'éclaircisse ;  
Et s'il faut qu'un rival la ravisse à ma foi ,  
Du moins, en expirant, ne la cédon's qu'au Roi.

დედოფალო!.. ახ, წავიდა, სულ მომესპო მისი ჭკრეტა.  
უბედურო ქსიფარესო, რას აპირებ ეხლა ნეტა?  
იგი გეტრფის, იგი გდევნის... შენ ხომ ჰხედავ, ხომ  
გაქვს თვალი,  
რომ ერთი და იგივეა თქვენი ღღე და თქვენი ვალი?

მოჰკედი! მოუღე ერთბაშად ბოლო გულისა ჭრილობას!  
არა... ჯერ ვნახოთ, რა ელის მისთა წამწამთა ჩრდილობას:  
თუ საჭიროა დათმობა ამა გიშრისა კარავის,  
დავეუთმობ მხოლოდ მეფესა, სხვას მოგვედები და—არავის!



### ACTE III

SCÈNE PREMIÈRE. — MITHRIDATE, PHARNACE,  
XIPHARÈS

MITHRIDATE

Approchez, mes enfants . Enfin l'heure est venue  
Qu'il faut que mon secret éclate à votre vue.  
A mes nobles projets je vois tout conspirer ,  
Il ne me reste plus qu'à vous les déclarer.  
Je fuis : ainsi le veut la fortune ennemie.  
Mais vous savez trop bien l'histoire de ma vie  
Pour croire que longtemps soigneux de me cacher ,  
J'attende en ces déserts qu'on me vienne chercher.  
La guerre a ses faveurs, ainsi que ses disgrâces.  
Déjà plus d'une fois, retournant sur ses traces,  
Tandis que l'ennemi, par ma fuite trompé ,  
Tenait après son char un vain peuple occupé,  
Et, gravant en airain ses frêles avantages,  
De mes États conquis enchainait les images,  
Le Bosphore m'a vu, par de nouveaux apprêts,  
Ramener la terreur du fond de ses marais,  
Et, chassant les Romains de l'Asie étonnée ,  
Renverser en un jour l'ouvrage d'une année.

## მოქმედება მისამხ

### სცენა I

მითრიდატი, ფარნაკი, ქსიფარესი.

მითრიდატი.

მომიახლოვდით, შეიღებო! დროა გაგაცნოთ სრულადა ჩემი განძრახვა, რაც დღემდე დამქონდა დაფარულადა. გარემოება კარგია, ხელს უწყობს საქმეს გმირულსა, და თქვენგან ითხოვს მხნეობას, ბრძოლასა თავგანწირულსა.

მართალია, დამამარცხეს, დავიხიე, წამოვედი, მაგრამ მიცნობთ: ჯერ ვერავის წაუხრია ჩემი ქედი. შიში, ძრწოლა მე არ ვიცი, არც მცოდნია, არ მაქვს ი ზნე. არ იფიქროთ, გაჭირებას გამოვექეცე, გავიხიზნე. იმს აქვს თავის კანონები: ზოგჯერ გწყალობს, ზოგჯერა კი თავზე უნდა დაგატეხოს ყოველგვარი ფათერაკი.

მოვბრუნებულ ვარ მე ხშირად, ამას არ უნდა დავანი, როდესაც მტერი ზეიმსა ჰმართავდა ამპარტავანი, სჭრიდა სპილენძზე თავისი საცოდავ გამარჯვებასა და ჩემს ქვეყნებში ჰლამობდა თვის ძლევის დამყარებასა, მოვბრუნებულ ვარ, დიდიცა არ გამიწირავს ხანია, და იქ—ამ ჭაობებიდან—თავზარი მიმიტანია, მიმიფრეწია მტერი და განცვიფრებული აზია ჩემ ხელმწიფობის ფარგალში ისევ შემომიხაზია.

D'autres temps, d'autres soins . L'Orient accablé  
Ne peut plus soutenir leur effort redoublé.  
Il voit plus que jamais ses campagnes couvertes  
De Romains que la guerre enrichit de nos pertes.  
Des biens des nations ravisseurs altérés,  
Le bruit de nos trésors les a tous attirés :  
Ils y courent en foule; et, jaloux l'un de l'autre,  
Désertent leur pays pour inonder le nôtre .  
Moi seul je leur résiste. Ou lassés, ou soumis,  
Ma funeste amitié pèse à tous mes amis :  
Chacun a ce tardeau veut dérober sa tête.  
Le grand nom de Pompée assure sa conquête :  
C'est l'effroi de l'Asie; et loin de l'y chercher,  
C'est à Rome, mes fils, que je prétends marcher.  
Ce dessein vous surprend; et vous croyez peut-être  
Que le seul désespoir aujourd'hui le fait naître.  
J'excuse votre erreur; et pour être approuvés,  
De semblables projets veulent être achevés .  
Ne vous figurez point que de cette contrée  
Par d'éternels remparts Rome soit séparée.  
Je sais tous les chemins par où je dois passer;  
Et si la mort bientôt ne me vient traverser ,  
Sans reculer plus loin l'effet de ma parole,  
Je vous rends dans trois mois au pied du Capitole.  
Doutez-vous que l'Euxin ne me porte en deux jours  
Aux lieux où le Danube y vient finir son cours?  
Que du Scythe avec moi l'alliance jurée  
De l'Europe en ces lieux ne me livre l'entrée?  
Recueilli dans leurs ports, accru de leurs soldats,

სხვა დრო დადგა, სხვაა გზები! აღმოსავლეთს არ აქვს ღონე  
შეარყიოს რომის ძალა უხეში და თავმომწონე.  
იგი ჰხედავს, რომაელებს დაჰრჩა მისი მთა და ბარი,  
ეს სამოთხე ქვეყნიური, ეს სიმდიდრე უებარი;  
ტყავს გვაძრობენ, ხალხსა ჰყვლეფენ, ფული უნდათ,  
მხოლოდ ფული;  
ჩვენს დოვლათსა შეჰყურებენ, სიხარბითა მისდით სული;  
აქ მორბიან ათასობით, ერთმანეთის მოშურნენი,  
თვის სამშობლოს გაურბიან და წაჰლექეს ერთობ ჩვენი.

მხოლოდ მე მათ წინ აღვედდექ!.. ურჩი არის თუ მორჩილი,  
ეხლა ჩემთან უნდა იყოს ყველა ჩვენი ქვეყნის შვილი.  
ამას ვერვინ გაექცევა, ეს ჭაპანი უნდა ვზიდოთ;  
მხოლოდ აქა, აზიაში, პომპეიუსს მოვერიდოთ:  
მის სახელი ჰქუხს და ელავს, აქ ის არის საშიშარი,—  
მეც რომისკენ გადაეწყვიტე გადაეისხა ჩემი ჯარი.  
გაგიკვირდათ?.. არ იფიქროთ: გამიცუდდა ყოველ ზომა  
და ნაბიჯი სახიფათო ავირჩიე ამიტომა.

მართალი არის, განძრახვა ჩემი ძნელი და დიდია  
და გამართლებაც მაგისა ასრულებაზე ჰკიდია.  
ნუ ჰფიქრობთ, რომი შორს იყოს გარსშემორტყმული  
ზღუდითა.

იცოცხლე, მივწვდე იმასა, ჭვა ვასროლინო კუდითა.  
შესწავლილი მაქვს მე გზები, შორი მთები და ბარები,  
და თუ დამაცდის სიკვდილი, მიწას არ მივებარები,  
სამ თვეში ყველას მიგიყვანთ ბედაურების ქროლითა  
იქ, სადაც რომი ჰბრწყინვალეებს მის ცნობილ კაპიტოლითა.

ევქსინის ზღვას გადავლახავ და ორ დღეში, არა ერთ თვეს,  
მივადგები დუნაიას, სადაც იგი ზღვასა ერთვის.  
სკითებთანა კავშირი მაქვს, ფიცი მათი მიმილია,  
რომ დამხედება ამ კუთხეში ევროპისა კარი ღია.  
შევალ მათსა ნავთსადგურში, კვლავ მივიღებ ფიცხელ  
ზომებს,

Nous verrons notre camp grossir à chaque pas.  
Daces , Pannoniens, la fière Germanie,  
Tous n'attendent qu'un chef contre la tyrannie.  
Vous avez vu l'Espagne , et surtout les Gaulois ,  
Contre ces mêmes murs qu'ils ont pris autrefois  
Exciter ma vengeance, et jusque dans la Grèce,  
Par des ambassadeurs accuser ma paresse.  
Ils savent que, sur eux prêt à se déborder ,  
Ce torrent, s'il m'entraîne, ira tout inonder;  
Et vous les verrez tous, prévenant son ravage,  
Guider dans l'Italie et suivre mon passage.  
C'est là qu'en arrivant, plus qu'en tout le chemin,  
Vous trouverez partout l'horreur du nom romain,  
Et la triste Italie encor toute fumante  
Des feux qu'a rallumés sa liberté mourante.  
Non, Princes, ce n'est point au bout de l'univers  
Que Rome fait sentir tout le poids de ses fers;  
Et de près inspirant les haines les plus fortes,  
Tes plus grands ennemis, Rome, sont à tes portes.  
Ah! s'ils ont pu choisir pour leur libérateur  
Spartacus, un esclave, un vil gladiateur;  
S'ils suivent au combat des brigands qui les vengent,  
De quelle noble ardeur pensez-vous qu'ils se rangent  
Sous les drapeaux d'un roi longtemps victorieux,  
Qui voit jusqu'à Cyrus remonter ses aïeux ?  
Que dis-je? En quel état croyez-vous la surprendre?  
Vide de légions qui la puissent défendre,  
Tandis que tout s'occupe à me persécuter ,  
Leurs femmes, leurs enfants, pourront-ils m'arrêter?  
Marchons, et dans son sein rejetons cette guerre  
Que sa fureur envoie aux deux bouts de la terre.

შემოვიკრებ ბლომად ჯარსა, ავაჯანყებ უცხო ტომებს;  
დაკიელნი, პონონელნი, გერმანიაც მხნე და ლაღი,  
მხოლოდ სარდალს დაეძებენ, რომ აისხან იარაღი.

ჰესპანელ ხალხი მე მიწვევს, ხალხი მეტარდე გოლისა,  
ერთ დროს რომის წინ გამირულად ჩამტარებელი ბრძოლისა;  
შიკრიკს მიგზავნის მალულად მოუთმენელი ჰელლადა,  
ამოსაყრელად ჯავრისა და ქვეყნის დასახსნელადა.  
იციან, თუ მე დავიძერ აქედან ჩემი ჯარითა,  
ყველაფერს მივლევ. მივანგრევ, წავლევ სისხლისა ღვარითა.

დაინახავთ, ყოველ ერი აჯანყდება მეტ-ნაკლებად,  
ყველა უკან გამომყვება იტალიის ასაკლებად;  
დაინახავთ, სადაც მივალთ. სადაც შარა გვიძევს გრძელი,  
ყველა წყევლით იხსენიებს, ყველასა სძულს რომაელი.  
ჰნახავთ საწყალ იტალიას ცეცხლის აღში გახვეულსა  
და მის სხეულს საცოდავსა დაფლეთილს და დახეულსა.

არა, ბატონიშვილებო! არა ცხრა მთასა იჭითა.  
რომი რომშივე ჰბატონობს ძალადობით და ჯიქითა;  
ბევრი და დაუძინარი მტერი შინა ჰყავს, შინაა,  
ან ხშირად დაბარგებული მისი კარების წინაა.

თუ ამ ხალხმა მეთაურად აირჩია, მოიწონა,  
გლადიატორ სპარტაკუსი, ეს უცნობი ყმა და მონა,  
თუ იმასა გაჰყვა უკან, რომ ებოვა ხსნა და შველა,  
რა ლხენით და აღტაცებით წამოდგება მაშინ ყველა,  
როცა დროშა გაიშლება მეფის მძლავრის და დიადის,  
ვის სახელი მიწას ჰბურავს და ბრწყინვალე ცაში ადის.

რას ვამბობ? იცით თუ არა მდგომარეობა რომისა?  
ლეგიონები გაჰგზავნეს საწარმოებლად ომისა  
ჩემ წინააღმდეგ.—შინ დარჩათ ბავშვები-ლა და ქალები!  
აბა რას გამაჩერებენ, დიდი არ მინდა ძალები.  
გავსწიოთ, ცეცხლი მოვუდოთ, ის ცეცხლი მთასა კიდესა,  
რაც თვითონ ქვეყნიერებას არ-ერთჯერ წაუყიდესა.

Attaquons dans leurs murs ces conquérants si fiers ,  
Qu'ils tremblent, à leur tour, pour leurs propres foyers.  
Annibal l'a prédit , croyons-en ce grand homme :  
Jamais on ne vaincra les Romains que dans Rome.  
Noyons-la dans son sang justement répandu :  
Brûlons ce Capitole où j'étais attendu .  
Détruisons ses honneurs , et faisons disparaître  
La honte de cent rois, et la mienne peut-être;  
Et la flamme à la main, effaçons tous ces noms  
Que Rome y consacrait à d'éternels affronts .  
Voilà l'ambition dont mon âme est saisie.  
Ne croyez point pourtant qu'éloigné de l'Asie  
J'en laisse les Romains tranquilles possesseurs.  
Je sais où je lui dois trouver des défenseurs.  
Je veux que d'ennemis partout enveloppée,  
Rome rappelle en vain le secours de Pompée.  
Le Parthe, des Romains comme moi la terreur,  
Consent de succéder à ma juste fureur;  
Prêt d'unir avec moi sa haine et sa famille,  
Il me demande un fils pour époux à sa fille.  
Cet honneur vous regarde, et j'ai fait choix de vous,  
Pharnace. Allez, soyez ce bienheureux époux.  
Demain, sans différer, je prétends que l'aurore  
Découvre mes vaisseaux déjà loin du Bosphore.  
Vous, que rien n'y retient, partez dès ce moment,  
Et méritez mon choix par votre empressement :  
Achevez cet hymen; et repassant l'Euphrate,  
Faites voir à l'Asie un autre Mithridate.  
Que nos tyrans communs en pâlisent d'effroi,  
Et que le bruit à Rome en vienne jusqu'à moi.

მათ სახლშივე ზედ დავესხათ, ავუტეხოთ შინვე ბრძოლა.  
მათაც მათი კერასათვის დეე იგრძნონ წვა და ძრწოლა.  
პანიბალმა გვიანდერძა, ამ დიდ კაცმა ყოველ ომში,  
რომ რომისა დამარცხება შეიძლება მხოლოდ რომში.  
მაშ ჩავახრჩოთ მისვე სისხლში მტერი, რომელს არ ჰყავს  
ტოლი,  
და ვაქციოთ ნაცარ-ტუტად მის განთქნული კაპიტოლი.

მოვსპოთ იმათი სახელი, ვიყაროთ ჯავრი მეფეთა,  
წავერცხოთ ჩემი სირცხვილიც, რაც რომ ეხლახან მეფეთა.  
ცეცხლით წავშალოთ წარწერა, სადაც მიგვიწვდეს ხელია,  
რაცა ჩვენ გვარცხვენს და ჩვენი სახელის გამტეხელია.  
აი რა გვარი ზრახვებით გამსჭვალული მაქვს გონება.  
არ იფიქროთ კი: აზია, მის უამრავი ქონება,  
მათ ჩავეყარო იოლად. დავუთმო რომაელებსა.  
არა, მე ვიცი, ვიპოვი მისთვის საჭირო მცველებსა.  
მე მინდა რომსა დავართყა, მოვართყა რკინის რკალები,  
მოვწყვიტო, შორსა გავრიყო პომპეიუსის ძალები.

პართთა მეფე, რომის მტერი, ჩემისავით საშინელი,  
თანახმაა ამ ბრძოლაში გამიწვდინოს ძმურად ხელი;  
ის მზად არის დამემოყვროს, სიტყვას მაძლევს სათანადოს,  
და ერთ-ერთი ჩემი შვილი სიძედ უნდა გაიხადოს.  
ფარნაკ! მე შენ ავირჩიე. ეს პატივი გერგო წილად.  
წადი—იყავ ბედნიერი!— სალხინოდ და საქორწილოდ.

მე ავიყრები ხვალ დილით, გავეც ხომალდებს ბრძანება,  
შორს ზღვაზე შეხვდნენ განთიადს, არ მოხდეს დაგვიანება.  
შენ არაფერი გაკავებს. გასწი ეხლავე ლხენითა,  
და მოიხვეჭე სახელი აწ გმირობითა შენითა,  
დაიბყარ მთელი აზია, კუთხეც კი არა დატიო,  
რომა სთქვან: „აჰა, გამოჩნდა მეორე მითრიდატიო!“  
დავსცეთ მით რომსა თავზარი, გული ავუმსოთ წუხილით,  
შენი სახელის ბრწყენითა, მისი ელვით და ქუხილით.

## PHARNACE

Seigneur, je ne vous puis déguiser ma surprise.  
 J'écoute avec transport cette grande entreprise;  
 Je l'admire; et jamais un plus hardi dessein  
 Ne mit à des vaincus les armes à la main.  
 Surtout j'admire en vous ce cœur infatigable  
 Qui semble s'affermir sous le faix qui l'accable.  
 Mais si j'ose parler avec sincérité,  
 En êtes-vous réduit à cette extrémité?  
 Pourquoi tenter si loin des courses inutiles,  
 Quand vos États encor vous offrent tant d'asiles,  
 Et vouloir affronter des travaux infinis,  
 Dignes plutôt d'un chef de malheureux bannis  
 Que d'un roi qui naguère avec quelque apparenc  
 De l'aurore au couchant portait son espérance,  
 Fondait sur trente États son trône florissant,  
 Dont le débris est même un empire puissant?  
 Vous seul, Seigneur, vous seul, après quarante années,  
 Pouvez encor lutter contre les destinées.  
 Implacable ennemi de Rome et du repos,  
 Comptez-vous vos soldats pour autant de héros?  
 Pensez-vous que ces cœurs, tremblants de leur défaite,  
 Fatigués d'une longue et pénible retraite,  
 Cherchent avidement sous un ciel étranger  
 La mort, et le travail pire que le danger?  
 Vaincus plus d'une fois aux yeux de la patrie,  
 Soutiendront-ils ailleurs un vainqueur en furie?  
 Sera-t-il moins terrible, et le vaincra-t-il mieux  
 Dans le sein de sa ville, à l'aspect de ses dieux?  
 Le Parthe vous recherche et vous demande un gendre.

ხელმწიფო! ვერ დაემაღავე, უნდა გითხრათ თამამად ეს: განცვიფრებით მე შევეყურებ თქვენი გეგმის სიდიადეს. არასოდეს დამარცხებულს, რაც გინდ იყოს მხნე და ლალი, უდიდესი საქმისათვის არ აუსხამს იარაღი. მე მაკვირვებს თქვენი გული მოუღლებელი, მეტადრე კი ეს გმირული ნებისყოფა ჭირშიდაც კი მოუდრეკი.

მაგრამ თუ ნებას მიბოძებთ, ამაცდენთ თქვენსა წყრომასა, გკადრებთ: არ უნდა მიჰმართოთ უკანასკნელსა ზომასა. რად გინდათ წასვლა აგრე შორს სამტროდ და სალაშქაროთა, განა ცოტა გაქვთ ქვეყნები, თავი რომ შეაფაროთა? შრომის გაწევა ასეთის, ასეთი ჭაპან-წყვეტისა, მეფეს შეჰფერის, რომელიც ღირსი არ არის მეტისა.

თქვენ სულ სხვა ხართ! რა შეენებით ელვარებდა  
 თქვენი ბელი!

ამოსვლა და ჩასვლა მზისა იყო მის შარავანდედი. თქვენსა ტახტსა ქვევით ეგო სახელმწიფო ოცდაათი, დღესაც დიდსა იმპერიას წარმოადგენს ნაშთი მათი. თქვენ მხოლოდ, ხელმწიფო. შეგიძლიათ თქვენა მხოლოდ ორმოცი წლის ბრძოლის შემდეგ ბედსა კიდევ შეებრძოლოთ.

თქვენ მოსვენება არ გინდათ, არც შერიგება რომისა. ნუთუ გგონიათ, ყველანი არიან თქვენი ზომისა? ნუთუ გგონიათ, რომ ჯარი დაღლილი, დამარცხებული, მუდმივი უკუხვევითა არ არის გამწარებული? ნუთუ გგონიათ, იმისთვის სახარბიელო რამ არის უცხო ცის ქვეშე ბრძოლა და იქ მოპოება სამარის? თუ სამშობლოში დამარცხდა, წინაშე თვისვე მხარისა, ნუთუ სხვაგან ის იქნება მტერზე მიმტანი ზარისა? ნუთუ მტერიცა იქნება ადვილად დასაძლეველი იქ, სადაც მისი მიწაა, ღმერთი და საკურთხეველი?!

ვიცი, პართი გეხეწება, სიძედ უნდა თქვენი შვილი,

Mais ce Parthe, Seigneur, ardent à nous défendre  
Lorsque tout l'univers semblait nous protéger,  
D'un gendre sans appui voudra-t-il se charger?  
M'en irai-je moi seul, rebut de la fortune,  
Essayer l'inconstance au Parthe si commune,  
Et peut-être, pour fruit d'un téméraire amour,  
Exposer votre nom au mépris de sa cour?  
Du moins, s'il faut céder, si, contre notre usage,  
Il faut d'un suppliant emprunter le visage,  
Sans m'envoyer du Parthe embrasser les genoux,  
Sans vous-même implorer des rois moindres que vous,  
Ne pourrions-nous pas prendre une plus sûre voie?  
Jetons-nous dans les bras qu'on nous tend avec joie.  
Rome en votre faveur facile à s'apaiser...

#### XIPHARÈS

Rome, mon frère! O ciel! qu'osez-vous proposer?  
Vous voulez que le Roi s'abaisse et s'humilie?  
Qu'il démente en un jour tout le cours de sa vie?  
Qu'il se fie aux Romains, et subisse des lois  
Dont il a quarante ans défendu tous les rois?  
Continuez, Seigneur : tout vaincu que vous êtes,  
La guerre, les périls sont vos seules retraites.  
Rome poursuit en vous un ennemi fatal,  
Plus conjuré contre elle et plus craint qu'Annibal.  
Tout couvert de son sang, quoi que vous puissiez faire,  
N'en attendez jamais qu'une paix sanguinaire',  
Telle qu'en un seul jour un ordre de vos mains  
La donna dans l'Asie à cent mille Romains.  
Toutefois épargnez votre tête sacrée.

მაგრამ პარტი, ხელმწიფეო, დღემდე თქვენთვის გულ-  
გაშლილი,

ეხლა, როცა უკუღმართად თქვენი ბედი გადაბრუნდა,  
რად მიმიღებს, საცოდავი ეხლა სიძე რალად უნდა?  
რად წავიდე, მარტოდ-მარტომ იქ რა უნდა გავაკეთო,  
ჩვეულებრივ ორგულობას მხოლოდ უნდა შევეფეთო;  
შეიძლება, ტრფობის ჯილდოდ ისიც კი ვერ ავიცილო,  
თქვენი თავი რომ არ გახდეს სამასხრო და სასაცილო.

თუ საჭიროა ამ ჟამად, შემოსაკრებლად ღონისა,  
დაეუთმოთ, სახე მივიღოთ მათხოვისა და მონისა,  
პარტიდან რად უნდა გამგზავნოთ, რა მას ვუკოცნო მუხლია,  
რად გვინდა მეფე ეგეთი? თავი ქვასაცა უხლია!  
არ შეგვიძლია განა ჩვენ ვნახოთ სხვა გამოსავალი?  
ხელსა გვიწვდიან, ჩვენა გვაქვს წინადადება მრავალი.

რომთან, თქვენდა სასარგებლოდ, ადვილია მორიგება...

### ქსიფარები.

რომთან?! ძმაო, რასა ჰბრძანებ? არაფერი გამეგება.  
ნუთუ შენ გსურს, მამა-ჩვენმა მოიხაროს აგრე ქელი  
და ერთ დღესა უარი-ჰყოს მთელ სიცოცხლის ნამოქმედი?  
რომ მიენდოს რომაელებს, რომ იწამოს მათი ძალა,  
ორმოცი წლის ბრძოლის შემდეგ გაჰხდეს მათი მაჩანჩალა?!..

არა! განაგრძეთ, მეფეო, თავი ანებეთ ყველასა,  
ბრძოლაა თქვენი იმედი, სხვაფრივ ნუ ელით შველასა.  
თქვენა ხართ მოვლინებული საბედისწეროდ რომისა,  
მას მტერი ჯერ არ ჰყოლია საშიში თქვენი ზომისა.  
შეღებილი გაქვთ იმდენად მათი სისხლითა ხელეში,  
რომ ზავსა არ დაგიდებენ გულწრფელად რომაელები;  
აბა რას დაივიწყებენ აზიის იმა მხარეთა,  
სადაც ას-ათას რომაელთ თქვენ მიწა გეუთხარეთა.

დაიცევით თქვენი თავი, თქვენი საღმრთო პიროვნება.

Vous-même n'allez point de contrée en contrée  
Montrer aux nations Mithridate détruit  
Et de votre grand nom diminuer le bruit .  
Votre vengeance est juste, il la faut entreprendre :  
Brûlez le Capitole, et mettez Rome en cendre.  
Mais c'est assez pour vous d'en ouvrir les chemins :  
Faites porter ce feu par de plus jeunes mains ;  
Et, tandis que l'Asie occupera Pharnace,  
De cette autre entreprise honorez mon audace.  
Commandez : laissez-nous, de votre nom suivis,  
Justifier partout que nous sommes vos fils.  
Embrasez par nos mains le couchant et l'aurore ;  
Remplissez l'univers, sans sortir du Bosphore ;  
Que les Romains, pressés Je l'un à l'autre bout,  
Doutent où vous serez, et vous trouvent partout.  
Dès ce même moment<sup>1</sup> ordonnez que je parte.  
Ici tout vous retient ; et moi, tout m'en écarte.  
Et si ce grand dessein surpasse ma valeur,  
Du moins ce désespoir convient à mon malheur.  
Trop heureux d'avancer la fin de ma misère,  
J'irai... J'effacerai le crime de ma mère,  
Seigneur. Vous m'en voyez rougir à vos genoux ;  
J'ai honte de me voir si peu digne de vous ;  
Tout mon sang doit laver une tache si noire.  
Mais je cherche un trépas utile à votre gloire ;  
Et Rome, unique objet d'un désespoir si beau,  
Du fils de Mithridate est le digne tombeau.

არ წახვიდეთ აქედანა, თქვენ ამისი არ გაქვთ ნება,  თორემ თქვენი დამარცხება ეცნობება ყველა ერებს, ქუხილს თქვენი სახელისას ეს შეჰლახავს, შეაჩერებს. მართალი ხართ, შურს რომ ეძებთ, მართალი ხართ —

ეძებთ ომსა:  
ღიად! დასწვით კაპიტოლი, წაუკიდეთ ცეცხლი რომსა!

მაგრამ თქვენ მხოლოდ დასძარით აქედან თქვენი ძალები. მიანდეთ ჯეელ ხელებსა ამა ცეცხლისა ალები.

და თუ ფარნაცსა მიენდო დასაბურობელად აზია, ხედრი მხნეობის ჩემისა—დასავლეთისა ხაზია.

პბრძანეთ! სახელით თქვენითა წაველთ შუქ-მოფენილები და დავუმკიცებთ ქვეყანას — მითრიდატის ვართ შვილები.

დასავლეთს და აღმოსავლეთს ცეცხლი თქვენვე წაუკიდეთ, თქვენ იქუხეთ, მაგრამ, მეფევ, ნუ დააგდებთ ამა კიდეთ, რომ ამ რიგათ რომაელებს აფურიოთ გზა და კვალი, თქვენ ვერ განახონ ვერსად, მათ კი ყველგან სცემდეს თქვენი ხმალი.

პბრძანეთ, ეხლავ გზას გავუდგე, შევეხეთქო მტერი მტერსა, თქვენ აქ დარჩით, მე კი წაველ, ეს სჯობია ყველაფერსა.

თუ ეს განძრახვა ღიადი ჩემს ღონეს აღმატება, ჩემსა ბედსა კი შეჰტერის ამ რიგად თავის დადება. ბედნიერი ვარ ვიხილო ბოლო ამ ბნელი ბედისა, მივდივარ გამოვისყიდო დანაშაული დედისა.

მეფევ, თქვენ წინ მუხლსა ვიყრი, მემატება ჭირზე ჭირი. არ ვარ თქვენი ღირსი შვილი, ამას ვწუხვარ. ამას ვტირო: მაინც მინდა გადავრეცხო შეცოდება დედი-ჩემის. სიცოცხლეზე ხელსა ვიღებ, შეიწიროს თქვენმა მზემ ის. სწორედ რომი, სადაც უნდა სისხლის ღვარი დავაგუბო, მითრიდატის შვილისათვის ღირსეული არის კუბო.

MITHRIDATE, *se levant.*

Mon fils, ne parlons plus d'une mère infidèle .  
Votre père est content, il connaît votre zèle,  
Et ne vous verra point affronter de danger  
Qu'avec vous son amour ne veuille partager.  
Vous me suivrez : je veux que rien ne nous sépare ;  
Et vous, à m'obéir, Prince, qu'on se prépare.  
Les vaisseaux sont tout prêts; j'ai moi-même ordonné  
La suite et l'appareil qui vous est destiné  
Arbate, à cet hymen chargé de vous conduire,  
De votre obéissance aura soin de m'instruire.  
Allez; et soutenant l'honneur de vos aïeux,  
Dans cet embrassement recevez mes adieux.

PHARNACE

Seigneur...

MITHRIDATE

Ma volonté, Prince, vous doit suffire.  
Obéissez. C'est trop vous le faire redire.

PHARNACE

Seigneur, si pour vous plaire il ne faut que périr,  
Plus ardent qu'aucun autre on m'y verra courir.  
Combattant<sup>1</sup> à vos yeux, permettez que je meure.

MITHRIDATE

Je vous ai commandé de partir tout à l'heure ,  
Mais après ce moment... Prince, vous m'entendez ,  
Et vous êtes perdu si vous me répondez.

## მითრილატი (წამოდგება)



ჩემო შვილო, ნუ ვიგონებთ დედი-შენის შეცოდებას.  
კმაყოფილი მე ვარ, ვიცნობ შენი თავის გამოდებას;  
და არც ისე სუსტი არის მამი - შენის სიყვარული,  
შენთან ერთად არ გაიყოს ქირია თუ სიხარული.

არა, შენ ჩემთან იქნები ყოველთვის განუყრელადა.  
ხოლო შენ, ფარნაკ, გასწიე, გზასა გაუდექ ხელადა.  
მზადა არიან, ხომალდებს მე თვით გავეცი ბრძანება,  
მზად არის შენი ამაღლა. ბარგიც, რაც გაგეტანება;  
თან გამოგყვება არბატი, მოაწყობს ქორწინებასა;  
და შენსა ერთგულობაზე მომაწვდის მოხსენებასა.  
მშვიდობით! არ შეარცხვინო ჩვენთა წინაპართ ალაში  
და ამბორითა ჩემითა მიიღე ჩემი სალამი.

ფარნაკი.

ხელმწიფეო...

მითრილატი.

ჩემი სიტყვა უნდა კმაროდეს, თავადო.  
ხომ გაიგონე? მეტია კიდევ დასტური თავადო.

ფარნაკი.

თუ სიკვდილი საჭიროა თქვენი გულის მოსაგებად,  
სიხარულით მეცა წავალ თქვენთვის თავის დასადებად.  
მიბრძანეთ და მეც მოკვდები თქვენი გვერდით, ბრძოლის  
ველად.

მითრილატი.

მე ხომ ესთქვი და გავათავე: გაუდექი გზასა ხელად.  
ამის შემდეგ... ახ, თავადო, მიაბყარი ამას სმენა:  
დალუპული შენ ხარ უკვე, თუ დასძარი კიდევ ენა.

PHARNACE

Dussiez-vous présenter mille morts à ma vue ,  
Je ne saurais chercher une fille inconnue.  
Ma vie est en vos mains.

MITHRIDATE

Ah! c'est où je t'attends.  
Tu ne saurais partir, perfide , et je t'entends .  
Je sais pourquoi tu fuis l'hymen où je t'envoie :  
Il te fâche en ces lieux d'abandonner ta proie ;  
Monime te retient. Ton amour criminel  
Prétendait l'arracher à l'hymen paternel.  
Ni l'ardeur dont tu sais que je l'ai recherchée,  
Ni déjà sur son front ma couronne attachée,  
Ni cet asile même où je la fais garder,  
Ni mon juste courroux n'ont pu t'intimider .  
Traître , pour les Romains tes lâches complaisances  
N'étaient pas à mes yeux d'assez noires offenses :  
Il te manquait encor ces perfides amours  
Pour être le supplice et l'horreur de mes jours.  
Loin de t'en repentir je vois sur ton visage  
Que ta confusion ne part que de ta rage :  
Il te tarde déjà qu'échappé de mes mains  
Tu ne coures me perdre et me vendre aux Romains.  
Mais avant que partir, je me ferai justice ;  
Je te l'ai dit.

ათასჯერ სიკვდილს ავირჩევ დაუფახველად თვალისა.  
 არ შემიძლია მე შერთვა ვილაც უცნობი ქალისა.  
 თქვენს ხელშია ჩემი ღღენი.

### მითრიდატი.

ჰა, ჩაგიქირე თუ არა?!

ვერ წახვალ განა აქედან? შე ფლიდო, შე მატყუარა!  
 მე ვიცი, რატომ გაურბი შენა ამ ქორწინებასა,  
 შენ აქ სხვა მსხვერპლსა ჰდარაჯობ, მისდევ სხვა გულის  
 ვნებასა,  
 შენ აქ მონიმე გაჩერებს... ახ, შე გარყვნილო გულისა,  
 შენ მამას ებრძვი, წაგლეჯა გინდა მის დანიშნულისა.  
 ვერც ჩემმა გატაცებამა, ყველასთვის მიუშეცდომარემ,  
 ვერცა გვირგვინმა მეფისამ, უკვე მის შუბლზე მკრთომარემ,  
 ვერცა ამ მხარემ, სადაცა მას აფურჩიე მე ბინა,  
 ვერ გაგაფრთხილა, იმაზე ხელი ვერ აგაღებინა?!  
 ჯაშუშო! რომაელებთან შენი მხდლად გარდაკიდება  
 არ კმარა? შავად შეჰმოსოს ჩემი გული და დიდება.

ეს-ლა გაკლდა, ეს სიმდაბლე, ეს ვერაგულ სიყვარული,  
 რომ სიმწარით ამოგვესო ჩემი ღღე და ჩემი გული.  
 კარგად ვხედავ, შენს სახეზე სინანულის არ სჩანს კვალი,  
 მხოლოდ ასდის არეულსა სიანჩხლის და ცოფის ალი.  
 სული მიგდის, რომ როგორმე გამოუძვრე ჩემსა ხელებს,  
 გაიქცე და ჩამაბარო ან მიმყიდო რომაელებს.  
 მაგრამ ვერა! სამართალსა მე დაგიდებ წასვლის წინა.  
 დარაჯებო!

SCÈNE II. — MITHRIDATE, PHARNACE,  
XIPHARÈS, GARDES

MITHRIDATE

Holà! gardes. Qu'on le saisisse.  
Oui, lui-même, Pharnace. Allez, et de ce pas  
Qu'enfermé dans la tour on ne le quitte pas.

PHARNACE

Hé bien! sans me parer d'une innocence vaine,  
Il est vrai, mon amour mérite votre haine.  
J'aime : l'on vous a fait un fidèle récit.  
Mais Xipharès, Seigneur, ne vous a pas tout dit.  
C'est le moindre secret qu'il pouvait vous apprendre :  
Et ce fils si fidèle a dû vous faire entendre  
Que des mêmes ardeurs dès longtemps enflammé,  
Il aime aussi la Reine, et même en est aimé.

SCÈNE III. — MITHRIDATE, XIPHARÈS

XIPHARÈS

Seigneur, le croirez-vous qu'un dessein si coupable...

MITHRIDATE

Mon fils, je sais de quoi votre frère est capable.  
Me préserve le ciel de soupçonner jamais  
Que d'un prix si cruel vous payez mes bienfaits,  
Qu'un fils qui fut toujours le bonheur de ma vie  
Ait pu percer ce cœur qu'un père lui confie!

## სცენა II



მითრიდატი, ფარნაკი, ქსიფარესი, დარაჯები.

მითრიდატი.

დაიჭირეთ! დაადევით ხელზე რკინა.  
გაიჭირეთ მოლალატე! გაიყვანეთ აქედანა,  
ჩაამწყვდიეთ ციხეში და არ გაჰბედოთ გამოყვანა.

ფარნაკი.

ძალიან კარგი! არ მინდა მე გამართლება თავისა.  
ღიად, ღირსი ვარ, ბატონო, თქვენი განძრახვის შავისა.  
მე მიყვარს! თქვენ ეს გიამბებს სისწორით,—გასაგებია.  
მაგრამ ქსიფარესს, მეფეო, ცოტა რამ დაჰვიწყებია:  
რა ჰნახა ჩემი სიმუხთლე, ორგულად გამომხატა-რა,  
მას უნდა ემცნო თქვენთვისა თვის საიდუმლოც პატარა:  
რომ მისი გულიც იმავე ტრფობითა დადაგულია,  
და მგონი, მისთვის დახშული არცა დედოფლის გულია.

---

## სცენა III

მითრიდატი, ქსიფარესი.

ქსიფარესი.

ხელმწიფეო! ნუთუ გჯერათ?! შეცოდება ამისთანა...

მითრიდატი.

ჩემო შვილო, ნურას მეტყვი, მე არ ვიცნობ იმას ვანა?  
არ მჯეროდა, არცა მჯერა და ნურც ღმერთმა დამაჯეროს,  
ამისთანა ვერაგობამ გული ვნებით აგიყლეროს;  
არა მჯერა, საყვარელ შვილს ასეთი რამ განეძრახოს,  
გაეტეხოს აგრე ნდობა და ლახვარი მოემახოს.

Je ne le croirai point. Allez : loin d'y songer,  
 Je ne vais désormais penser qu'à nous venger.

SCÈNE IV. — MITHRIDATE, *seul*.

Je ne le croirai point? Vain espoir qui me flatte  
 Tu ne le crois que trop, malheureux Mithridate.  
 Xipharès mon rival? et, d'accord avec lui,  
 La Reine aurait osé me tromper aujourd'hui?  
 Quoi? de quelque côté que je tourne la vue,  
 La foi de tous les cœurs est pour moi disparue ?  
 Tout m'abandonne ailleurs? tout me trahit ici?  
 Pharnace, amis, maîtresse; et toi, mon fils, aussi?  
 Toi de qui la vertu consolant ma disgrâce...  
 Mais ne connais-je pas le perfide Pharnace?  
 Quelle faiblesse à moi d'en croire un furieux  
 Qu'arme contre son frère un courroux envieux,  
 Ou dont le désespoir, me troublant par des fables,  
 Grossit, pour se sauver, le nombre des coupables!  
 Non, ne l'en croyons point; et, sans trop nous presser,  
 Voyons, examinons. Mais par où commencer?  
 Qui m'en éclaircira ? quels témoins? quel indice?...  
 Le ciel en ce moment m'inspire un artifice .  
 Qu'on appelle la Reine. Oui, sans aller plus loin,  
 Je veux l'ouïr. Mon choix s'arrête à ce témoin.  
 L'amour avidement croit tout ce qui le flatte .  
 Qui peut de son vainqueur mieux parler que l'ingrate?  
 Voyons qui son amour accusera des deux.  
 S'il n'est digne de moi, le piège est digne d'eux.  
 Trompons qui nous trahit : et, pour connaître un traître ,  
 Il n'est point de moyens... Mais je la vois paraître :  
 Feignons , et de son cœur, d'un vain espoir flatté ,  
 Par un mensonge adroit tirons la vérité.

არა, არა, ეს არ მჯერა... მოვრჩეთ ამას.—ეხლა წადი  
და გახსოვდეს, დიდი ომის დადგა დიდი წელიწადი

---

## სცენა IV

### მითრიდატი.

არა გჯერა?! ამ სიტყვითა რაღა უნდა წარიმატო?  
არა! გჯერა, კარგად გჯერა, უბედურო მითრიდატო!  
ქსიფარესსაც მოჰდებია სამარცხვინო მისთვის ალი,  
გადაბმული მასთან არი უნამუსოდ დედოფალი.  
როგორ? ყველგან, ყოველი მხრივ, საიდაც არ მივიხედო,  
სულ სიმუხთლე მახვევია, სულ ღალატი უიმედო.

ყველამ გამწირა, ყველამა სულ-მდაბლად შემომიარა,  
შვილმა, მეუღლემ, სასძლომა, მარტო გარეშემ კი არა,  
და შენცა, შეილო... შენ იყავ მაშისა ბედნიერება!..  
მაგრამ დაცემულ ფარნაკსა განა რამ დაეჯერება?!  
რა სისუსტეა, უფალო, მივყვე ამ გადარეულსა,  
თავის ძმის დასალუპავად ყოველ სიცრუეს ჩვეულსა.

არა, მისი ნურა მჯერა... აჩქარებაც აქ არ ვარგა.  
განვიხილოთ ყველაფერი, ჩავეკვირდეთ საქმეს კარგა.  
მაგრამ როგორ გამოვირკვე? რა მოწმითა? რა საბუთით?  
ერთი ხერხი თავში მომდის... შევდგეთ მაზე ერთი წუთით.  
აქ მომიხმეთ დედოფალი!.. დიად, შორსა ჯერ ნუ წავალთ.  
მოვეუსმინოთ ჯერ იმასა, ეს სჯობია სხვათა მრავალთ.

სჯობია ტკბილად მოვეპყრა, წყენა რამ არ ვაგრძნობინო,  
თავის გულისა წადილი თვითონვე ვაამბობინო;  
ვნახოთ, ვინ უყვარს ცბიერსა, ორი შვილისგან—რომელი?  
სიცრუე ხშირად ხერხია სწორი და მიუცდომელი.  
ვატყუოთ, ვინცა გვატყუებს... თუ არ დაუგებ მახესა,  
არადროს შენი გამცემი შენ არ გაჩვენებს სახესა.

---

SCÈNE V. — MITHRIDATE, MONIME

MITHRIDATE

Enfin j'ouvre les yeux, et je me fais justice .  
C'est faire à vos beautés un triste sacrifice ,  
Que de vous présenter, Madame, avec ma foi  
Tout l'âge et le malheur que je traîne avec moi.  
Jusqu'ici la fortune et la victoire mêmes  
Cachaient mes cheveux blancs sous trente diadèmes.  
Mais ce temps-là n'est plus. Je régnaï, et je fuis.  
Mes ans se sont accrus; mes honneurs sont détruits;  
Et mon front, dépouillé d'un si noble avantage.  
Du temps qui l'a flétri laisse voir tout l'outrage.  
D'ailleurs mille desseins partagent mes esprits  
D'un camp prêt à partir vous entendez les cris;  
Sortant de mes vaisseaux, il faut que j'y remonte.  
Quel temps pour un hymen qu'une fuite si prompte,  
Madame! Et de quel front vous unir à mon sort,  
Quand je ne cherche plus que la guerre et la mort?  
Cessez pourtant, cessez de prétendre à Pharnace.  
Quand je me fais justice, il faut qu'on se la fasse.  
Je ne souffrirai point que ce fils odieux,  
Que je viens pour jamais de bannir de mes yeux,  
Possédant une amour qui me fut déniée ,  
Vous fasse des Romains devenir l'alliée.  
Mon trône vous est dû. Loin de m'en repentir,  
Je vous y place même avant que de partir ,  
Pourvu que vous vouliez qu'une main qui m'est chère,  
Un fils, le digne objet de l'amour de son père,

## მონიშე, მითრიდატი.

## მითრიდატი.

უკაცრავად ვარ, ძვირფასო! მე ამეხილა თვალეზი.  
 ჩემი ჭალარა და ჩემი სიყვარულისა ალები,  
 ჩემი სახელიც, ამ ქვეყნად მოვლინებული არაკად,  
 თქვენი შვენების წინაშე მომიტანია ზვარაკად.  
 მე ილიბალი არ მაკლდა, სიყვარულიცა აღარა,  
 ოცდაათ გვირგვინის ქვეშე არ სჩანდა ჩემი ჭალარა.

სხვა დრო დაჰდგა, გენაცვალე: მეფე ვიყავ, არ ვარ დღესა,  
 მომემატა წელსა წელი, ბინდმა დაჰკრა სიცოცხლესა,  
 და ეს შუბლი, დიდებისა მას ნათელი მოერღვა-რა,  
 განვლილ წელთა ნაკვალევით დამეჭვნა და დამედარა;  
 ათას ფიქრი მიტრიალებს... აი ეხლა ხმა რომ მოდის,  
 ის ჯარია, ჩემი ჯარი, ემზადება სალაშქროდ ის.

ძლივს ჩამოვედი გემიდან, კვლავ მისკენ მიმეშურება;  
 აბა რა მცხელა ქორწილის, კვალში მდევს უბედურება.  
 განა თქვენც შეურიგდებით ჩემისთანა ქმრის ყოლასა,  
 ვინც სულ ფიქრშია გართული, ჰნატრობს სისხლსა და  
 ბრძოლასა?

ოღონდ ნუ გინდათ ფარნაკი!.. ეს-და მაქვს შესახვეწელი,  
 თუ გინდათ გული მე შემრჩეს სევდითა დაულეწელი.

მე არ მინდა, ვერ ავიტან, რომ ამ შვილსა საზიზღარსა,  
 განდევნილსა ჩემ ფიქრიდან, ჩემ გულიდან გადამდგარსა,  
 თქვენ გაუხსნათ თქვენი გული, სიყვარული თქვენი ერგოს,  
 შეგაყვაროს შემდეგ რომიც, მისი ნდობა ჩავინერგოს.  
 მე კი თქვენთვის რას არ ვიზამ? შემიძლია უყოყმანოდ  
 დაგიმტკიცოთ ეს გვირგვინი, ტახტზე დღესვე აგიყვანოთ,—

ოღონდ ისურვეთ ის პირი, ვინცა ჩემთვისა ძვირია,  
 ქსიფარეს, ჩემი ერთგული,—ქება მას რალა სჭირია?

Xipharès, en un mot, devenant votre époux,  
Me venge de Pharnace et m'acquitte envers vous.

MONIME

Xipharès! Lui, Seigneur?

MITHRIDATE

Oui, lui-même, Madame.  
D'où peut naître à ce nom le trouble de votre âme?  
Contre un si juste choix qui peut vous révolter?  
Est-ce quelque mépris qu'on ne puisse dompter?  
Je le répète encor : c'est un autre moi-même,  
Un fils victorieux, qui me chérit, que j'aime,  
L'ennemi des Romains, l'héritier et l'appui  
D'un empire et d'un nom qui va renaître en lui;  
Et, quoi que votre amour ait osé se promettre,  
Ce n'est qu'entre ses mains que je puis vous remettre.

MONIME

Que dites-vous? O ciel! Pourriez-vous approuver...  
Pourquoi, Seigneur, pourquoi voulez-vous m'éprouver?  
Cessez de tourmenter une âme infortunée.  
Je sais que c'est à vous que je fus destinée;  
Je sais qu'en ce moment, pour ce nœud solennel,  
La victime, Seigneur, nous attend à l'autel.  
Venez.

MITHRIDATE

Je le vois bien : quelque effort que je fasse,  
Madame, vous voulez vous garder à Pharnace.

იმას გაჰყევით, დაატკბეთ ამ რიგად ჩემი ბერობა,  
მან გაგიწიოს უღელი და ჩემი მაგიერობა.



მონიშე.

ქსიფარესი?! ხელმწიფეო...

მითრიდატი.

ღიად, სწორედ ქსიფარესი.

რატომ შეჰკრთით? განა არის ის ფარნაკზე უარესი?  
ჩემი რჩევა სწორი არის, თუ იტნება თქვენი ნება.  
ნუთუ ისე გეჯავრებათ, არც კი გინდათ ვაგონება.  
ვიმეორებ: იგი არის მართლა ჩემი მაგიერი,  
შვილი—გმირი, რომლითაც მე ვიყავ და ვარ ბედნიერი;  
ის მტერია რომაელთა, მემკვიდრეა ჩემი ტახტის,  
ის აღადგენს იმპერიას, ჩემს სახელსა შუქს არ ახდის.  
და ამიტომ, ნულა იწყუნ, ჩემო ტკბილო მეგობარო,  
თქვენი თავი მხოლოდ იმას შემოძლია ჩაებაარო.

მონიშე.

აბა რას ჰბრძანებთ? რას ჰნიშნავს აგრე აზრისა ცვალება?  
რადა მცდით, მეფევე, რადა მცდით? რად გინდათ ჩემი  
წვალება?

გული ვერ იტანს საწყალი ეგზომ ლახვართა სობასა,  
თქვენი ვარ მხოლოდ, თქვენი ვარ, კი ნუ მიბნელებთ  
ცნობასა.

ვიცი, საყდარში გველიან, ბრწყინვალეებს საკურთხეველი,  
შესაწირავიც მზად არის, თქვენსა ბრძანებას მე ველი;  
წამობრძანდით...

მითრიდატი.

კარგად ვხედავ, რა ლონეც რომ არ ვიხმარო,  
თქვენ ფარნაკსა არ ივიწყებთ, ეს კი არის სამწუხარო.

Je reconnais toujours vos injustes mépris;  
Ils ont même passé sur mon malheureux fils.

MONIME

Je le méprise!

MITHRIDATE

Hé bien! n'en parlons plus, Madame.  
Continuez : brûlez d'une honteuse flamme.  
Tandis qu'avec mon fils je vais, loin de vos yeux,  
Chercher au bout du monde un trépas glorieux,  
Vous cependant ici servez avec son frère,  
Et vendez aux Romains le sang de votre père.  
Venez. Je ne saurais mieux punir vos dédains,  
Qu'en vous mettant moi-même en ses serviles mains;  
Et, sans plus me charger du soin de votre gloire,  
Je veux laisser de vous jusqu'à votre mémoire .  
Allons, Madame, allons. Je m'en vais vous unir.

MONIME

Plutôt de mille morts dussiez-vous me punir!

MITHRIDATE

Vous résistez en vain, et j'entends votre fuite .

MONIME

En quelle extrémité, Seigneur, suis-je réduite!  
Mais enfin je vous crois, et je ne puis penser  
Qu'à feindre si longtemps vous puissiez vous forcer.  
Les dieux me sont témoins qu'à vous plaire bornée,  
Mon âme à tout son sort s'était abandonnée.

თუ აქამდე სიძულვილი—ჩემი ხვედრი იყო მხოლოდ,  
ახლა გინდათ ამ სიძულვილს ქსიფარესიც მიაყოლოთ.

მონიმე.

სიძულვილი?..

მითრიდატი.

კარგი, კმარა! ნულა ვდავობთ მეტსა, ნულა!  
იყავ მისი, ვინცა გრძნობა სამარცხვინო აგიდულა.  
მე და ჩემი ქსიფარესი მოვშორდებით ამ არესა,  
მოვიპოვებთ ცხრა მთას იქით სახელოვან სამარესა.  
თქვენა დარჩით, იფარფაშეთ, ნუ გექნებათ ჩემი რიდი,  
მამის სისხლი კიდევა გაქვთ რომისათვის მისაყიდი.

ამოსაყრელად ჯავრისა ყველაზე უკეთესია,  
ფარნაკი შეგართოდ ეხლავე, როგორც რიგი და წესია.  
თქვენი დარდიც კი ამიერ ლანდად არ მომეჩვენება  
და წაიშლება ხსოვნიდან თქვენი სახე და ხსენება.  
მობრძანდით! კმარა, რაც დღემდე მე ვიტანჯე და ვიწამე.

მონიმე.

როგორ? მივთხოვდე ფარნაკსა? უმალ გამისკდეს მიწა მე!

მითრიდატი.

კმარა! ბევრსა ნუ ჰწუწუნებთ! ტყუილია უკუ-ხევა.

მონიმე.

რა ტანჯვას, ხელმწიფეო, რა ცეცხლისა შემოხვევა!  
კარგი, მჯერა თქვენი სიტყვა... შემიძლია ფიქრი განა,  
საკადრისი თქვენთვის იყოს თვალთმაქცობა ამისთანა?  
ღმერთი ჰხედავს, მხოლოდ თქვენთვის შემოვფარგლე  
გულის ძგერა,  
რომ გამეყო თქვენთან ერთად თქვენი დღე და ბედისწერა.

Mais si quelque faiblesse avait pu m'alarmer,  
Si de tous ses efforts mon cœur a dû s'armer,  
Ne croyez point, Seigneur, qu'auteur de mes alarmes,  
Pharnace m'ait jamais coûté les moindres larmes.  
Ce fils victorieux que vous favorisez,  
Cette vivante image en qui vous vous plaisez,  
Cet ennemi de Rome, et cet autre vous-même,  
Enfin ce Xipharès que vous voulez que j'aime...

MITHRIDATE

Vous l'aimez?

MONIME

Si le sort ne m'eût donnée à vous,  
Mon bonheur dépendait de l'avoir pour époux.  
Avant que votre amour m'eût envoyé ce gage,  
Nous nous aimions... Seigneur, vous changez de visage.

MITHRIDATE

Non, Madame. Il suffit. Je vais vous l'envoyer.  
Allez. Le temps est cher. Il le faut employer.  
Je vois qu'à m'obéir vous êtes disposée.  
Je suis content<sup>1</sup>.

MONIME, *en s'en allant.*

O ciel! me serais-je abusée ?

მაგრამ თუ რამე სისუსტე ჩემ გულს ოდესმე ჰწვევია,  
თუ უბრძოლია კიდეცა, სევდა ნალველად ჰქცევია,  
ნუ გეგონებათ, მეფეო, მიზეზი ცრემლთა დენისა  
ფარნაკი იყოს... თქვენ ჰცდებით, მეტად ასწიეთ თქვენ ისა.  
ხოლო შვილი კი მეორე, გმირობა—მიუწდომელი,  
ვინცა ცოცხალი სახეა თქვენი, თქვენ მოგწონს რომელი,  
ვინცა მტერია რომის და თქვენი განსახიერება,  
ქსიფარეს... ვინცა ვითომდა მე უფრო შემეფერება...

მითრიდატი.

თქვენ ის გიყვარს?

მონიმე.

ჩემი თავი ბედს რომ თქვენთვის არ მიეცა,  
იმასთანა ბედნიერი ვიქნებოდი ალბად მეცა.  
სანამ თქვენგან ამ ნიშანსა მივიღებდი, მე ის ვნახე,  
შემიყვარდა... ხელმწიფეო, შეიცვალა თქვენი სახე.

ფარნაკი.

არა უშავს, დედოფალო, არაუშავს! კმარა, კარგი.  
მე გაახლებ იმას ეხლავ... დრო არა მაქვს დასაკარგი.  
ვხედავ, გინდა გამიგონოთ, გული გულსა ტკბილად მიჰყვეს.  
წადი, მე ვარ კმაყოფილი.

მონიმე (გადის)

ღმერთო! ნუთუ გამაბრიყვეს?!

---

SCÈNE VI. — MITHRIDATE, *seul*.

Ils s'aiment. C'est ainsi qu'on se jouait de nous.  
Ah! fils ingrat, tu vas me répondre pour tous.  
Tu périras. Je sais combien ta renommée  
Et tes fausses vertus ont séduit mon armée.  
Perfide, je te veux porter des coups certains.  
Il faut, pour te mieux perdre, écarter les mutins,  
Et, faisant à mes yeux partir les plus rebelles,  
Ne garder près de moi que des troupes fidèles.  
Allons. Mais, sans montrer un visage offensé,  
Dissimulons encor, comme j'ai commencé.

## მითრიდატი.

უყვარს!.. და გამასხრებული მე ვარ ამ სიყვარულითა.  
შენ გადამიხდი ყველაფერს, შვილო, უნდობო გულითა.  
მოჰკედები!.. შენი სახელი, ვიცი, ჩემ ჯარში დიდია,  
ბევრსა უყვარხარ, ბევრისა გული შენ მიგიზიდია.  
აჰ, მოლაღატევ! ჩემ ხელსა ვერა, ვერ გადაურჩები.  
საჭირო არის პირველად გავრეკო ყველა ურჩები,  
შორს გადავასხა, ვინც კია ამბოხებასა ჩვეული  
და დავრჩე მხოლოდ ერთგული ჯარითა შემოხვეული.  
ენახოთ... მანამდე განვდევნოთ სახიდან მოწყენილობა  
და არ ვაჩვენოთ არავის ჩემი სევდა და ჭრილობა.



## ACTE IV

SCÈNE PREMIÈRE. — MONIME, PHÆDIME

MONIME

Phædime, au nom des dieux, fais ce que je désire :  
Va voir ce qui se passe et reviens me le dire.  
Je ne sais, mais mon cœur ne se peut rassurer :  
Mille soupçons affreux viennent me déchirer.  
Que tarde Xipharès? Et d'où vient qu'il diffère  
A seconder des vœux qu'autorise son père?  
Son père, en me quittant, me l'allait envoyer.  
Mais il feignait peut-être. Il fallait tout nier.  
Le Roi feignait ? Et moi, découvrant ma pensée...  
O dieux! en ce péril m'auriez-vous délaissée  
Et se pourrait-il bien qu'à son ressentiment  
Mon amour indiscret eût livré mon amant?  
Quoi! Prince! quand, tout plein de ton amour extrême,  
Pour savoir mon secret tu me pressais toi-même,  
Mes refus trop cruels vingt fois te l'ont caché  
Je t'ai même puni de l'avoir arraché;  
Et quand de toi peut-être un père se défie,

## მოქმედება მეოთხე

---

### სცენა I

მონიშე, ფედიშე.

მონიშე.

წადი, გაიგე, რა ჰხდება, შენ გენაცვალე ფედიშე, რა დღე მომელის უბედურს, რასა მიმზადებს ბედი მე. გული მიწუხს და მიტირის, ვერსადა ვხედავ შველასა, ეჭვი ათასი მეხვევა, სიმწარე მოაქვს ყველასა. რა დაემართა ქსიფარესს? რად იგვიანებს ნეტავი? მეფე თანახმა თუ არის, რა დაპრჩა გარდუწყვეტავი?

„ეხლავე იმას გაახლებო!“ ეს ხელმწიფემ თვითონ ჰპრძანა. ვაი თუ ის მატყუებდა!.. მე რა ცოდვამ ამიტანა? იგი მცდიდა უსათუოდ, მე კი გული გავუხსენი. ოჰ, ღმერთებო! რაღა იქნა შემწეობა მაშინ თქვენი? ნუთუ შევცდი, ნუთუ მეფეს წამოვეუნთე წყრომა ბნელი და მის წყრომას ჩავაბარე მევე ჩემი საყვარელი?

აჰა, თავადო! თუმც შენთვის ცრემლი მდულარე მდენია, თუმც შენი ხევწნა-ვედრება მე ბევრჯერ მომისმენია, მაგრამ არ მითქვამს, მე შენთვის ტრფობა არ გამიმხელია, მით შენი გული დამიწვამს, გონება გამიხელია. და ეხლა, როცა შენთვისა საფრთხე მაშისა დიდია,

Que dis-je? quand peut-être il y va de ta vie,  
 Je parle, et, trop facile à me laisser tromper  
 Je lui marque<sup>7</sup> le cœur où sa main doit frapper!

PHÆDIME

Ah! traitez-le, Madame, avec plus de justice :  
 Un grand Roi descend-il jusqu'à cet artifice ?  
 A prendre ce détour qui l'aurait pu forcer?  
 Sans murmure à l'autel vous l'alliez devancer,  
 Voulait-il perdre un fils qu'il aime avec tendresse?  
 Jusqu'ici les effets secondent sa promesse :  
 Madame, il vous disait qu'un important dessein,  
 Malgré lui, le forçait à vous quitter demain;  
 Ce seul dessein l'occupe; et, hâtant son voyage,  
 Lui-même ordonne tout, présent sur le rivage,  
 Ses vaisseaux en tous lieux se chargent de soldats,  
 Et partout Xipharès accompagne ses pas.  
 D'un rival en fureur est-ce là la conduite?  
 Et voit-on ses discours démentis par la suite ?

MONIME

Pharnace, cependant, par son ordre arrêté,  
 Trouve en lui d'un rival toute la dureté.  
 Phœdime, à Xipharès fera-t-il plus de grâce ?

PHÆDIME

C'est l'ami des Romains qu'il punit en Pharnace.  
 L'amour a peu de part à ses justes soupçons

MONIME

Autant que je le puis, je cède à tes raisons :  
 Elles calment un peu l'ennui qui me dévore.  
 Mais pourtant Xipharès ne paraît point encore.

რას ვამბობ? იქნებ სიცოცხლეს შენი ბეწვზედა ჰკიდია,  
დიატურ ენა ავიდგი, დავდექ მის წინა მთხრობელად  
და შენი გულიც გავეცი ლახვარის დასასობელად.

### ფედიმე.

დედოფალო! ნუ ჰბრძანდებით უსამართლო ამისთანა.  
აბა ასეთ ცუდლუტობას იკადრებდა მეფე განა?  
რად უნდოდა ასეთ ხრიკი, აბა ძალას ვინ ატანდა,  
მორჩილად ხომ მიჰყევბოდი, თუ საყდარში წაგიყვანდა?  
შვილიც უყვარს, გასაწირად განა იმას გაიმეტებს,  
სულ მეგობრულ მოქცევითა ამხნევებს და აიშედებს.

ხომ გახსოვს, გეუბნებოდათ მეფე თქვენ: „გენაცვალებო,  
საქმე დიდი მაქვს, აქედან უნდა დავიძრა ხვალეო“.  
მართლა ის მზადებაშია, დამდგარა ზღვისა პირადა,  
თვითონ აწყობს და არიგებს, ჯარსა გაჰკივის ხშირად;  
კიდეს მოადგა გემები, ჯარი ზედ დასახმელია,  
ქსიფარესიცა თან ახლავს, მისი მარჯვენა ხელია.

განა ასე მოიქცევა, განძრაზეა რომ ჰქონდეს შავი?

### მონიმე.

ფარნაკი ხომ დაიქირეს? ციხეში რომ უკრეს თავი?  
განა მის ძმას შეიბრალებს, თუ მოსწყურდა სისხლი კიდე?

### ფედიმე.

ახ, ფარნაკი დაიქირეს, როგორც რომის გარდამკიდე.  
აქ ექვი სიყვარულისა მეფეს სულ არა ჰქონია.

### მონიმე.

ეს შეიძლება, ფედიმე, შენ მართალი ხარ, მგონია  
ეს-ღაა მცირე იმედი გულისა დარდიანისა.  
მაგრამ ქსიფარესს ვერ ვხედავ... ეს დაყოვნება ხანისა...

PHÉDIME

Vaine erreur des amants, qui, plins de leurs désirs,  
Voudraient que tout cédât au soir à leurs plaisirs!  
Qui, prêts à s'irriter contre le moindre obstacle...

MONIME

Ma Phœdime, et qui peut concevoir ce miracle .  
Après deux ans d'ennuis, dont tu sais tout le poids,  
Quoi! je puis respirer pour la première fois?  
Quoi! cher prince, avec toi je me verrais unie?  
Et loin que ma tendresse eût exposé ta vie,  
Tu verrais ton devoir, je verrais ma vertu  
Approuver un amour si longtemps combattu?  
Je pourrais tous les jours t'assurer que je t'aime?  
Que ne viens-tu...

SCÈNE II. — MONIME, XIPHARÈS, PHÉDIME

MONIME

Seigneur, je parlais de vous-même,  
Mon âme souhaitait de vous voir en ce lieu,  
Pour vous...

XIPHARÈS

C'est maintenant qu'il faut vous dire adieu.

MONIME

Adieu! vous?

## ფედიმე.

ახ, მიჯნურებო! რაღა ხართ? გიეი და მოუთმენარი:  
ლამე გგონიათ სიცოცხლე, ბნელი და დაუთენარი,  
თუ საყვარელი შორს არის, ან დროზე არ-მოსულა.

## მონიმე.

ჩემო ფედიმე, აქ მართლა რაღაცა სასწაულია...  
ორსა წელსა, მეტად მწველსა, მოვრჩი,—ღმერთო,  
მადლი შენდა!

ეხლა სული მოვიბრუნე, ლამე ბნელი გამითენდა.  
ჩემო, ჩემი გულის თქმანი შენია და შენთვის ჰედერსა,  
ამ დღიდანა არ იქნები მოწყვეტილი ჩემს ალერსსა.  
ნუ მომაკლებ შენს მზეობას, შეიწირე ჩემი გული,  
გაგიშალოს მან ცხოვრება ნეტარებით მოქარგული.  
ის შენია და იქნება, შენთვის ცეცხლში ნადებარი.  
რად არ მოდის?..

---

## სცენა II

მონიმე, ქსიფარესი, ფედიმე.

## მონიმე.

აი ამ წამს თქვენზე გვექონდა საუბარი.  
თქვენსა ნახვასა ვნატრობდი შიშით და მხიარულებით.

## ქსიფარესი.

სწორედ ამ წამსა მე უნდა გამოგეთხოვოთ სრულებით.

## მონიმე.

გამომეთხოვოთ?! თქვენ?

XIPHARÈS

Oui, Madame, et pour toute ma vie.

MONIME

Qu'entends-je? On me disait... Hélas! ils m'ont trahie .

XIPHARÈS

Madame, je ne sais quel ennemi couvert ,  
Révélant nos secrets , vous trahit et me perd .  
Mais le Roi, qui tantôt n'en croyait point Pharnace,  
Maintenant dans nos cœurs sait tout ce qui se passe.  
Il feint , il me caresse , et cache son dessein ;  
Mais moi, qui, dès l'enfance élevé dans son sein,  
De tous ses mouvements ai trop d'intelligence ,  
J'ai lu dans ses regards sa prochaine vengeance.  
Il presse , il fait partir tous ceux dont mon malheur  
Pourrait à la révolte exciter la douleur.  
De ses fausses bontés j'ai connu la contrainte .  
Un mot même d'Arbate a confirmé ma crainte.  
Il a su m'aborder; et, les larmes aux yeux :  
« On sait tout, m'a-t-il dit : sauvez-vous de ces lieux. »  
Ce mot m'a fait frémir du péril de ma reine;  
Et ce cher intérêt est le seul qui m'amène.  
Je vous crains pour vous-même; et je viens à genoux  
Vous prier, ma Princesse, et vous fléchir pour vous.  
Vous dépendez ici d'une main violente,  
Que le sang le plus cher rarement épouvante;  
Et je n'ose vous dire à quelle cruauté

## ქსიფარესი.

დიად! და სამუდამოდ მშვიდობით



## მონიშნე.

ვაიმე! გამცეს, დამლუპეს უსინდისური ფლიდობით.

## ქსიფარესი.

ახ, დედოფალო! მტერი გვეყავს, აქ იმალება წყეული,  
თქვენ გაგცათ, მეცა დამლუპა, დავრჩით გულს  
ლახვარ-ხეული.

წელან მეფეს არ სჯეროდა ფარნაკისა არაფერი,  
ეხლა სჯერა მის დასმენა მდაბალი და უდიერი;  
ჯერ არ უნდა გაამელავენოს თავის წყრომა, თავის დარდი,  
მაგრამ მე ხომ ბავშობიდან მის ხელში ვარ განაზარდი;  
ვიცი მისი მიხვრა-მოხვრა, მესმის მისი ხმა და ენა,  
და კვითხულობ მის თვალეებში, რომ ახლოა სისხლის დენა.  
იგი აჩქარებს, შორს ჰგზავნის აქედან ჯარსა ყველასა,

ვინცა კი ჩემი მომხრეა, ვისგან მოველი შეველასა.  
ვიცი, რას პნიშნავს აგეთი განკარგულება მამისა.  
არბატისაგან მივიღე დადასტურებაც ამისა;  
თვალ-ცრემლიანი მოჰვარდა: „თავსა უშველე მალეო,  
სუყველაფერი გაიგეს, გაიჭე, დაიმალეო!“

ამ სიტყვებმა ამათროლა, წარმომიდგა თქვენი ბედი,  
გამოვიქეც იმ წამს აქედ, შურდულივით წამოვედი;  
თქვენთვის ვშიშობ, თქვენთვის ვტირი, თქვენთვის  
ვწუხვარ მე ბედ-შავი,  
მუხლ-მოყრილი გევედრები, შეიბრალეთ თქვენი თავი.  
თქვენ არ იცით: მამა ჩემი საშიშია, შემზარაც ის,  
ერთხელ ეჭვი თუ აიღო, შებრალება მან არ იცის.

ვერც კი ჩამოვთვლი, იმასა რა ცოდო ჩაუდენია,

Mithridate jaloux s'est souvent emporté.  
Peut-être c'est moi seul que sa fureur menace;  
Peut-être, en me perdant, il veut vous faire grâce.  
Daignez, au nom des dieux, daignez en profiter;  
Par de nouveaux refus n'allez point l'irriter.  
Moins vous l'aimez, et plus tâchez de lui complaire;  
Feignez, efforcez-vous : songez qu'il est mon père.  
Vivez; et permettez que dans tous mes malheurs  
Je puisse à votre amour ne coûter que des pleurs.

MONIME

Ah! je vous ai perdu!

XIPHARÈS

Généreuse Monime,  
Ne vous imputez point le malheur qui m'opprime.  
Votre seule bonté n'est point ce qui me nuit :  
Je suis un malheureux que le destin poursuit;  
C'est lui qui m'a ravi l'amitié de mon père,  
Qui le fit mon rival, qui révolta ma mère,  
Et vient de susciter, dans ce moment affreux,  
Un secret ennemi pour nous trahir tous deux.

MONIME

Hé quoi? cet ennemi, vous l'ignorez encore?

XIPHARÈS

Pour surcroît de douleur, Madame, je l'ignore.  
Heureux si je pouvais, avant que m'immoler,  
Percer le traître cœur qui m'a pu déceler !

ვის სად მოუსპო სიცოცხლე ან მსხვერპლი რამოდენია.  
იქნებ მე მარტო შემეხოს, სხვას ჯერჯერობით არავის,  
რისხვა და მეხი ამ გულის, ბნელის და შემაზარავის.  
ღვთისა გულისთვის ეცადეთ, თქვენ ისარგებლეთ ამითა,  
მიპყევით იმას, ნუ ურჩობთ, გულს ნუ აუშვებთ შხამითა.

თუ არა გაქვს სიყვარული, მის პატივი მაინც გქონდეს,  
ის ხომ არის მამა-ჩემი, ესეც უნდა მოგაგონდეს,—  
და სიცოცხლე შეირჩინეთ... ღმერთმა ჰქნას, რომ  
უფრო ძვირად  
არ დაგვიჯდეს სიყვარული, განწირული გასაწირად.

მონიმე.

მე დაგლუპეთ! მე დაგლუპეთ!

ქსიფარესი.

ჩემო ძვირფასო მონიმე!

ცეცხლი უშრეტო მედება, ლამის დავკარგო გონი მე.  
რა შუაში ხართ აქა თქვენ? ეს მხოლოდ ჩემი ბედია:  
რა არ უქნია უკულმართს, რა არა გაუბედია?  
მან დამიკარგა მამისა სიყვარული და რწმუნება,  
გადამირია დედაცა, გადაუბრუნა გუნება,  
შემომიჩინა აქ მტერი, როგორღაც შემოპარული,  
და საიდუმლოც შეპლახა ჩვენი წმინდა და ფარული.

მონიმე.

მერე ნუთუ ვერ მიმხდარ ხართ, თუ ვინ არის ჩვენი მტერი?

ქსიფარესი.

ვერა, ვერა, დედოფალო, ვერ გავიგე ვერაფერი.  
ბედნიერი ვიქნებოდი, მის სახელი რომ გამეგო  
და მის გული ვერაგული ხანჯლის წვერზე წამომეგო.

MONIME

Hé bien! Seigneur, il faut vous le faire connaître.  
Ne cherchez point ailleurs cet ennemi, ce traître ;  
Frappez : aucun respect ne vous doit retenir.  
J'ai tout fait : et c'est moi que vous devez punir.

XIPHARÈS

Vous!

MONIME

Ah! si vous saviez, Prince, avec quelle adresse  
Le cruel est venu surprendre ma tendresse!  
Quelle amitié sincère il affectait pour vous!  
Content, s'il vous voyait devenir mon époux!  
Qui n'aurait cru... Mais non, mon amour plus timide  
Devait moins vous livrer à sa bonté perfide .  
Les dieux qui m'inspiraient, et que j'ai mal suivis,  
M'ont fait taire trois fois par de secrets avis.  
J'ai dû continuer; j'ai dû dans tout le reste...  
Que sais-je enfin? j'ai dû vous être moins funeste;  
J'ai dû craindre du Roi les dons empoisonnés,  
Et je m'en punirai, si vous me pardonnez.

XIPHARÈS

Quoi? Madame, c'est vous, c'est l'amour qui m'expose?  
Mon malheur est parti d'une si belle cause?  
Trop d'amour a trahi nos secrets amoureux?  
Et vous vous excusez de m'avoir fait heureux?  
Que voudrais-je de plus? glorieux et fidèle,  
Je meurs. Un autre sort au trône vous appelle :  
Consentez-y, Madame, et, sans plus résister,  
Achevez un hymen qui vous y fait monter.

## მონიშე.



ახ, ხელმწიფევე, ამის ცოდნა არ მგონია იყოს ძნელი.  
ეს მტერი და მოღალატე შორს არ არის საძებნელი:  
დამკარით და გამათავეთ! ნუ გეჭნებათ ჩემი რიდი.  
მე გაგეციოთ!.. ჩემსა ცოდოს ჩემი სისხლით შევისყიდი.

## ქსიფარესი.

თქვენ?!

## მონიშე.

ახ, რაც მიყო მტარვალმა, სიტყვით ვერ აიწერება,  
გვერდით დამისო აღერსით, ტკბილად დამიწყო ფერება,  
ილაპარაკა, იფიცა: რა არის უკეთესიო,  
თუ შენი ქმარი გახდება ძვირფასი ქსიფარესიო".  
რა ვიცი კიდევ... ოჰ ღმერთო! არა, არ მეპატიება,  
როგორ მოვტყუვდი, ამ მახეს გული ვაჲ როგორ მიება!?

ჯერ ღმერთების ხმა მესმოდა, თუმც ბოლომდე ვერ  
გაგყევი,

სამჯერ კრიჭი შევიკარი, მხნე ვიყავ და შეურყევი.  
ბოლოს, ბოლოს... ვაი ჩემს ღღეს! ამიტანა ცოდომ მეცა...  
ახ, რა ვიცი... ხომ შემეძლო თქვენი თავი არ გამეცა?  
მე ავანთე მისი წყრომა, იგი მე თქვენ შეგიტიეთ,  
ახ, მე თვითონ თავს მოვიკლავ, თუ ეს მე თქვენ მამატიეთ.

## ქსიფარესი.

მაშ საიღუმლო უსტარი სიყვარულს გაუხევი!  
ბედნიერი ვარ, თუ ამით გულსა ლახვარი მხევია.  
რაა სიკვდილი? რას მიზამს წამიერ სისხლის დინება,  
თქვენ თუ კარგად ხართ, მშვიდობა თქვენი თუ მეცოდინება?  
მიიღეთ ტახტი, ძვირფასო, მე გვედრებით ამასა,  
იბრწყინეთ მშვენიერებით, ნუ ეურჩებით მამასა.

MONIME

Quoi? vous me demandez que j'épouse un barbare  
Dont l'odieux amour pour jamais nous sépare?

XIPHARÈS

Songez que ce matin, soumise à ses souhaits,  
Vous deviez l'épouser, et ne me voir jamais.

MONIME

Et connaissais-je alors toute sa barbarie?  
Ne voudriez-vous point qu'approuvant sa furie,  
Après vous avoir vu tout percé de ses coups,  
Je suivisse à l'autel un tyrannique époux,  
Et que dans une main de votre sang fumante  
J'allasse mettre, hélas! la main de votre amante?  
Allez : de ses fureurs songez à vous garder,  
Sans perdre ici le temps à me persuader :  
Le ciel m'inspirera quel parti je dois prendre.  
Que serait-ce, grands dieux! s'il venait vous surprendre ?  
Que dis-je? on vient. Allez. Courez. Vivez enfin ,  
Et du moins attendez quel sera mon destin.

SCÈNE III. — MONIME, PHÈDIME

PHÈDIME

Madame, à quels périls il exposait sa vie!  
C'est le Roi.

MONIME

Cours l'aider à cacher sa sortie.  
Va, ne le quitte point; et qu'il se garde bien  
D'ordonner de son sort, sans être instruit du mien.

## მონიმე.

როგორ? ნუთუ ამას მირჩევ, მირჩევ გავყვე ამ ბარბაროსს, რომ მან ჩვენი ტრფობის ალი ცივ სამარეს მიაბაროს?

## ქსიფარესი.

გენაცვალე, ამ დილასა თქვენ ჰხდებოდით დედოფალი, და ჰქრებოდა სამუდამოდ აგრე ჩვენი ტრფობის ალი.

## მონიმე.

ახ, რა ვიცოდი ამ დილას მისი ველური ბუნება? რა გწუბავთ? ნუთუ გწადიათ გამომიცვალოთ გუნება? როგორ? თქვენ გნახო მოკლული, გულსა ლახვარი-სობილი, მერე მე წავრდგე საყდარში, დედოფლად გამოყწობილი? გასვრილსა თქვენი სისხლითა, მიზეზს ამ სისხლის დენისა, ხელში ჩავუდვა მე ხელი, ხელი საყვარლის თქვენისა?! არა, ვერ გავიზიარებ მე ამისთანა მცნებასა, დროსა ნუ ჰკარგავთ, თავადო, მე ვერ შემიცვლით ნებასა.

რა უნდა ვქნა, თვით არ ვიცი; ჩაგონებას ცისგან ველი. ღმერთო, არ ვის შეეხეჩოთ, არ გამომჰკრათ სულ მე ყელი. რასა ვამბობ? ვილაც მოდის... გამეცალეთ, ჩქარა, ჩქარა, მაგრამ თმენა... სანამ ბედი ჩემი ჯერ არ გადამწყყდარა.

---

## სცენა III

### მონიმე, ფელიმე.

#### ფელიმე.

ღმერთო ჩემო! რა ხიფათსა კინალამ არ შეეხეჩა. მეფე მოდის.

#### მონიმე.

ახ, ფელიმე! მიეშველე იმას, ბეჩა! არ დააგდო, გენაცვალე.... უთხარი, რომ ფრთხილად იყოს, სანამ ჩემს ბედს არ გაიგებს, თავზედ ხელი არ აიღოს.

---

SCÈNE IV. — MITHRIDATE, MONIME

MITHRIDATE

Allons, Madame, allons. Une raison secrète  
Me fait quitter ces lieux et hâter ma retraite .  
Tandis que mes soldats, prêts à suivre leur Roi,  
Rentrent dans mes vaisseaux pour partir avec moi,  
Venez, et qu'à l'autel ma promesse accomplie  
Par des nœuds éternels l'un à l'autre nous lie.

MONIME

Nous, Seigneur?

MITHRIDATE

Quoi? Madame, osez-vous balancer?

MONIME

Et ne m'avez-vous pas défendu d'y penser?

MITHRIDATE

J'eus mes raisons alors : oublions-les, Madame.  
Ne songez maintenant qu'à répondre à ma flamme.  
Songez que votre cœur est un bien qui m'est dû.

MONIME

Hé! pourquoi donc, Seigneur, me l'avez-vous rendu?

MITHRIDATE

Quoi? pour un fils ingrat toujours préoccupée ,  
Vous croiriez...

## სცენა IV



მითრიდატი, მონიმე.

მითრიდატი.

აბა, მოჰბრძანდით, ბატონო! მე მემშურება ძალიან.  
უნდა დავაგდო ეს მხარე, ბევრი კი არა მცალიან.  
და სანამ გემზე სხდებიან ჩემი ერთგული ჯარები,  
დრო გვაქვს, წავიდეთ, შევალთ საკურთხეველის კარები.  
მოჰბრძანდით! ღვთისა წინაშე, თანახმად წმიდა რჯულისა,  
ვაკურთხოთ შეკავშირება ჩვენი გულთანა გულისა.

მონიმე.

როგორ, ჩვენი?

მითრიდატი.

ღიად, ჩვენი! გეგულებათ სხვისი განა?

მონიმე.

წელან, მეფევ, თქვენ მომეციოთ სწორედ რჩევა ამისთანა.

მითრიდატი.

წელან სხვაა, დედოფალო! მე სხვა მქონდა საფუძველი.  
ეხლა ჩემსა სიყვარულზე სათანადო პასუხს ველი.  
თქვენ ჰბრძანდებით დანიშნული, დართული მაქვს  
თქვენი ნება.

მონიმე.

მაშინ, მეფევ, რად ინებეთ მისი უკან დაბრუნება?

მითრიდატი.

სულ უღირსი შვილი გახსოვს, სულ იმაზე ჰფიქრობთ, ვიცი.

MONIME

Quoi ? Seigneur, vous m'auriez donc trompée ?

MITHRIDATE

Perfide ! Il vous sied bien de tenir ce discours,  
 Vous qui, gardant au cœur d'infidèles amours,  
 Quand je vous élevais au comble de la gloire,  
 M'avez des trahisons préparé la plus noire.  
 Ne vous souvient-il plus, cœur ingrat et sans foi  
 Plus que tous les Romains conjuré contre moi,  
 De quel rang glorieux j'ai bien voulu descendre  
 Pour vous porter au trône où vous n'osiez prétendre ?  
 Ne me regardez point vaincu, persécuté :  
 Revoyez-moi vainqueur, et partout redouté.  
 Songez de quelle ardeur dans Éphèse adorée ,  
 Aux filles de cent rois je vous ai préférée ;  
 Et, négligeant pour vous tant d'heureux alliés,  
 Quelle foule d'États je mettais à vos pieds.  
 Ah ! si d'un autre amour le penchant invincible  
 Dès lors à mes bontés vous rendait insensible,  
 Pourquoi chercher si loin un odieux époux ?  
 Avant que de partir, pourquoi vous taisiez-vous ?  
 Attendiez-vous, pour faire un aveu si funeste,  
 Que le sort ennemi m'eût ravi tout le reste,  
 Et que de toutes parts me voyant accabler,  
 J'eusse en vous le seul bien qui me pût consoler ?  
 Cependant, quand je veux oublier cet outrage,  
 Et cacher à mon cœur cette funeste image,  
 Vous osez à mes yeux rappeler le passé,  
 Vous m'accusez encor, quand je suis offensé.  
 Je vois que pour un traître un fol espoir vous flatte

მაშ ყოფილა სულ სიცრუე თქვენი სიტყვა, თქვენი ფიცი.

მითრიდატი.

ორგულო! განა შეგფერის სიტყვანი ამისთანანი? ვერ დაგიმაღლავს გრძნობაცა სამარცხვინო და სანანი. მე აღგამაღლე, მიგიღეთ მართლა მეფური წესითა, თქვენ მიბასუხეთ ღალატით შავზედაც უშავესითა. სადა გაქვთ გული? რა იქმნა მისი ნამუსი, ქველობა? ნუთუ რომისგან ისწავლეთ მუხანათური ხელობა?

რა დიდების სიმალლიდან, რა კიბიდან ჩამოვედი, რომ ამ ტახტის სათავეში მომექცია თქვენი ბედი! დავიწყეთ—დღეს რაცა ვარ, მოიგონეთ—რა ვიყავი: დიადი და მიუწვდენი, საშიში და განმკითხავი! მაშინ მე თქვენ ავირჩიეთ: რა პატივი დავდე ეფესს! რა ქალები გავარისხე, ვაწყენინე რამდენ მეფეს!

უარი ვყავი თქვენთვისა ამდენი მოკავშირენი, თქვენ დაგიმონეთ მეფენი, ყველა დიდი და მცირენი. ახ, თუ სხვა სიყვარულისა თქვენ გედებოდათ ალები, ჩემთვის გულ-დახშულ იყავით, სხვისკენ გექირათ თვალები, რალად გინდოდათ შორს ძებნა მაშინ საქმროსი თქვენისა, რად სდუმდით, რად გაგიჭირდათ დაძვრა ცოტათი ენისა?

რას ელოდით, სიძულვილი თუ მაშინაც გულში გედოთ? ჩემს დამხობას, ჩემს დარჩენას უმწეოდ და უიმედოდ? ეხლა ამბობთ? როცა ირგვლივ შემუქრება მთა და ბარი, როცა საშველს ვერსით ვხედავ, ერთიც არ მყავს მეგობარი? მაშინ, როცა მინდა ცოტად დავივიწყო ეს წარსული, როცა მინდა მოვისვენო, მოვიბრუნო ცოტად სული,

თქვენ ჰხედავთ გაშლას ჩემ-წინა წარსულის ამისთანისა, ბრალსა მე მადებთ, როდესაც თვით ხართ დამსობი დანისა. არც შიში, არც პატივი, არცა რაიმე რიდება,—

A quelle épreuve, ô ciel! réduis-tu Mithridate!  
Par quel charme secret laissé-je retenir  
Ce courroux si sévère et si prompt à punir?  
Profitez du moment que mon amour vous donne,  
Pour la dernière fois, venez, je vous l'ordonne.  
N'attirez point sur vous des périls superflus,  
Pour un fils insolent que vous ne verrez plus.  
Sans vous parer pour lui d'une foi qui m'est due,  
Perdez-en la mémoire, aussi bien que la vue;  
Et, désormais, sensible à ma seule bonté,  
Méritez le pardon qui vous est présenté.

MONIME

Je n'ai point oublié quelle reconnaissance,  
Seigneur, m'a dû ranger sous votre obéissance.  
Quelque rang où jadis soient montés mes aïeux,  
Leur gloire de si loin n'éblouit point mes yeux.  
Je songe avec respect de combien je suis née  
Au-dessous des grandeurs d'un si noble hyménée;  
Et malgré mon penchant et mes premiers desseins  
Pour un fils, après vous le plus grand des humains,  
Du jour que sur mon front on mit ce diadème,  
Je renonçai, Seigneur, à ce prince, à moi-même.  
Tous deux d'intelligence à nous sacrifier,  
Loin de moi, par mon ordre, il courait m'oublier.  
Dans l'ombre du secret ce feu s'allait éteindre;  
Et même de mon sort je ne pouvais me plaindre,  
Puisque enfin, aux dépens de mes vœux les plus doux,  
Je faisais le bonheur d'un héros tel que vous.  
Vous seul, Seigneur, vous seul, vous m'avez arrachée  
A cette obéissance où j'étais attachée;

ჰე, ცაო! რა დღეს მოესწრო მითრიდატისა დიდება!  
როგორ შევიძლებ, მიბრძანე, რომ არ გადავცდე ზომასა  
და გასაქანი არ მივსცე სამართლიანსა წყრომასა?

ისარგებლეთ ამ წამითა, ნულა მივსებთ გულსა წყენით;  
წამობრძანდით! მე გიბრძანებ! ბევრ წუწუნსა დაეხსენით.  
განარიდეთ ჭირსა თავი, გულში ბრაზსა ნუ ინახავთ,  
დაივიწყეთ ჩემი შვილი, იმას თქვენა ვერა ჰნახავთ.  
მას რო უძღვნათ თქვენი გული, თქვენ ამისი არ გაქვთ ნება,  
ამოიღეთ იქიდანა მის სახე და მოგონება.  
და ამიერ, თუმცა თქვენგან წყენა ბევრი მიმიღია,  
გაპატიებ ყველაფერსა, გული კიდევ არის ღია.

### მონიშნე.

მანსოვს, მეფეო, თუ როგორ, რა თავაზიან ქცევითა,  
მე მოვექეცი ბოლო-დროს თქვენი დიდების ქცევითა.  
ბევრი მყოლია გმირები, ისტორიისა თქმულებით,  
მაგრამ ამ წინაპრებითა თავი არ მომაქვს სრულებით;  
მანსოვს მე თქვენი ტახტიცა, დიდების შუქით მკრთომარე,  
და მასთან შედარებითა თუ რა დაბლა ვარ მდგომარე.

მართალია, შემეყვარდა თქვენი შვილი ქსიფარესი—  
თქვენი გარდა ვინ-ღა არი გმირი მაზე უკეთესი?—  
მაგრამ, როცა თქვენ დამადგით ეს გვირგვინი სანატრელი,  
იმაზე და ჩემს თავზედაც მე ავიღე მაშინ ხელი.  
ამ დღის შემდეგ ჩუმად ვიყავ, ცხოვრებაცა სხვა დავიწყე,  
ის მომშორდა ნაღვლიანი, დამივიწყა, დავივიწყე.

ეს ცეცხლი მინელდებოდა, არვისგან საცოდინარი,  
არცა ვჩიოდი ჩემს ბედზე, ცრემლით არ ვიყავ მდინარი;  
გემონა, ნაცვლად ოცნების ამ რიგად განაწირისა,  
ბედნიერება ვიქნები თქვენებრ ღიადი გმირისა.  
მხოლოდ თქვენ, მეფეო, მხოლოდ თქვენ იმ წრესა  
ამაცდინეთა.  
სადაც წყნარად და მორჩილად თავი მეჭირა წინეთა.


Et ce fatal amour dont j'avais triomphé,  
 Ce feu que dans l'oubli je croyais étouffé,  
 Dont la cause à jamais s'éloignait de ma vue,  
 Vos détours l'ont surpris et m'en ont convaincue .  
 Je vous l'ai confessé, je le dois soutenir  
 En vain vous en pourriez perdre le souvenir ;  
 Et cet aveu honteux, où vous m'avez forcée,  
 Demeurera toujours présent à ma pensée.  
 Toujours je vous croirais incertain de ma foi ,  
 Et le tombeau, Seigneur, est moins triste pour moi  
 Que le lit d'un époux qui m'a fait cet outrage,  
 Qui s'est acquis sur moi ce cruel avantage,  
 Et qui, me préparant un éternel ennui,  
 M'a fait rougir d'un feu qui n'était pas pour lui.

MITHRIDATE

C'est donc votre réponse ? Et, sans plus me complaire,  
 Vous refusez l'honneur que je voulais vous faire ?  
 Pensez-y bien. J'attends pour me déterminer .

MONIME

Non, Seigneur, vainement vous croyez m'étonner .  
 Je vous connais : je sais tout ce que je m'apprête ,  
 Et je vois quels malheurs j'assemble sur ma tête ;  
 Mais le dessein est pris : rien ne peut m'ébranler.  
 Jugez-en, puisque ainsi je vous ose parler,  
 Et m'emporte au-delà de cette modestie  
 Dont jusqu'à ce moment je n'étais point sortie.  
 Vous vous êtes servi de ma funeste main  
 Pour mettre à votre fils un poignard dans le sein.  
 De ses feux innocents j'ai trahi le mystère ;  
 Et quand il n'en perdrait que l'amour de son père,  
 Il en mourra, Seigneur. Ma foi ni mon amour  
 Ne seront point le prix d'un si cruel détour .



ამ ბედითი სიყვარულის რომ წავშაღე გულში კვალი,  
 როცა ალი ჩავეშრიტე, ჩაქრა მისი ნაპერწკალა,  
 როცა მისი მიზეზიც კი მოვიშორე თავიდანა,  
 თქვენ მომაწყდით ეშმაკურად, მომაბჯინეთ ყელში დანა.  
 მეც გულ-წრფელად გამოგიტყდით, გვიან არის უკუ-თქმანი,  
 და იმ ჩემსა აღსარებას აწ ვერ წაპშლის დრო და ხანი.

ეს აღსარება, მეფეო, მომკალ თუ წაიშალოსა.  
 თქვენ მიმაკარით, მხოლოდ თქვენ, ამ სასირცხვილო პალოსა.  
 ამიერ ნდობა არ არის, იგი ჩვენ შორის მკვდაიოია.  
 სამარე ჩემთვის, მეფეო, ნაკლებად შემაზარია,  
 ვიდრე საწოლი მეუღლის, ვინც ეს ლახვარი დამასო,  
 ვინც მაგრძნობინებს ყოველთვის: „ვერ გაპატიებ ამასო!“  
 ვინც ალი აღმომიჩინა არ-იმისთვისა გზნებული  
 და მე ამ ცეცხლში ჩამაგდო სირცხვილით განწითლებული.

**მითრიდატი.**

ჩაუფიქრდით, დედოფალო! მიმაჩნია ეს საჭიროდ.

**მონიშე.**

ხელმწიფეო, ნუ გგონიათ, რითიმე რო გამაკვიროთ.  
 ჩემი სიტყვა გაბედული არ შემრჩება, ვიცი მეც ეს.  
 შეიძლება, თქვენი რისხვით ცის კამარაც ზედ დამეცეს.  
 სულერთია, ვერ შემიცვლის აზრს ვერა-რა ფათერაკი.  
 არა ჰხედავთ, რა კილოთი გაგიბედეთ ლაპარაკი?  
 არა ჰხედავთ, რა თამამად გავარღვიე მე ის რკალი,  
 სადაც დღემდე თავს ვიჭერდი, მორჩილი და თავმდაბალი?  
 თქვენ ისარგებლეთ, მეფეო, ამ ხელით შავდღიანითა,  
 რომ თქვენს შვილს ბოლო მოუღოთ, გული გეუბოთ დანითა.  
 მე გაგიმჟღავნეთ ალები მისი იღუმალ გრძნობისა  
 და აწ ის დაკარგულია დაკარგვით თქვენი ნდობისა.  
 რგი მოჰკვდება უთუოდ... და მერე რას უშველისა  
 ჩემი მოთქმა და ვაება, დენა ცრემლისა ცხელისა?

Après cela, jugez. Perdez une rebelle;  
Armez-vous du pouvoir qu'on vous donna sur elle :  
J'attendrai mon arrêt; vous pouvez commander.  
Tout ce qu'en vous quittant j'ose vous demander,  
Croyez (à la vertu je dois cette justice)  
Que je vous trahis seule, et n'ai point de complice;  
Et que d'un plein succès vos vœux seraient suivis  
Si j'en croyais, Seigneur, les vœux de votre fils.

SCÈNE V. — MITHRIDATE, *seul*.

Elle me quitte! Et moi, dans un lâche silence,  
Je semble de sa fuite approuver l'insolence!  
Peu s'en faut que mon cœur, penchant de son côté,  
Ne me condamne encor de trop de cruauté?  
Qui suis-je? Est-ce Monime? Et suis-je Mithridate?  
Non, non, plus de pardon, plus d'amour pour l'ingrate.  
Ma colère revient, et je me reconnais :  
Immolons, en partant, trois ingrats à la fois.  
Je vais à Rome, et c'est par de tels sacrifices  
Qu'il faut à ma fureur rendre les dieux propices.  
Je le dois, je le puis; ils n'ont plus de support :  
Les plus séditieux sont déjà loin du bord.  
Sans distinguer entre eux qui je hais ou qui j'aime,  
Allons, et commençons par Xipharès lui-même.  
Mais quelle est ma fureur? et qu'est-ce que je dis?  
Tu vas sacrifier qui, malheureux? ton fils?

ეხლა კმარა, დამდეთ მსჯავრი, გადაწყიტეთ ჩემი ბედი,  
ძალა თქვენ გაქვთ და უფლება, მომიხრია თქვენ წინ ქედი.  
ველი თქვენსა განაჩენსა უშიშრად და უიმედოდ,  
მაგრამ, ჩვენი ვაყრის წინა, ესეც უნდა გაგიბედოთ:  
მე არ ვსტყუი, გეფიცებით, სიმართლესა ვალიარებ,  
დამნაშავე მე ვარ მარტო, სხვას არავის ვიზიარებ;  
ხოლო რაც კი შეეხება თქვენსა შვილსა, გეფიცებით,  
ის თქვენია, მხოლოდ თქვენი, რწმენითა და გატაცებით.

## სცენა V

### მითრიდატი.

წავიდა!.. მე კი დამდგარ-ვარ, ვითა მხდალი და ჯაბანი,  
მის აღშფოთების ქოქოლით აგრე ლამაზად ნაბანი.  
გული იმისკენ იხრება, მას მიეკედლოს ლამისა.  
და აღიაროს შვილზედა უსამართლობა მამისა.  
ვინ ვარ? ვინ არის მონიმე? მითრიდატი ვარ თუ არა?!  
შორს სიყვარული ცბიერის, შორს ჩემგან ეს მატყუარა!  
წყრომით მევსება კვლავ გული; კვალად მისი ვარ  
მფლობელი,  
უნდა გავსწირო სამივე, სამივე დაუნდობელი.

მე რომს ვებრძვი! და ამ დროსა, რომ მოვიგო  
დმერთთა გული,  
სწორედ მსხვერპლი ამისთანა არ იქნება დაკარგული.  
აგრე უნდა, აგრე ვიზამ!.. ეხლა იმათ არ აქვთ შველა,  
მათი მომხრე ნაწილები გადავასხი შორსა ყველა.  
არ გავარჩევ, ვინცა მიყვარს, არც იმასა, ვინცა მძულსა.  
მაშ შევეუდგეთ... ჯერ ქსიფარესს ამოვართმევ ვერაგ სულსა.

მაგრამ რას ვამბობ, ვაიმე! ვისთვისა ვლესავ დანასა?  
ჰწირავ, ვის ჰწირავ, ბედშავო? ნუთუ შვილს ამისთანასა?

Un fils que Rome craint? qui peut venger son père?  
Pourquoi répandre un sang qui m'est si nécessaire?  
Ah! dans l'état funeste où ma chute m'a mis,  
Est-ce que mon malheur m'a laissé trop d'amis?  
Songeons plutôt, songeons à gagner sa tendresse :  
J'ai besoin d'un vengeur, et non d'une maîtresse.  
Quoi? ne vaut-il pas mieux, puisqu'il faut m'en priver,  
La céder à ce fils que je veux conserver?  
Cédons-la. Vains efforts, qui ne font que m'instruire  
Des faiblesses d'un cœur qui cherche à se séduire  
Je brûle, je l'adore; et, loin de la bannir...  
Ah! c'est un crime encor dont je la veux punir.  
Quelle pitié retient mes sentiments timides ?  
N'en ai-je pas déjà puni de moins perfides ?  
O Monime! ô mon fils! inutile courroux!  
Et vous, heureux Romains, quel triomphe pour vous ,  
Si vous saviez ma honte, et qu'un avis fidèle  
De mes lâches combats vous portât la nouvelle!  
Quoi! des plus chères mains craignant les trahisons ,  
J'ai pris soin de m'armer contre tous les poisons ;  
J'ai su, par une longue et pénible industrie ,  
Des plus mortels venins prévenir la furie.  
Ah! qu'il eût mieux valu, plus sage et plus heureux,  
Et repoussant les traits d'un amour dangereux,  
Ne pas laisser remplir d'ardeurs empoisonnées  
Un cœur déjà glacé par le froid des années!  
De ce trouble fatal par où dois-je sortir?

რომსა იმისი შიში აქვს, ის იმედია მამისა,  
და მისი სისხლი დავღვარო სამაგიეროდ ამისა?!  
როგორ? როდესაც, ბედშავო, ბედსა უცხადებ ბრძოლასა,  
ნუთუ არ-ყოლა სჯობია ასეთი შვილის ყოლასა?!

არა, ისევ შევეცადოთ დავიბრუნო მისი გული,  
მე მჭირია გმირის მკლავი, არა ხასის სიყვარული.  
არ სჯობიან ეს დიაცი მას მივეუგდო საჩუქარად,  
მით მოვიგო მისი გული კვლავ მხნეობის მაშუქარად?  
არა, არა, ტყულია! ვერ დავუთმობ იმას, ვერა!  
ეხლა უფრო ნათელია ჩემი გულის წვა და ძგერა.

არ შემიძლია დათმობა, ამის არა მაქვს ძალია,  
მიზეზი შენ ხარ, ცბიერო! ესეც ხომ შენი ბრალია?  
მაშ რა მაჩერებს, მედება რა სიბრალულის ალები?  
განა არ დამიხოცია მე მოღალატე ქალები?  
მონიმე!.. შვილო!.. ვაიმე, ცუდი-ლა გამწარებაა!  
ჰაი თქვენ, რომაელებო, თქვენთვის რა გახარებაა!

თქვენ იცინებთ, რო გაიგებთ, თუ რა გვარი მდაგავს ალი,  
რა ნაირად, რა ბრძოლაში, სამარცხვინოდ ჩავიფალი.  
რომ არავის მოვეწამლე, უცხოთა თუ ახლო პირსა,  
კუჭი ჩემი მივაჩვიე მე საწამლავს ბევრ ნაირსა,  
დიდი ცდისა, შრომის შემდეგ, აღვიჭურვე ისე თავი,  
რომ ვერაფერს ვერ დამაკლებს ჩვეულებრივ საწამლავი.

ახ, არ მერჩია უბედურს ისე აღჭურვა გულისა,  
რომ იმას ვერ შეჰხებოდა ეს ალი სიყვარულისა,  
რომ სიტკბოება იმისი, სავსე იღუმალ შხამითა,  
ვერ მიწამლავდეს გულს უკვე გაცივებულსა ჟამითა?!

SCÈNE VI. — MITHRIDATE, ARBATE

ARBATE

Seigneur, tous vos soldats refusent de partir :  
Pharnace les retient, Pharnace leur révèle  
Que vous cherchez à Rome une guerre nouvelle.

MITHRIDATE

Pharnace?

ARBATE

Il a séduit ses gardes les premiers ;  
Et le seul nom de Rome étonne les plus fiers .  
De mille affreux périls, ils se forment l'image.  
Les uns avec transport embrassent le rivage ;  
Les autres, qui partaient, s'élancent dans les flots,  
Ou présentent leurs dards aux yeux des matelots.  
Le désordre est partout ; et, loin de nous entendre  
Ils demandent la paix et parlent de se rendre.  
Pharnace est à leur tête ; et, flattant leurs souhaits,  
De la part des Romains il leur promet la paix.

MITHRIDATE

Ah ! le traître ! Courez : qu'on appelle son frère ;  
Qu'il me suive, qu'il vienne au secours de son père.

ARBATE

J'ignore son dessein ; mais un soudain transport  
L'a déjà fait descendre et courir vers le port ;

## სცენა VI

მითრიდატი, არბატი.



არბატ.

ხელმწიფევ! ჯარი არ მიდის! ფარნაკი წინ დაჰდგომია და გაიძახის: „იცოდეთ, რომთან ახალი ომია!“

მითრიდატი.

ფარნაკი?!

არბატ.

დიად! ციხისა შეუცდენია მცველები. გულადებსაც კი უძლევი ჰგონიათ რომაელები.

ყველას შიში ელანდება, ფათერაკი ათასგვარი, უბრუნდება ისევ კიდეს გადასხმული გემზე ჯარი, ზოგი სცვივა შიგან წყალში, ზოგი ნავსა მოაცურებს, იგინება და საჭითა ემუქრება მეზღვაურებს. აირია ყველაფერი... და ეს ჯარი მხნე და ლალი ზავსა ითხოვს, ის მზად არის სულ დაჰყაროს იარაღი.

ფარნაკი მეთაურია, ჰყვირის: „არ გვინდა ომიო, ზავსა და მოსვენებასა გვპირდება დიდი რომიო“.

მითრიდატი.

აჰ, მოლაღატე!.. ქსიფარესს ეხლავ აცნობებ ამასა, აქით დაიძრას ეხლავე, წამოეშველოს მამასა.

არბატ.

არ ვიცი, იგი რას ჰფიქრობს, ვისთანა არის გულითა, როგორ უყურებს ჩვენს საქმეს,, მტრობით თუ სიყვარულითა.

Et l'on dit que suivi d'un gros d'amis fidèles,  
On l'a vu se mêler au milieu des rebelles.  
C'est tout ce que j'en sais.

MITHRIDATE

Ah! qu'est-ce que j'entends?

Perfides , ma vengeance a tardé trop longtemps!  
Mais je ne vous crains point. Malgré leur insolence ,  
Les mutins n'oseraient soutenir ma présence.  
Je ne veux que les voir; je ne veux qu'à leurs yeux  
Immoler de ma main deux fils audacieux .

SCÈNE VII. — MITHRIDATE, ARBATE, ARCAS

ARCAS

Seigneur, tout est perdu. Les rebelles, Pharnace,  
Les Romains sont en foule autour de cette place.

MITHRIDATE

Les Romains!

ARCAS

De Romains le rivage est chargé,  
Et bientôt dans ces murs vous êtes assiégé.

MITHRIDATE

(*A Arcas.*)

Ciel! Courons. Écoutez ... Du malheur qui me presse  
Tu ne jouiras pas, infidèle princesse.

ამბობენ, თავის ნაწილებს მან თავი მოუყარაო  
და შეამბოხეთ ბანაკში იგი შეიჭრა ჩქარაო.

ეს გავიგე, ხელმწიფეო.



მითრიდატი.

ეს რა მესმის? ჰოი ღმერთო!  
რატომ დროზე არ მოვეკალი, რა სიბეცე ზედ დამერთო!  
მაგრამ მათი არ მაქვს შიში, ბრძოლას მე ვინ გამიბედავს?  
ყველა პირ-ქვე დაემხოება, ვინც შორიდან შემომხედავს.  
მინდა მხოლოდ დავინახო ორი შვილი თავვასული,  
რომ ავკუწო ჩემი ხელით, ამოეხადო ორვეს სული.

## სცენა VII

მითრიდატი, არბატი, არკას

არკას

ხელმწიფეო, დავილუბეთ! ესლა შველაც არსით არი,  
გამაგრებულ ადგილებში შემოიჭრა რომის ჯარი.

მითრიდატი.


რომის ჯარი?!

არკას

ღიან, რომის... ფარნაკისა ჯარიც აგრე...  
აღყა უნდა შემოგარტყან, დაიჭირონ ეს სიმაგრე.

მითრიდატი.

აბა!.. გასწით!.. აქედ!.. ჩქარა!.. რა დღე დადგა, ჰე უფალო!..  
შენ კი ველარ გაიხარებ, პირ-უმტკიცო დედოფალო!



## ACTE V

### SCÈNE PREMIÈRE. — MONIME, PHÆDIME

PHÆDIME

Madame, où courez-vous? Quels aveugles transports  
Vous font tenter sur vous de criminels efforts?  
Hé quoi! vous avez pu, trop cruelle à vous-même,  
Faire un affreux lien d'un sacre diadème?  
Ah! ne voyez-vous pas que les dieux plus humains  
Ont eux-mêmes rompu ce bandeau dans vos mains?

MONIME

Hé! par quelle fureur obstinée à me suivre,  
Toi-même, malgré moi, veux-tu me faire vivre?  
Xipharès ne vit plus; le roi, désespéré,  
Lui-même n'attend plus qu'un trépas assuré ;  
Quel fruit te promets-tu de ta coupable audace?  
Perfide , prétends-tu me livrer à Pharnace?

PHÆDIME

Ah! du moins attendez qu'un fidèle rapport  
De son malheureux frère ait confirmé la mort.  
Dans la confusion que nous venons d'entendre ,  
Les yeux peuvent-ils pas aisément se méprendre?

## მოქმედება მესამე

---

### სცენა I

მონიშე, ფედიშე.

ფედიშე.

დედოფალო, რას ჰჩადიხართ? რა სიავე გეცათ ელდად?  
თავზე ხელსა როგორ იღებთ? აზრი როგორ დაგიბნელდათ?  
როგორ გძლია, გულ-უწყალოვ, აგრე ცოდვის სიდიდემა,  
რომ სახრწობელ თოკად გინდა გაიხადოთ დიადემა?  
არა ჰხედავთ, თვით ღმერთებსა ებრალება თქვენი თავი  
და ხელშივე ჩაგიშალეს ეს ძვირფასი თავსაკრავი?

მონიშე.

შენ კი რაღას დამტრიალებ? სულ უკანა დამსდევ შენა,  
სჩანს, ძალიან გენატრება ჩემი თავის გადარჩენა.  
ქსიფარესი აღარა სჩანს, მოკლულია უეჭველად,  
მეფე იმედ-დაკარგული სიკვდილს ეძებს ბრძოლის ველად.  
შენ რა გინდა, რას მოელთ ჩემი გადარჩენიდანა?  
ვისა გინდა ჩამაბარო? მუხანათო, ფარნაკს განა?!

ფედიშე.

მოითმინეთ, დედოფალო, სანამ ცნობა მოვა სწორი.  
ქსიფარესის მიცვალება იქნებ არის მონაჭორი.

D'abord, vous le savez, un bruit injurieux  
Le rangeait du parti d'un camp séditieux ;  
Maintenant on vous dit que ces mêmes rebelles  
Ont tourné contre lui leurs armes criminelles.  
Jugez de l'un par l'autre, et daignez écouter...

MONIME

Xipharès ne vit plus, il n'en faut point douter :  
L'événement n'a point démenti mon attente  
Quand je n'en aurais pas la nouvelle sanglante,  
Il est mort; et j'en ai pour garants trop certains  
Son courage et son nom trop suspects aux Romains.  
Ah! que d'un si beau sang dès longtemps altérée  
Rome tient maintenant sa victoire assurée!  
Quel ennemi son bras leur allait opposer!  
Mais sur qui, malheureuse, oses-tu t'excuser?  
Quoi? tu ne veux pas voir que c'est toi qui l'opprimes,  
Et dans tous ses malheurs reconnaître tes crimes!  
De combien d'assassins l'avais-je enveloppé!  
Comment à tant de coups serait-il échappé?  
Il évitait en vain les Romains et son frère :  
Ne le livrais-je pas aux fureurs de son père?  
C'est moi qui les rendant l'un de l'autre jaloux,  
Vins allumer le feu qui les embrase tous,  
Tison de la discorde et fatale furie,  
Que le démon de Rome a formée et nourrie.  
Et je vis? Et j'attends que de leur sang baigné,  
Pharnace des Romains revienne accompagné?  
Qu'il étale à mes yeux sa parricide joie?  
La mort au désespoir ouvre plus d'une voie :  
Oui, cruelles, en vain vos injustes secours  
Me ferment du tombeau les chemins les plus courts,  
Je trouverai la mort jusque dans vos bras même.



ჯერ ამბობდენ, ქსიფარესსა შეურიგდა ფარნაკიო  
 და იმანაც აირჩია მოღალატეთ ბანაკიო,  
 ეხლა ვითომ ეს ბანაკი აუჯანყდა ქსიფარესსო,  
 წაიჩხუბნენ და ამ ჩხუბში იარაღიც იხმარესო.

აბა სად არის სიმართლე? ჯერ გამორკვევა ძნელია.

**მონიშე.**

აჰ, ის ცოცხალი არ არის, ეს ჩემთვის უეჭველია.  
 გამართლდა ჩემი წუხილი, ჩემი წინასწარ გრძნობანი,  
 რად მინდა ეხლა მივიღო სამგლოვიარო ცნობანი.  
 მკედარია იგი! საბუთად განა არ კმარა, რომ ისა  
 დანიშნულ იყო ბედითა საბედისწეროდ რომისა?

რომს ჰწყუროდა მისი სისხლი ამ საფრთხისა მოსასპობად,  
 ეხლა არეინ ემუქრება მასა მისი დასამზობად.  
 ახ, რა მეხს არ დაატეხდა მას ამ გვირის მძლავრი მკლავი!  
 ვაი ჩემ დღეს! მე ვარ მარტო, მე ვარ მარტო მოსაკლავი!  
 მე ვარ მარტო დამნაშავე, მე მედება მარტო ბრალი,  
 თუ ავარდა წინააღმდეგ ყოველი მხრით ქარიშხალი.

რამდენი მტერი მოვარტყი, რამდენი ისრის პირები,  
 რამდენი ხმალი უწყალოდ მის თავზე მონადირები!  
 თუ ძმასა გადურჩებოდა, მსხვერპლი ჰხდებოდა რომისა,  
 თუ რომსა, მეხი მზად იყო, მეხი მამისა წყრომისა.  
 დიად, ეს მე ვარ, ავტეხე წინააღმდეგი ძალები,  
 ცეცხლი დავანთე, მოვუღე ყველას ცოდვისა ალები,  
 ალები გაუტანლობის, მუხანათობის, ომისა,  
 საუბედუროდ ჩვენთვისა, საბედნიეროდ რომისა.

და მე კიდევ ცოცხალი ვარ, და მე კიდევ მიდგა სული,  
 რომ ფარნაკი წინ დამიდგეს ამაყი და თავგასული,  
 რომაელთა თანახლებით... უბედურო, ამას ელი?!  
 ახ, თუ შეველა სხვა არ არის, სიკვდილია მაშინ მხსნელი.

PHŒDIME

On vient, Madame, on vient; et j'espère qu'Arcas,  
Pour bannir vos frayeurs, porte vers vous ses pas.

SCÈNE II. — MONIME, PHŒDIME, ARCAS

MONIME

En est-ce fait, Arcas? et le cruel Pharnace...

ARCAS

Ne me demandez rien de tout ce qui se passe,  
Madame : on m'a chargé d'un plus funeste emploi ;  
Et ce poison vous dit la volonté du roi.

PHŒDIME

Malheureuse princesse!

MONIME

Ah! quel comble de joie!

Donnez. Dites, Arcas, au Roi qui me l'envoie,  
Que de tous les présents que m'a faits sa bonté,  
Je reçois le plus cher et le plus souhaité.  
A la fin je respire; et le ciel me délivre  
Des secours importuns qui me forçaient de vivre.  
Maîtresse de moi-même, il veut bien qu'une fois  
Je puisse de mon sort disposer à mon choix.

PHŒDIME

Hélas!

ფელიმე.

მოითმინეთ, გენაცვალე, დაიმშვიდეთ ცოტად გული,  
ღმერთი იზამს. ჯერ არ არის ყველაფერი დაკარგული.

სცენა II

მონიმე, ფელიმე, არკას.

მონიმე.

არკას, რას იტყვი, რა ჰხდება? ცეცხლი მოედო მხარეთა?

არკას

ნურაფერს მკითხავეთ! ზღვა შხუის ტანჯვით და სიმწუხარეთა!  
ამ ზღვამ მომაგდო, ვასრულებ საშინელ დავალებასა:  
ეს საწამლავი აგიხსნის მეფის უმაღლეს ნებასა.

ფელიმე.

უბედურო დედოფალო...

მონიმე.

ნეტარების ძვირო წამო!

ახ, მადლობა მოახსენეთ ჩემგან მეფეს ამის გამო.  
არც ერთი მის საჩუქარი, ისე როგორც დღევანდელი,  
არ ყოფილა უფრო ძვირი, უფრო ჩემთვის სანატრელი.  
აჰა, სული მოვიბრუნე, შემეწია ბოლოს ზეცა,  
ჩემს ხელშია ეხლა ჩემი სიკვდილიც და სიცოცხლეცა,  
ბატონი ვარ ჩემი თავის, წამი ძვირი გამიბრწყინდა,  
შემიძლია ჩემი ბედი გადავწყვიტო, როგორც მინდა.

ფელიმე.

ვაი ჩემს დღეს...

MONIME

Retiens tes cris; et, par d'indignes larmes,  
De cet heureux moment ne trouble point les charmes.  
Si tu m'aimais, Phœdime, il fallait me pleurer  
Quand d'un titre funeste on me vint honorer,  
Et lorsque m'arrachant du doux sein de la Grèce,  
Dans ce climat barbare on traîna ta maîtresse.  
Retourne maintenant chez ces peuples heureux;  
Et, si mon nom encor s'est conservé chez eux,  
Dis-leur ce que tu vois; et de toute ma gloire,  
Phœdime, conte-leur la malheureuse histoire.  
Et toi, qui de ce cœur, dont tu fus adoré,  
Par un jaloux destin fus toujours séparé,  
Héros, avec qui, même en terminant ma vie,  
Je n'ose en un tombeau demander d'être unie,  
Reçois ce sacrifice; et puisse, en ce moment,  
Ce poison expier le sang de mon amant!

SCÈNE III. — MONIME, ARBATE, PHÆDIME,  
ARCAS

ARBATE

Arrêtez! arrêtez!

ARCAS

Que faites-vous, Arbate?

ARBATE

Arrêtez! j'accomplis l'ordre de Mithridate.

## მონიშე.



ჩუმაღ იყავ! არა, არ გაძლევ მე ნებას:  
ცრემლი არ შეეფერება ამა წამისა შვენებას.  
ეხლა კი არა, ფედიმე, ცრემლის გმართებდა დინება  
მაშინ, როდესაც მეფემა ჩემი დანიშვნა ინება,  
როცა მომწყვდიტეს საბერძნეთს, მხარესა ჩემსა მშობელსა,  
და თავი მიკრეს ამ ქვეყნად მუდამ ცრემლ-შეუშრობელსა.  
ეხლა, მშვიდობით, ფედიმე! წადი და ჰნახე ჰელლადა,  
და თუ ამ ერსა ბედნიერს, სახელოვანსა ძველადა,  
კიდევ ვახსოვარ, უამბე ჩემი სიმწარე მრავალი,  
უამბე ყველას, ფედიმე, ჩემი თავგადასავალი.

შენკი, ჩემო, ჩემსა გულში ჩაქსოვილო, ჩანერგულო,  
ამ გულიდან შავი ბედით მოწყვეტილო, დაკარგულო,  
გმირო!—ვაი, არ მეღირსა გული გულსა შეგიტყუბო,  
არ მეღირსა შენთან წოლა, ერთი მიწა, ერთი კუბო!—  
შეიწირე ჩემი თავი... დეე, ჩემო, ეს სასმისი  
შენი სისხლის ფასი იყოს, შესანდობი იყოს მისი.

---

## სცენა III

მონიშე, არბატი, ფედიმე, არკას.

არბატ (შემოვარდება)

მოითმინეთ! მოითმინეთ!

არკას

არბატ, რაა? რა ამბავი?

---

არბატ.

ბრძანებაა მითრიდატის.

MONIME

Ah! laissez-moi...

ARBATE, *jetant le poison.*

Cessez, vous dis-je, et laissez-moi,  
Madame, exécuter les volontés du Roi :  
Vivez. Et vous, Arcas, du succès le mon zèle  
Courez à Mithridate apprendre la nouvelle.

SCÈNE IV. — MONIME, ARBATE, PHÆDIME

MONIME

Ah! trop cruel Arbate, à quoi m'exposez-vous?  
Est-ce qu'on croit encor mon supplice trop doux?  
Et le Roi, m'enviant une mort si soudaine,  
Veut-il plus d'un trépas pour contenter sa haine?

ARBATE

Vous l'allez voir paraître; et j'ose m'assurer  
Que vous-même avec moi vous allez le pleurer.

MONIME

Quoi? le Roi...

ARBATE

Le roi touche à son heure dernière,  
Madame, et ne voit plus qu'un reste de lumière.  
Je l'ai laissé sanglant, porté par des soldats;  
Et Xipharès en pleurs accompagne leurs pas.

მონიმე.

დამანებეთ ეხლა თავი.



**არბატ** (საწამლავს ხელიდან გააგდებინებს)  
მოითმინეთ! გეუბნებით... მოისმინეთ მეფის ნება,  
მინდა მხოლოდ სისრულეში მოვიყვანო ეს ბრძანება:  
ნუ მოჰკედებით!.. და შენ, არკას, გამოიდე ეხლა თავი,  
გასწი ჩქარა, მითრიდატსა მიუტანე ეს ამბავი.

#### სცენა IV

მონიმე, არბატ, ფედიმე.

მონიმე.

არბატ, რა გინდათ კიდევ, რა ცეცხლის დატრიალება?  
ნუთუ გგონიათ, ცოტაა ჩემი ტანჯვა და წვალება?  
ნუთუ არ კმარა ლახვარი ერთბაშად გულსა ხეული  
და გსურთ ნელ-ნელა დაჰტანჯოთ ჩემი სული და სხეული?

არბატ.

აქ მობრძანდება თვით მეფე, ჰნახავთ და გეცოდინებათ.  
ჩემთანა ერთად იმისთვის ცრემლი თქვენც დაგედინებათ.

მონიმე.

მითრიდატი?!

არბატ.

ღიად! იგი ეთხოვება წუთი სოფელს,  
უკანასკნელ დღესა ჰხედავს, სინათლესა შვეების-მყოფელს.  
ჯარის კაცებს იგი მოჰყავთ, ხანჯლით გული განგმირული,  
ქსიფარესიც თანა ახლავს, დასდის ცრემლის ნაკადული.

MONIME

Xipharès? Ah! grands dieux! Je doute si je veille,  
Et n'ose qu'en tremblant en croire mon oreille.  
Xipharès vit encor? Xipharès, que mes pleurs...

ARBATE

Il vit chargé de gloire, accablé de douleurs .  
De sa mort en ces lieux la nouvelle semée  
Ne vous a pas vous seule et sans cause alarmée.  
Les Romains, qui partout l'appuyaient par des cris,  
Ont par ce bruit fatal glacé tous les esprits.  
Le Roi, trompé lui-même, en a versé des larmes;  
Et, désormais certain du malheur de ses armes,  
Par un rebelle fils de toutes parts pressé ,  
Sans espoir de secours tout prêt d'être forcé ,  
Et voyant, par surcroît de douleur et de haine,  
Parmi ses étendards porter l'aigle romaine,  
Il n'a plus aspiré qu'à s'ouvrir des chemins  
Pour éviter l'affront de tomber dans leurs mains.  
D'abord il a tenté les atteintes mortelles  
Des poisons que lui-même a crus les plus fidèles ;  
Il les a trouvés tous sans force et sans vertu .  
« Vain secours, a-t-il dit, que j'ai trop combattu!  
Contre tous les poisons soigneux de me défendre,  
J'ai perdu tout le fruit que j'en pouvais attendre.  
Essayons maintenant des secours plus certains,  
Et cherchons un trépas plus funeste aux Romains. »  
Il parle; et défiant leurs nombreuses cohortes,  
Du palais, à ces mots, il fait ouvrir les portes.  
A l'aspect de ce front dont la noble fureur

ქსიფარესი? ეს რა მესმის? ღმერთო, ღმერთო ზეციერო!  
 ცხადი არის თუ სიზმარი? მეშინია დავიჯერო.  
 ქსიფარესი ცოცხალია, ვისაც ცრემლის მღულარებით...

არბატ.

ცოცხალია!.. დატვირთულიც დიდებით და მწუხარებით.  
 ხმა რომ გავარდა, „მოკვდაო“ ეს გმირთა-გმირი ცნობილი,  
 მარტო თქვენ კი არ ყოფილხართ ამით გულს ლახვარ-  
 სობილი;

რომაელებმა ყველგანა ეს ხმა მოჰფინეს ყვირილით,  
 გული მოგვიკლეს, აგვივსეს ყველას გლოვით და ტირილით.  
 მეფეს მართალი ეგონა, ცრემლი მოადგა თვალებზე,  
 და იმედს არ ამყარებდა შემდეგ ის თავის ძალებზე.

მოლაღატე შეიღმა იმას ჯარი ბლომად მიაყარა,  
 მეფეს შეველა არა ჰქონდა, ქედი უნდა მოეხარა;  
 და რომ ჰნახა დროშათ შორის რომის ორბიც ამართული,  
 წყრომითა და მწუხარებით ამოევსო უფრო გული.  
 ამ წამიდან ერთი იყო მისი ნატვრა და წადილი—  
 ტყვეობიდან თავის დახსნა, გამარჯვება ან სიკვდილი.

ჯერ საწამლავსა მიჰმართა, თვითონ ეგონა რომელი  
 მხსნელი ამ გაქირვებიდან, სწრაფი და მიუცდომელი.  
 არ იმოქმედა არც ერთმა, სთქვა: „ნუ მოველი შეველასო,  
 ყველა მიცდია და ძალიც გამოჰლევია ყველასო;  
 შხამის შიშითა ყოველ შხამს მე მივაჩვიე კუჭიო,  
 აი ნაყოფიც: იმედი ჩემი გამოდგა ფუჭიო.  
 ვეძებოთ ეხლა სხვა ღონე, უფრო ღირს-შესაფერიო,  
 მოკვდეთ ბრძოლისა ველადა, არ გავახაროთ მტერიო“.

ასე სთქვა და, თუმც ეკავა რომაელებს მთელი მხარე,  
 ჰბრძანა განხმა ციხის კარის, გამოვიდა თვითონ გარე;  
 რა რომ ჰნახეს შუბლი მისი, ეს მრისხანე შეხრა წარბის,

Tant de fois dans leurs rangs répandit la terreur,  
Vous les eussiez vus tous, retournant en arrière,  
Laisser entre eux et nous une large carrière ,  
Et déjà quelques-uns couraient épouvantés  
Jusque dans les vaisseaux qui les ont apportés .  
Mais, le dirai-je? ô ciel! rassurés par Pharnace,  
Et la honte en leurs cœurs réveillant leur audace,  
Ils reprennent courage, ils attaquent le Roi,  
Qu'un reste de soldats défendait avec moi.  
Qui pourrait exprimer par quels faits incroyables,  
Quels coups accompagnés de regards effroyables,  
Son bras, se signalant pour la dernière fois,  
A de ce grand héros terminé les exploits?  
Enfin las, et couvert de sang et de poussière,  
Il s'était fait de morts une noble barrière.  
Un autre bataillon s'est avancé vers nous;  
Les Romains pour le joindre ont suspendu leurs coups.  
Ils voulaient tous ensemble accabler Mithridate.  
Mais lui : « C'en est assez, m'a-t-il dit, cher Arbate;  
Le sang et la fureur m'emportent trop avant.  
Ne livrons pas surtout Mithridate vivant. »  
Aussitôt dans son sein il plonge son épée.  
Mais la mort fuit encor sa grande âme trompée  
Ce héros dans mes bras est tombé tout sanglant,  
Faible, et qui s'irritait contre un trépas si lent;  
Et, se plaignant à moi de ce reste de vie,  
Il soulevait encor sa main appesantie;  
Et marquant à mon bras la place de son cœur,  
Semblait d'un coup plus sûr implorer la faveur.  
Tandis que possédé de ma douleur extrême,

ვხედავ, მტერი უკუ-ეცა, ყველა დაფრთხა, ყველა გარბინ, ზოგი ეცა ხომალდებსა, ზოგი წყალში გადაცვინდა და ჩვენსა და იმათ შუა ბრძოლის ველი გაიწმინდა.

მაგრამ რა მოჰხდა, უფალო! გაჩნდა ფარნაკი ცხენითა, დაჰკივლა, ჯარსა მიჰმართა ცეცხლ-მოღებული ენითა, გამხნევედა ჯარი, დაჰბრუნდა, კვალად ეხეთქა მეფესა, შეიქმნა ბრძოლა ფიცხელი, სისხლი კვლავ ააჩქეფესა.

მეფეს ჯარი ცოტა ჰყავდა, მტერს არ ჰქონდა მისი შიში, ის წამოსქდა, ტალღასავით წამოვიდა იერიში.

მე იქ ვიდექ.—ვინ ავიწერს, თუ რა იყო მეფე-გმირი, თუ რა იყო მისი ბრძოლა, მის შეტევა პირდაპირი? მისი ხმალი თავებს ჰყრიდა, მის თვალეზი ნაკვერჩხალებს. მის სახელი დიდებული კვლავ დიდებით იბრჭყვიალებს. მან ის ტალღა შეაჩერა, შეზნიქა და ააგორა და როდესაც გმირთა-გმირმა დახოცილთა დაჰდგა გორა,—

გამოჩნდა რაზმი ახალი, ჩვენკენა მომავალია, რომაელები შეჩერდნენ, შემოიმატეს ძალია, უნდოდათ მეფის შებყრობა შეერთებული ძალითა; მიბრძანა: „წაღებული ვართ შორსა ბრძოლისა ალითა! სჯობია უკან დავბრუნდე, შენცა ეს ველი დატოო, ოღონდ მტერს არა ჩავუგდოთ ცოცხალი მითრიდატიო!“

ასე სთქვა და ხანჯლის წვერით მან გაიპო უცებ გული, მაგრამ ხორცს არ ეყრებოდა წამებული მისი სული, ჩემს ხელებში სიკვდილის წუთს მოელოდა მეფე დიდი, სიკვდილი არ მოდიოდა, თითქო ჰქონდა მისი რიდი. „იძვრის კიდევ ეს გულიო!“ შემომჩივლა სუსტის ხმითა, მერე ხელი აიწია, თავის გულზე მიმითითა და მანიშნა: „მომკალიო, მომარჩინე ამ წვალებას!“ და ერთ დაკვრას, უფრო მარჯვეს, მთხოვდა, როგორც მოწყალებას.

მე რას ვიზამდი ბედკრული, დამსწრე ამ დღისა შავისა?

Je songe bien plutôt à me percer moi-même ,  
De grands cris ont soudain attiré mes regards :  
J'ai vu, qui l'aurait cru? j'ai vu de toutes parts  
Vaincus et renversés les Romains et Pharnace,  
Fuyant vers leurs vaisseaux, abandonner la place;  
Et le vainqueur, vers nous s'avançant de plus près,  
A mes yeux éperdus a montré Xipharès.

MONIME

Juste ciel!

ARBATE

Xipharès, toujours resté fidèle,  
Et qu'au fort du combat une troupe rebelle,  
Par ordre de son frère, avait enveloppé,  
Mais qui, d'entre leurs bras à la fin échappé,  
Forçant les plus mutins et regagnant le reste,  
Heureux et plein de joie en ce moment funeste,  
A travers mille morts, ardent, victorieux,  
S'était fait vers son père un chemin glorieux.  
Jugez de quelle horreur cette joie est suivie.  
Son bras aux pieds du Roi l'allait jeter sans vie;  
Mais on court, on s'oppose à son emportement .  
Le Roi m'a regardé dans ce triste moment,  
Et m'a dit, d'une voix qu'il poussait avec peine :  
« S'il en est temps encor, cours, et sauve la Reine. »  
Ces mots m'ont fait trembler pour vous, pour Xipharès :  
J'ai craint, j'ai soupçonné quelques ordres secrets .  
Tout lassé que j'étais, ma frayeur et mon zèle  
M'ont donné pour courir une force nouvelle;  
Et, malgré nos malheurs, je me tiens trop heureux  
D'avoir paré le coup qui vous perdait tous deux.

სიკვდილს ვნატრობდი, მინდოდა მოკვლა მე თვითონ თავისა.  
ამ დროს ავარდა ყვირილი, მე მივაქციე თვალები,  
ვხედავ, გარბიან დამფრთხალნი რომაელების ძალები,  
ფარნაკის ჯარიც ნაცემი, ზურგზე ნადენი ბოლისა,  
ეცა ხომალდებს, გაიქცა, ველი დააგდო ბრძოლისა.

და მიზეზი გამარჯვების, მშვენიერი, ვით არესი,  
განცვიფრებულ ჩემსა თვალებს წარმოუდგა ქსიფარესი.

### მონიმე.

ღმერთო დიდო!

### არბატ.

ქსიფარესსა, მამისათვის თავდადებულს,  
მამის ერთგულს ყოველთვისა, მისი ბედით გააფთრებულს,  
ფარნაკისა ბრძანებითა შემოარტყეს ირგვლივ ჯარი,  
მაგრამ ყველას გამოუსხლტდა ეს მებრძოლი უებარი,  
ზოგსა ჰკრა და მიამიწა, მიანარცხა ზოგსა ზოგი,  
დანარჩენსა დასცა ზარი, წინ გაიგდო, როგორც ჯოგი;  
ათასგვარი საფრთხეს შუა გაიკაფა გზა და მალე  
მამისაკენ წამოვიდა ამაყი და მობრწყინვალე.

შემდეგ ამ სიხარულისა, გმირობის ამისთანისა,  
მამა რომ ჰნახა, უნდოდა გულზე დაცემა დანისა;  
ძლივს შევიკავეთ საწყალი, მწვარი და შესაბრალები,  
მეფე შეინძრა ამ დროსა, შემომაჩერა თვალები,  
და ხმითა მისუსტებულთ მითხრა: „რაცა გაქვს ძალიო,  
გაიქე და თუ მოასწრობ, იხსენი დედოფალიო!“

ამ სიტყვებმა დამცა ზარი, მომაგონდა თქვენი ბედი,  
რალაც საფრთხე არის-მეთქი, შურდულივით წამოვედი;  
თუმც ვიყავი მოწყვეტილი, რას არ იზამს შიში აბა,  
დამიბრუნა ისევ ღონე, მგლის მუხლები გამომაბა.  
ამ საშინელ გლოვის ჟამსა, ეს კი მაინც მავსებს ღხენით:  
ღმერთმა ჰქნა და მოვასწარი, სიკვდილისგან დაგიხსენით.

MONIME

Ah! que, de tant d'horreurs justement étonnée ,  
Je plains de ce grand Roi la triste destinée!  
Hélas! et plutôt aux dieux qu'à son sort inhumain  
Moi-même j'eusse pu ne point prêter la main,  
Et que, simple témoin du malheur qui l'accable,  
Je le pusse pleurer sans en être coupable!  
Il vient. Quel nouveau<sup>1</sup> trouble excite en mes esprits  
Le sang du père, ô ciel! et les larmes du fils!

SCÈNE V. — MITHRIDATE, MONIME, XIPHARÈS,  
ARBATE, ARCAS,

*GARDES, qui soutiennent Mithridate.*

MONIME

Ah! que vois-je, Seigneur, et quel sort est le vôtre!

MITHRIDATE

Cessez et retenez vos larmes l'un et l'autre.

*(Montrant Xipharès.)*

Mon sort de sa tendresse et de votre amitié<sup>2</sup>  
Veut d'autres sentiments que ceux de la pitié;  
Et ma gloire, plutôt digne d'être admirée,  
Ne doit point par des pleurs être déshonorée.  
J'ai vengé l'univers autant que je l'ai pu :  
La mort dans ce projet m'a seule interrompu.  
Ennemi des Romains et de la tyrannie,  
Je n'ai point de leur joug subi l'ignominie;  
Et j'ose me flatter qu'entre les noms fameux  
Qu'une pareille haine a signalés contre eux,

## მონიმე.



ცა მოიგრაგნა ჩვენთვისა, ჭირზედა ჭირის მთოველი,  
დავტირი დიად მეფესა, მისი ბედზედა მგლოველი.  
მადლობა უფალს! თუმც ცრემლი ბევრი უბედურს მდენია,  
მისი მტრებისთვის მე მაინც ხელი არ გამიწვდენია.  
მე მოწმე ვიყავ უბრალო ყველა მის უბედურების,  
და ჩემი ცრემლიც იმასა გულ-წრფელად დაებკურების.

რა ცეცხლია ეს სურათი: მამა ჰკვდება, შვილი ჰტირის,  
მღულარე ცრემლს უერთდება სისხლი ცხელი გმირთა-  
გმირის.

---

## სცენა V

მითრიდატი, მონიმე, ქსიფარესი, არბატი, ფედიმე, არკასი;  
ღარაჯები, რომელთაც შემოჰყავთ მითრიდატი.

### მონიმე.

რა დღეში ვართ, ხელმწიფეო! ჩამოინგრა რისხვით ზეცა.

### მითრიდატი.

ენლა ჩუმად, ნულა ჰტირით ერთიცა და მეორეცა.  
ჩემსა ბედსა არ შეჰფერის, თუ გული გაქვთ მამაცური,  
არც ეგეთი შებრალება, არცა მოთქმა დიაცური.  
ჩემს სახელსა უნდა ტაში, უნდა იმას: ვაშა! ვაშა!  
მან აამსო ისტორია, დიდი როლი ითამაშა.

ამოვიყარე მე ჯავრი მთელი სოფლისა, მგონია,  
მხოლოდ სიკვდილმა შესწყვიტა საქმენი საგმირონია.  
მე მტერი ვიყავ რომისა, მისთვის დანიშნულ ბედითა,  
მის ბატონობის უღელი არ მიზიდია ქედითა;  
ვფიქრობ, მათ შორის, ვინც იყო წინააღმდეგი რომისა,  
მეცა მიჭირავს ადგილი არა პატარა ზომისა.

Nul ne leur a plus fait acheter la victoire,  
Ni de jours malheureux plus rempli leur histoire.  
Le ciel n'a pas voulu qu'achevant mon dessein ,  
Rome en cendres me vît expirer dans son sein.  
Mais au moins quelque joie en mourant me console :  
J'expire environné d'ennemis que j'immole;  
Dans leur sang odieux j'ai pu tremper mes mains;  
Et mes derniers regards ont vu fuir les Romains.  
A mon fils Xipharès je dois cette fortune :  
Il épargne à ma mort leur présence importune .  
Que ne puis-je payer ce service important  
De tout ce que mon trône eut de plus éclatant!  
Mais vous me tenez lieu d'empire, de couronne;  
Vous seule me restez : souffrez que je vous donne,  
Madame; et tous ces vœux que j'exigeais de vous,  
Mon cœur pour Xipharès vous les demande tous.

MONIME

Vivez, Seigneur, vivez, pour le bonheur du monde ,  
Et pour sa liberté, qui sur vous seul se fonde;  
Vivez pour triompher d'un ennemi vaincu,  
Pour venger...

MITHRIDATE

C'en est fait, Madame, et j'ai vécu.  
Mon fils, songez à vous : gardez-vous de prétendre  
Que de tant d'ennemis vous puissiez vous défendre.  
Bientôt tous les Romains, de leur honte irrités,  
Viendront ici sur vous fondre de tous côtés.  
Ne perdez point le temps que vous laisse leur fuite  
A rendre à mon tombeau des soins dont je vous quitte .  
Tant de Romains sans vie, en cent lieux dispersés,  
Suffisent à ma cendre et l'honorent assez.  
Cachez -leur pour un temps vos noms et votre vie.  
Allez, réservez-vous...



მის უხეში ძლიერება ვინ გაჰთელა ისე ფეხით?  
 ვინ აუღმსო ისტორია ჩემებური ელვა-მეხით?  
 მაგრამ ზეცამ არ ინება, ამომხადა ისე სული,  
 რომ გადამწვარ რომსა შუა მღირსებოდა დასასრული.  
 მერგო მაინც ეს სიამე, ნეტარება ამოდენი:  
 ვკვდები, მაგრამ მტერი გარბის ზურგზე ბოლი ანადენი.

ვიხილე ერთხელ კიდევა შეტრიალება ომისა!  
 ვიხილე ერთხელ კიდევა მე დამარცხება რომისა!  
 მიზეზი ქსიფარესია, მის უებარი გმირობა,  
 შეუქმნა მამის სიკვდილსა მან შესაფერი პირობა.  
 მის სამსახური დიდია, სიტყვით ვერ შეისყიდება,  
 ცოტაა კიდევ გადავცე ჩემი ტახტი და დიდება.

დიდება და ტახტი ჩემი ეხლა შენ ხარ, ჩემო ნაზო!  
 მაპატიეთ! ეს შვენება უნდა იმას შევთავაზო.  
 ყველაფერი, რასაც გთხოვდი და უბედურს არ მეღირსა,  
 მიუძღვენით ეხლა იმას, ამ დიდებულ გმირთა-გმირსა.

**მონიშე.**

ახ, თქვენ იცოცხლეთ, მეფეო! თქვენ ხართ იმედი გულისა,  
 იმედი თავისუფლების, უთქვენოდ დაკარგულისა,  
 იცოცხლეთ, მეფეო, იყავით კვალად ქვეყნისა მყრობელი.

**შითრიდატი.**

გასრულდა ჩემი ამბავი, ამბავი მოუთხრობელი.  
 ქსიფარეს! შვილო! ეხლავე შეუდექ თავის შველასა,  
 მტერი ბევრი გყავს, იცოდე, ვერ მოერევი ყველასა.  
 რომაელთ ჯარი, ამ ჟამად თუმც არის დამარცხებული,  
 თავს დაგესხმება ხელახლად, სირცხვილით გამწარებული;  
 აჩქარდი! სანამ არა სჩანს მათი ისრისა პირები,  
 კარგს იზამთ, თუ ღირსეულად მე თქვენგან დავიტირები.  
 მერე უნდა თავს უშველოთ, გაიხიზნოთ სადმე მალე.

XIPHARES

Moi, Seigneur, que je fuie!  
Que Pharnace impuni, les Romains triomphants,  
N'éprouvent pas bientôt...

MITHRIDATE

Non, je vous le défends.  
Tôt ou tard il faudra que Pharnace périsse .  
Fiez-vous aux Romains du soin de son supplice  
Mais je sens affaiblir ma force et mes esprits  
Je sens que je me meurs. Approchez-vous, mon fils.  
Dans cet embrassement dont la douceur me flatte ,  
Venez et recevez l'âme de Mithridate.

MONIME

Il expire.

XIPHARÈS

Ah! Madame, unissons nos douleurs,  
Et par tout l'univers cherchons-lui des vengeurs.

## ქსიფარესი.

ვაი მოჰკვდეს ჩემი თავი, მე თუ იმათ დავემალე.  
რომ ფარნაკმა იფარფაშოს? რომ უხეშმა რომის ძალამ...

## მითრიდატი.

მე გიკრძალამ!


აღრე თუ გვიან ფარნაკი გამოეცლება ამ არეს,  
რომსა მიანდევ, მან იცის, იგი გაუთხრის სამარეს.  
ლონე არა მაქვს, მისუსტდა ჩემი ჯანი და გონება...  
მო, მომეხვიე მე, შვილო!.. ეს არის ჩემი ცხოვნება...  
და ამბორითა ამითა, დასამშვიდებლად გულისა,  
შენ ჩაიბარე აღმოხდაც მითრიდატისა სულისა.

## მონიმე.

ჰკვდება!

## ქსიფარესი.

მივცეთ ერთმანეთსა გული ცეცხლში ნადებარი  
და სისხლისა ასაღებად შევარყიოთ მთა და ბარი.



## NOTE A LA MEMOIRE DU TRADUCTEUR



Georges GVAZAVA (1869-1941) écrivait en 1935 : « Je ne sais si les héros sont utiles à l'Etat, mais ils sont nécessaires à l'humanité. La foi dans l'amour et dans la justice, le courage de les affirmer quand tout le monde se tait, voilà des vertus qui n'ont pour soutien que l'élan du cœur. C'est ce patrimoine de l'humanité qui est constamment menacé et qui périrait pour toujours s'il n'y avait de temps en

temps des héros qui donnent leur vie pour le conserver. Devant l'humanité et devant les siècles ce sont les héros qui ont raison. »

Ces idées de Georges GVAZAVA sont celles d'un combattant qui a tout risqué pour faire connaître le sort tragique du peuple géorgien, nation épuisée par des siècles de lutte contre l'Islam et dont l'occupation tsariste du Caucase avait effacé même le nom de la carte du monde.

Après de solides études de Droit, et une vie d'étudiant dans le Paris de la belle époque, il devenait en Géorgie un brillant avocat. Publiciste et poète en vogue, il fondait en 1905 le Parti National-Démocrate géorgien.

Comme secrétaire du comité clandestin de libération : « la Ligue de Défense de la Nation et de l'Eglise géorgiennes » présidée par A. Djabadary, il risquait sa tête et celles de 5 000 signataires, en présentant avec V. Tcherkezi à la Conférence Mondiale de La Haye de 1907 : la Pétition du peuple géorgien au monde civilisé.

Il avait édité le 11 mars 1907 le premier numéro d'un journal en langue russe : « La Pensée géorgienne » qui réclamait le droit à l'autonomie, ce qui lui valut une condamnation à un an de cachot. Il devait consacrer cette captivité à recréer en vers géorgiens avec toutes les nuances du texte grec original « Antigone » de Sophocle (publiée en 1912).

Dès 1909, il participait à d'importantes affaires pétrolières avec E. Lianosoff.

En 1912, il épousait Nina Tcherkezi de la famille historique des défenseurs depuis le XIII<sup>e</sup> siècle de la grande forteresse de Manavi qui protégeait Tbilissi des invasions persanes.



Dans sa tâche de libération nationale géorgienne il se heurtait aux organisations marxistes de la 2<sup>e</sup> internationale soucieuses avant tout de déposséder les riches et d'exterminer les nobles. Cependant, Georges GVAZAVA obtenait comme chef de l'opposition libérale l'approbation par l'Assemblée de son texte de la « Déclaration de l'Indépendance géorgienne », puis de la « Constitution » qu'il avait rédigée.

En octobre 1918 il était chargé par le Gouvernement géorgien comme Ambassadeur de négocier le Traité de paix avec la Sublime Porte de l'Empire Ottoman.

Dans une Géorgie indépendante, reconnue par les grandes puissances, y compris la Russie, mais affaiblie par une entreprise révolutionnaire prématurée, il devait suffire de 6 semaines de combats à l'Armée Rouge pour occuper la Géorgie en 1921.

En exil à Paris, Georges GVAZAVA éditait de 1926 à 1939 la revue mensuelle « Prométhée » pour la défense des peuples du Caucase, de l'Ukraine et du Turkestan, et il plaidait la cause géorgienne dans divers congrès internationaux.

En 1929, il publiait sa traduction en géorgien et en vers de « Rhadamiste et Zénobie » de Crébillon, œuvre qui illustre la lutte du roi de l'Ibérie géorgienne contre Rome. Puis, en 1934 et 1935 paraissaient ses traductions de « Mithridate » de Racine et du « Prométhée enchaîné » d'Eschyle. Ensuite, il publiait « Rostomelle », sa transposition d'un conte géorgien, qui est une illustration poétique de la théorie de la relativité. Il éditait enfin en 1936 sa version française du chef-d'œuvre de Roustavéli « L'homme à la peau de léopard » dont il avait commencé, avec Elizabeth Orbéliani (née de Géorgie), un premier texte en 1910.

L'attachement de Georges GVAZAVA pour la littérature, son culte des héros s'expliquent par sa nostalgie d'un passé glorieux et par l'angoisse de voir le monde livré à la deshumanisation et au nivellement. Cette nostalgie l'incitait par ses traductions à se retrouver dans la vision d'une humanité plus noble.

Attaqué secrètement dès 1939 par un groupe de politiciens envieux, dénoncé aux autorités d'occupation pour avoir fondé le Comité « France-Géorgie », Georges GVAZAVA devait quitter ce monde en janvier 1941 certain d'avoir servi la Géorgie, la France et le progrès vers un monde meilleur.

## ა მ ი რ ა ნ ი

ზოგჯერ კვნესა საშინელი  
ლამის ბნელში ჰაერსა ჰხევს,  
და შიშისა ჟრუანტელი  
გადაუვლის მთასა და ხევს.

ვერ გაიგებს იმა კვილს,  
გამოწვეულ გულის ტკივილს,  
ოსმალეთი, ვერც ირანი.

ის ხმა არი დიდი გმირის:  
იცოდე, რომ მთებში ჰტირის  
მიჯაჭული ამირანი.

## გ უ ზ ა გ ი

(ილიას ხსოვნას)

ადგა მონა და შურდული  
ხელში აიღო ნელა მან.  
საქმე მას უყვარს ქურდული,  
თავი მით ისახელა მან.

ჰნახა, ლაჟვარდი ჰბრჭყვიალებს,  
ზიგან არწივი ჰტრიალებს,  
თითქო მიჰქონდეს სიოსა;  
მთებსა დაჰყურებს, ბარებსა,  
ჰდარაჯობს, მშობლიურ ზღვარებსა  
მტერი არ შეესიოსა.

არწივს ესროლა მონამა,  
სისხლის ღვარითა მონამა  
ველი სამშობლო მხარისა.

ლაჟვარდი ისევ ჰბრჭყვიალებს,  
მაგრამ იქ არა ჰტრიალებს  
გუშაგი მთა და ბარისა.

046508

(Dépôt légal)

Achévé d'imprimer le 20.4.1981

sur les presses de

L'IMPRIMERIE C.O.P.I.E.

(A.S.M.A. - S.M.O.S.)  
© Georges Guazava 1981

Dépôt légal 2<sup>e</sup> trimestre 1981

11/2

F 16.274  
2